PRIME Time

N30 (331) ორშაბათი, 3 აგვისტო, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015
Coca-Cola PROUD PARTNER

ქვანიას კლინიკა სკანდალში გაეხვია

ჯანმრთელ ბავშვს სასიკვდილო(!) დიაგნოზი დაუსვეს

EXCLUSIVE

„ჩემს შვილთან ერთად, იყო მარგველაშვილის შვილი, ძალიან მაინტერესებს, პრეზიდენტის შვილსაც იგივე ანალიზები გაუკეთეს?“

ყველა პასუხგაუცემელი კითხვა ყველა საეჭვო დეტალი

- დაკარგული ტყვია
- საეჭვო კვალი ხელზე
- უცხო პირის ანაბეჭდი

სკანდალური ფაქტები

EXCLUSIVE

SCANDAL

PRIME Time EXCLUSIVE +16

- ჯგუფური გაუპატიურება და წამება რუსთავში
- „პრაიმტაიმმა“ ჩაწერა ეჭვმიტანილის ცოლი
- რა კავშირი აქვს ამ ფაქტს „ჩემი ცოლის დაქალებთან“?

1980 წლის სისხლის სამართლის საქმე

„პრაიმტაიმის“ სკანდალური ექსკლუზივი



ექსკლუზიური ინტერვიუ უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილესთან

ივლიანე ხაინდრავა: „რისკი 2008 წლის მოვლენების გამეორებისა შემცირდა, თუმცა საბოლოოდ არ გამქრალა“

SOS! თბილისი ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე

მოესწრება თუ არა „ბარსელონას“ ჩამოსვლამდე მინდვრის მდგომარეობის გაუმჯობესება, ჯერჯერობით უცნობია

EXCLUSIVE

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ანალოგური საეთერო სიგნალის ეტაპობრივი გათიშვა.

6 აგვისტოს, დილის 10 საათიდან, ზუგდიდში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუსა და ჯვარში, ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. აგრეთვე გაითიშება ზუგდიდის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები.

ყურადღება! სახელმწიფო მულტიპლექსისთვის მინიჭებული ციფრული მიწისზედა მაუწყებლობისთვის განკუთვნილი დროებითი სიხშირული რესურსი მუდმივი სიხშირეებით იცვლება. მიმდინარე წლის **3-5 აგვისტოს,** გორში, ხაშურში, დუშეთში, ქარელში, ბორჯომში, ახალციხეში, აბასთუმანში, ახალქალაქში, ასპინძასა და ნინოწმინდაში, ციფრულ სატელევიზიო მიღებ აპარატურაზე ძებნის რეჟიმის გააქტიურების შედეგად, გადაცემების ხილვა შესაძლებელი იქნება **578 მჰც** სიხშირეზე.

რეგიონებში ანალოგური სიგნალის ეტაპობრივი გათიშვისა და სიხშირული რესურსის ჩანაცვლების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, **ცხელი ხაზის (1480),** პრესისა და ვებგვერდის **www.digitaltv.ge**-ს საშუალებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერთი წელი ეროსი კინმარი

სკანდალური ფაქტები:

- დაკარგული ტყვია;
- საეჭვო კვალი გარდაცვლილის ხელზე;
- უცხო პირის თითის ანაბეჭდები და დეენემის კვალი...
- დაუდგენელი შემთხვევის ადგილი...

პასუხები პირადი ხასიათის უხერხულ კითხვებზე

ყველა პასუხგაუცემელი კითხვა და ყველა საეჭვო დეტალი

მარიამ ნადირაძე

პროკურატურა ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ აანონსებდა, რომ სულ მალე გამოძიების მასალებს გაასაჯაროებდა და დასკვნას დადებდა. ეს დასკვნა კი გაამართლებდა ვერსიას ეროსი კინმარიშვილის თვითმკვლელობის შესახებ. მაშინ გარდაცვლილის ძმამ ერთგვარი ტაქტიკური სვლა განახორციელა და გააჟღერა ინფორმაცია, რომ მკვლელობის იარაღზე, კონკრეტულად კი სასხლეტზე უცხო ადამიანის დეენემი იყო აღმოჩენილი. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, გამოძიება წერტილს ვეღარ დასვამდა. შესაბამისად, შემთხვევიდან ერთი წლის თავზე „პრაიმტაიმი“ შეეცადა გაერკვია, რა ხდება გამოძიების კულუარებში და არსებობს თუ არა საშიშროება, რომ ის ჩიხში შევიდეს.

მკითხველს ამ პუბლიკაციაში წარმოვუდგენთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ეროსი კინმარიშვილის ძმასთან, შევეხებით ყველა აქამდე გაჟღერებულ თუ ჯერაც გაუშიფრავ დეტალს და რაც მთავარია, ვსვამთ კითხვებს, რომლის შესახებაც მხოლოდ ჩურჩულით თუ ბედავენ საუბარს.

ინტერვიუს კი თემატურად დავყოფთ, ვინაიდან მკითხველს ასე უფრო მეტად გაუადვილდება ვითარებაში გარკვევა.

გამოძიება გამოძიების კვალდაკვალ

– ბოლო პერიოდში ჩვენი ძიება რამდენიმე მიმართულებით გაიშალა – ვიდეომასალის შესწავლა, სატელეფონო ანძებიდან ამონაწერების ანალიზი და ეროსის იარაღზე აღმოჩენილი უცხო პირის დეენემის დადგენა-იდენტიფიკაცია.

– არსებობს მოსაზრება, რომ იარაღის სასხლეტს, სავარაუდოდ, ისედაც ბევრი ადამიანი შეეხებოდა, ვინაიდან ის მაღაზიაში შეიძინა თქვენმა ძმამ და მეგობრებსაც აჩვენა...

– გამოძიებამ ბევრი იმუშავა ამ მიმართულებით. შედარდა ყველა იმ ადამიანის დეენემი, ვისაც ლეგალურად თუ შემთხვევით შეიძლებოდა ჰქონოდა შეხება ამ იარაღთან, მაგრამ მსგავსება და თანხვედრა არ დაფიქსირებულა. ყოველ შემთხვევაში, ეს ბოლო ინფორმაციაა, რაც გამოძიებისგან მივიღეთ. სამწუხაროდ, ამ დეენემის საკითხი დღესაც ღიადაა დატოვებული. სანამ ეს არ გაირკვევა, შეუძლებელია, გამოძიება დასრულებულად ჩაითვალოს.

– საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: თავის დროზე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი იყო ნაჭერი, რომელიც გამოსაკვლევად წაიღეს. რა პასუხი გაქვთ ამ მიმართულებით?

– საქმეშია ძალიან ზერელე ინფორმაცია მანქანიდან და სხვადასხვა სივრციდან ამოღებული მასალების შესახებ. ჩემი აზრით, მანქანაში, საიდანაც იყო აღებული სინჯები, შეუძლებელია, არ აღმოჩენილიყო უცხო ადამიანის თუნდაც თმის ნაწილაკი. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ნაწილაკები ამოღებულია, მაგრამ არ არის ნამსჯელი ექსპერტების მიერ... მესმის, რომ ძნელია ამის დადგენა, რადგან ეს არ არის თითის ანაბეჭდი, რომელსაც სისტემაში შეუშვებ და ის გაჩვენებს, ვინ არის მისი მფლობელი. თუმცა, მეორე მხრივ, ჩემთვის მიუღებელია ცალსახა პასუხიც, რომ თითქოს მანქანაში არ აღმოჩნდა არაფერი უცხო. შესაბამისად, თუ დადგება დრო, რომ გამოვლინდება ეჭვმიტანილი, არ არის გამორიცხული, მანქანიდან აღებული ნიმუშებიდან რაიმე აღმოჩნდეს მისი მაიდენტიფიცირებელი.

– რაც შეეხება ნაჭერს?..

– ეს მართლაც იყო ნაპოვნი. შესაძლებელია, ის შემთხვევის მერე დააგდო ვინმემ. საბოლოოდ მასზე დიზელის მასალის კვალი აღმოჩნდა. სხვა არაფერი.

სისხლის კვალი და საეჭვო კრიმინალისტიკური დეტალები

– ადრე ცოტა შეფარვით ვსაუბრობდით ამ თემაზე, დღეს უკვე შემიძლია, პირდაპირ გითხრათ, რომ ვეძებდით სისხლის კვალს სხვა ადგილზე. ჩვენ შევიტანეთ ეჭვი იმაში, რომ გასროლის მომენტში ავტომობილი იდგა იმ ადგილას, სადაც დაგვხვდა.

– რა გახდა ამ ეჭვის საფუძველი?

– ძალიან მარტივი მიზეზია: გასროლის მომენტში ორივე ფანჯარა ჩამოწეული იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად მოხდებოდა მცირე ან დიდი ოდენობით სისხლის გარეთ გაშხეფება. იქ კი სივრცე ძალიან ლოკალურია. კედელია ძალიან ახლოს. შესაბამისად, თუ გასროლა იმ ადგილზე მოხდა, სადაც მანქანა დაგვხვდა, სისხლი კედელზე უნდა ყოფილიყო, ბოლოს და ბოლოს, ასფალტზე მაინც. როდესაც ამ კვალის ძებნა სპეციალური ხელსაწყოებით დაიწყეს, ჩვენსა და გამოძიებას შორის შეიქმნა აზრთა სხვადასხვაობა. მათ ვერ იშოვეს ის დანადგარი, რომელიც უხილავ ნაწილაკებს აღმოაჩენდა.

– თუ არ ვცდები, ორჯერ ჩატარდა ასეთი ხელსაწყოთი უხილავი ნაწილაკების დათვალიერება...

– როდესაც ეს ხელსაწყო მოიტანეს, მისი ეფექტურობა ნული იყო. რეალურ სისხლს დავაშუქეთ და არაფერი უჩვენებია, არადა ეს იყო საკმაოდ დიდი კვალი. საბოლოოდ გვითხრეს, რომ სულ ახალი მიღებული ჰქონდათ ეს აპარატურა და ჯერ შესწავლილი არ ჰქონდათ რეჟიმები. მანამდე კი უფრო სუსტი აპარატი ჰქონდათ. თუმცა, მათ მიერ მოტანილი ქიმიური ხსნარი ძალიან ეფექტური აღმოჩნდა. ძალიან მცირე ნვეთებიც კი ელვარებდა. რა უნდა გვქნა – ეს იყო პატარა პულვიზატორი... იმხელა ტერიტორიას, ბუნებრივია, ვერ მოვიცავდით. ერთადერთი, მოვიფიქრეთ ის, რომ შედგა ოქმი, რომლის თანახმადაც იმ კონკრეტულ ადგილას გამოირიცხა რაიმე კვალის არსებობა.

– ხომ შეიძლება, დავუშვათ ვერსია, რომ იმ ადგილას, სადაც ეს სისხლი უნდა გაშხეფებულიყო, იდგა ცოცხალი ადამიანი, რომელსაც შეეშხეფა ის, მერე წავიდა და ამიტომაც არ არის აღმოჩენილი შემთხვევის ადგილის გარეთ პერიმეტრზე კვალი?

– იგივე ვერსია შესაძლებელია, მეც მქონდეს... არაფერია გამორიცხული... თუმცა იმ ეჭვის სასარგებლოდ, რომ შესაძლოა, შემთხვევა სხვა ადგილას მოხდა, მუშაობს კიდევ ერთი ფაქტი: დადგენილია, რომ ჩემი ძმის მანქანა დაქოქილი იყო...

– ეს იმას ნიშნავს, რომ ეროსი წასვლას აპირებდა?

– ფაქტია, რომ მანქანა დაიქოქა. თუ ვერსიებში წავალთ და ვივარაუდებთ, რომ მავანს უნდოდა, ეს ყველაფერი თვითმკვლელობას დამსგავსებოდა, ამ მანქანის რეალური შემთხვევის ადგილზე დატოვება სარისკო იქნებოდა და არ არის გამორიცხული, რომ მოხდა ამ მანქანის ჩაგორება ისევ იმ ადგილზე, საიდანაც თავიდან დაიძრა. იქ მოხდა მერე სამზეურების ჩამოშვება, რაღაცების გაფორმება...

– ამ შემთხვევაში, წარმოუდგენელია, უცხო ადამიანის კვალი არ დარჩენილიყო...

– მანქანის გარეთა მხარეს აღმოჩენილია თითის ანაბეჭდები, რომლის იდენტიფიცირებაც ვერ მოხერხდა. არც იმ ადამიანების თითის ანაბეჭდებს დაემთხვა, რომლებიც იმ დღეებში ეროსისთან ერთად მოძრაობდნენ. არც წინა დღეების კვალი იქნებოდა, ვინაიდან ექსპერტებისგან ვიცით, რომ იმ სიცხეებში გარეთ მოძრაობის შემთხვევაში ეს ანაბეჭდები დაიშლებოდა. ერთი სიტყვით, თავადაც დარჩმუნდებოდით, ალბათ, რომ ეს დეტალები არ გამორიცხავს მანქანის დაძვრას, შემდეგ სხვა ადგილზე კონკრეტული სამწუხარო სიუჟეტის განვითარებას, შემდეგ ამ მანქანის უკან ჩაგორებას და იქ გარკვეული მოქმედების განხორციელებას. აქ უკვე ჩნდება იმ ცნობილი 20 ათასი ლარის დაკარგვის თემაც, რომელზეც გამოძიებაში მასალები ვერ მოვძებნეთ. ამის გარდა, დაკარგული ტყვიაც...

– დაკარგული ტყვია?..

– ეროსიმ იყიდა კოლოფი, სადაც იყო 50 ტყვია. გასროლილიანად ნაპოვნია 49. ერთის ადგილმდებარეობა დღემდე უცნობია გამოძიებისთვის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

„ᲔᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜᲐᲪ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲗᲐᲜᲐᲪ“

ამის გარდა, არის კიდევ სხვა ნიუანსები: თუ იქ იყო თვითმკვლელობა, ბუნებრივია, ეს უნდა განხორციელებულიყო გარდაცვლილის ხელით. ამ შემთხვევაში მის ხელზე სისხლის კვალი უნდა დაფიქსირებულიყო ზევიდან ქვევით – ანუ თითებიდან მაჯის მიმართულებით. რეალურად კი პირიქით აღმოჩნდა. გამოითქვა მოსაზრება, რომ თითქოს გასროლის შემდეგ იმდენად სწრაფად მოსწყდა ხელი და დაიკავა ქვედა მდგომარეობა, რომ სისხლის გამოშხეფებას დაასწრო ამ ყველაფერმა.

– რატომ არის თქვენთვის ეს პასუხი მიუღებელი?

– ვერც ერთი ექსპერტი ვერ იტყვის კატეგორიულად, რომ მაინცდამაინც ასე იყო ეს ყველაფერი და არა სხვანაირად.

ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝ ᲐᲜᲫᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲐᲑᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲘ

– სატელეფონო ანძების ამოღებისა და შესწავლის აუცილებლობა საწყის სტადიაშივე დავაყენეთ, თუმცა მთელ ამ პერიოდში, ეს მოთხოვნა სისტემატურად მეორდებოდა, მაგრამ ყოველთვის უარყოფით პასუხს ვიღებდით. არგუმენტი იყო ის, რომ იყო ზღვა ინფორმაცია, რომლის შესწავლა ძალიან რთული იქნებოდა. გამომძიებლები მარტივად გვეკითხებოდნენ, ვინ უნდა ვეძებოთო. აინტერესებდათ, კონკრეტული ადამიანის აქტივობა გვაინტერესებდა თუ არა. არადა საკითხი ასე არ იდგა. ჩვენი მხრივ, ადვოკატები მოითხოვდნენ ამ მასალის შესწავლას, ვინაიდან სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით შესაძლოა, გამოკვეთილიყო იმ აბონენტთა წრე, რომელთა აქტივობაც შესაძლოა საეჭვო გამხდარიყო გამოძიებისთვის. გახსოვთ თქვენ, რომ ვაზაგაშვილის მკვლელობის გახსნაში, პოლიციელი სოსანაშვილის გამოვლენა სწორედ ამ ანძების შესწავლის შედეგი იყო... სწორედ მას შემდეგ შედარდა მისი დეენემი ჭურვის ნაწილზე აღმოჩენილ დეენემთან და ყველაფერი ნათელი გახდა. იგივე მეთოდის გამოყენება რატომ არ შეიძლებოდა ჩვენს კონკრეტულ საქმეში? საბოლოოდ, მას შემდეგ, რაც შეხვედრა გვქონდა პროკურატურის მაღალჩინოსნებთან, მივიღეთ თანხმობა და გადაწყდა, რომ ამ კვლევას ჩაატარებდა შსს-ს სპეციალური დანაყოფი, რომელსაც ასეთი მუშაობის გამოცდილება ჰქონდა. ვფიქრობთ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

– აქცენტს აკეთებთ იმაზე, რომ არ მოცდენილიყვნენ გამომძიებლები, თუ უნდობლობის მომენტი გქონდათ გამოძიებასთან?

– რა თქმა უნდა, იმაზე, რომ არ მოცდენილიყვნენ.

– ამ მიმართულებით არ გიცდიათ, ალტერნატიული გამოძიებისთვის მიგემართათ?

– ჯერ ვფიქრობთ, მოვიცადოთ, რა შედეგებს დადებს ეს ჯგუფი, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ეს მასალები ალტერნატიულ წყაროებსაც გადავცეთ.

– რამდენი ხანია, რაც ეს ჯგუფი მუშაობს და არის თუ არა რაიმე შედეგი?

– ეს ჯგუფი დაახლოებით სამი თვეა მუშაობს. ამასობაში გამომძიებლისგან სიტყვიერად მივიღეთ ინფორმაცია, რომ სპეციალისტთა ჯგუფმა დააყენა რამდენიმე აბონენტის ვინაობის დადგენის საკითხი. ანუ უნდა დადგინდეს კონკრეტული ტელეფონის ნომრების ახლანდელი და შემთხვევისდროინდელი მფლობელები. სხვა დამატებითი ინფორმაცია არ მიგვიღია.

– რამდენი დღის მასალას სწავლობენ?

– ორი დღისას – გასული წლის 14 და 15 ივლისს განხორციელებულ ზარებს... ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, ვინაიდან, არ არის გამორიცხული, რომ ამ ტრაგედიის წინა დღესაც ყოფილიყო გარკვეული ტიპის მოქმედებები განხორციელებული.

ᲒᲐᲨᲘᲤᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲨᲘᲤᲠᲐᲕᲘ ᲕᲘᲓᲔᲝᲛᲐᲡᲐᲚᲐ

– მასალა ძალიან დიდია, სამუშაოც შრომატევადია. ჩვენც ვეხმარებით გამოძიებას მის გაშიფვრაში. სამწუხაროდ, კამერების დრო ერთმანეთს არ ემთხვევა, ხილვადობაც ცუდია, მაგრამ ჩვენ მაინც „თვალებს ვითხრით“ და ვაკვირდებით მანქანების მოძრაობებს, ადამიანების შესვლა-გამოსვლებს, დროში თანხვედრას... ერთი სიტყვით, ძალიან რთული საქმეა.

– რამდენიმე თვის წინ, „პაიმტაიმთან“ საუბრისას თქვენ განაცხადეთ, რომ თქვენი ძმის პოლიტიკურ პარტნიორთან, გიორგი ხევიაშვილთან დაკავშირებით ყველა საკითხი ამოწურული არ იყო. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც თქვენი გარდაცვლილი ძმა აღმოაჩინა...

– მართლაც არ არის ამოწურული და აგიხსნით, რატომ: ვიდეომასალაში ჩანს, როგორ მოდის მათი მანქანა. წინა ეზოს გაივლის და შედის გვერდითა მხარეს. ორი ადამიანი გადმოდის მანქანიდან და ადის სახლში. შემდეგ ჩამოდიან და შედიან ავტოფარეხში. გამოდიან გარეთ. ეძახიან მეგობრებს, დაცვის თანამშრომლებს, რეკავენ...

– ხევიაშვილმა თავის დროზე ავტოფარეხში ჩასვლა ახსნა იმით, რომ აინტერესებდა, ეროსის ორივე მანქანა ადგილზე იყო თუ არა და ამით გაარკვევდა, ის სადმე მანქანით გავიდა, თუ სახლში იყო და ვერ გაიგო ზარის ხმა... თუმცა, საინტერესოა ერთი დეტალი: ირკვევა, რომ ტელეფონზე ისინი შეხვედრაზე შეთანხმდნენ და ეროსი უნდა წასულიყო მასთან. რაღატომ მიაკითხეს მას სახლში?

– რა იყო მათი რეალური შეთანხმება, არ ვიცით. მე ვიცი, რომ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, ჩასულიყვნენ რუსთავში, რაღაც ვალდებულებები გაესტუმრებინათ... თუმცა, ისიც ვიცი, რომ წინა საღამოს იყო მისული გია ეროსისთან. ისაუბრეს, შტაბს როგორ უნდა ეფუნქციონირა და მსგავს სხვა საკითხებზე. შემდეგ მუშაობა.

– რამდენიმე თვის წინ, „პაიმტაიმთან“ საუბრისას თქვენ განაცხადეთ, რომ თქვენი ძმის პოლიტიკურ პარტნიორთან, გიორგი ხევიაშვილთან დაკავშირებით ყველა საკითხი ამოწურული არ იყო. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც თქვენი გარდაცვლილი ძმა აღმოაჩინა...

– მართლაც არ არის ამოწურული და აგიხსნით, რატომ: ვიდეომასალაში ჩანს, როგორ მოდის მათი მანქანა. წინა ეზოს გაივლის და შედის გვერდითა მხარეს. ორი ადამიანი გადმოდის მანქანიდან და ადის სახლში. შემდეგ ჩამოდიან და შედიან ავტოფარეხში. გამოდიან გარეთ. ეძახიან მეგობრებს, დაცვის თანამშრომლებს, რეკავენ...

– ხევიაშვილმა თავის დროზე ავტოფარეხში ჩასვლა ახსნა იმით, რომ აინტერესებდა, ეროსის ორივე მანქანა ადგილზე იყო თუ არა და ამით გაარკვევდა, ის სადმე მანქანით გავიდა, თუ სახლში იყო და ვერ გაიგო ზარის ხმა... თუმცა, საინტერესოა ერთი დეტალი: ირკვევა, რომ ტელეფონზე ისინი შეხვედრაზე შეთანხმდნენ და ეროსი უნდა წასულიყო მასთან. რაღატომ მიაკითხეს მას სახლში?

– რა იყო მათი რეალური შეთანხმება, არ ვიცით. მე ვიცი, რომ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, ჩასულიყვნენ რუსთავში, რაღაც ვალდებულებები გაესტუმრებინათ... თუმცა, ისიც ვიცი, რომ წინა საღამოს იყო მისული გია ეროსისთან. ისაუბრეს, შტაბს როგორ უნდა ეფუნქციონირა და მსგავს სხვა საკითხებზე. შემდეგ ეროსი აცილებს ხევიაშვილს და საუბარი გრძელდება სადარბაზოში. ამაზე კამერის ჩანაწერიც არსებობს, რომელიც თავის დროზე, რატომღაც არ გაიშიფრა. შემდგომში საქმეში ჩაიდო სტენოგრაფიული ჩანაწერები.

– ეს ჩანაწერები საინტერესოა გამოძიებისთვის?

– თუკი გამოძიებისთვის საინტერესო იყო ხევიაშვილის ფრჩხილი, თმა და ტანსაცმელი, რომლის ნიმუშებიც თავიდანვე აიღეს, ვფიქრობ, ეს საუბარიც საინტერესო უნდა ყოფილიყო.

– საუბრის შინაარსი თქვენთვის ცნობილია?

– ცნობილია მხოლოდ აბსტრაქტული ფრაზები. ექსპერტიზამ მთელი საუბარი ვერ გაშიფრა, რადგან კარგად არ ისმოდა. დაკითხვისას კი ხევიაშვილი განმარტავს, რომ ეს იყო მათი მეგობრული საუბრის გაგრძელება... თუმცა, აქვე მინდა გითხრათ, რომ მე არ მაქვს რომელიმე კონკრეტული პირის მისამართით ეჭვები, მით უმეტეს, არც გიორგი ხევიაშვილის მიმართ. აქ საუბარია იმაზე, რამდენად ეფექტურად იმუშავა გამოძიებამ იმ დეტალებზე, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მისთვის.

ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ

– არავინ ჩათვალა საჭიროდ, მოეძიებინათ მონაცემები ეროსის კომპიუტერიდან. არადა ქალის ჩვენებაში, რომელიც მასთან მუშაობდა, წერია, რომ ის გარდაცვალების დღეს პირველიდან სამ საათამდე კომპიუტერთან იჯდა და მუშაობდა. სამ საათზე გავიდა სახლიდან და დამთავრდა ყველაფერი... ბუნებრივია, გამომძიებელმა, რომელსაც თუნდაც ურყევი რწმენა აქვს, რომ მოხდა თვითმკვლელობა, უნდა იფიქროს, რომ შესაძლოა, გარდაცვლილმა კომპიუტერში დატოვა წერილი, ან შეტყობინება ამასთან დაკავშირებით. ბოლოს და ბოლოს, ამით თავის ვერსიას ხომ გაამაგრებდა? რატომ არ აკეთებენ ამას? მით უმეტეს, რომ ამ კომპიუტერის ამოღებას დაჟინებით ითხოვდნენ ეროსის გარდაცვალების პირველივე დღეებში. მაშინ ჩემმა რძალმა, იამ ითხოვა, რომ ეს კომპიუტერი ამოეღოთ ნესისა და რიგის მიხედვით, მხოლოდ დაკრძალვის შემდგომ. ასეც მოხდა, დაკრძალვიდან მესამე დღეს შესაბამისი ოქმით მოხდა ამ კომპიუტერის ამოღება. ამით დასრულდა ყველაფერი. იქვე მოგვცეს პირობა, რომ ჩვენს გარეშე არაფერი მოხდებოდა, თუმცა მაინც მოხდა რაღაც... გატეხეს მისი სკაიპი და მასალა გადასცეს გამოძიებას. ბუნებრივია, მქონდა პრეტენზია, ეს რატომ მოხდა ჩვენს გარეშე. აგვიხსნეს, რომ მასალის შესწავლა ჯერ არ დაუწყიათ...

– ეჭვი გაქვთ, რომ შესაძლოა იქ რამე გაყალბდეს?

– აქამდე ვენდობოდი და ახლაც ვენდობი გამოძიებას.

– მაგრამ არ გამორიცხავთ, რომ შესაძლოა იქ „გაჩნდეს“ ჩანაწერი, რომელიც თვითმკვლელობის ვერსიას გაამყარებს?

– ეს ძალიან სარისკო საქმეა და არავის ვურჩევ ამის გაკეთებას. თუმცა, რეალურად არ მოველი, რომ ასეთი რამ შესაძლებელია მოხდეს...

ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲧᲕᲐᲜᲐ(?!)

– გამოძიების გარკვეულ ეტაპზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ის თვითმკვლელობამდე მიყვანის მიმართულებითაც მუშაობდა...

– უფრო მეტად ვიფიქრებდი, რომ ეროსი გამოუვალ სიტუაციაში სხვას ესროდა, ვიდრე საკუთარ თავს. მაქვს ეს განცდა და თუ რამე შემირყევს მას, მხოლოდ მყარი არგუმენტები. ორივე შემთხვევაში ჩემი ძმა გარდაცვლილია და ამას ვერაფერს ვუზამთ, ჩემი სატარებელი ტკივილია მაინც. მთავარია, დავადგინო მისი გარდაცვალების რეალური მიზეზი, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი მიზეზი ჩემთვის უზარმაზარი ტრაგედიაა.

ᲘᲥᲜᲔᲑ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ?!.

– რეალურად არ გამოვრიცხავ მის პოლიტიკურ მკვლელობას. ჩემი ძმა საქართველოს უახლეს ისტორიაში საკმაოდ აქტიური ფიგურა იყო. თუმცა არ ვაპირებ ჭორაობას. ძალიან რთულ სიტუაციაში ვარ, ძალიან რთულად მივიკვლევ გზას ჩემს მეგობარ ადვოკატებთან და გამოძიებასთან ერთად. თუმცა ამ საქმეს ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს. ძალიან რთულია ჯერჯერობით წერტილის დასმა. ჩემთვის მთავარია ერთადერთი რამ – გავარკვიო, იყო თუ არა იქ დანაშაული ჩადენილი. ნამდვილად არ ვაპირებ არც ამ საკითხით სპეკულირებას და არც იმას, რომ ლეგენდების შეთხზვას შევუწყო ხელი.

– თუმცა, მისი გარდაცვალების დროისთვის, ის რეალურად არ წარმოადგენდა გავლენიან პოლიტიკურ ძალას...

– არავინ იცის, რა გადანაწილებები ხდებოდა და რა გეგმები ჰქონდა ეროსის მომავლისთვის დასახული.

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

– ჩვენი ინფორმაციით, გამოძიება ამ საკითხს მხოლოდ მეწარმეთა რეესტრიდან ამოღებული ოფიციალური დოკუმენტაციით ამოწურავს. შესწავლილია ის ბიზნესაქტივობები, არც ამ დოკუმენტაციის ფარგლებს სცდება?

– ერთადერთი, რაც ამ მიმართულებით დევს საქმის მასალებში, მალხაზ გულაშვილის დაკითხვის ოქმია, რომელმაც განმარტება გამოძიებას ცნობილ სატელევიზიო ტოქშოუში გაკეთებული განცხადების შემდეგ მისცა, ეროსის შესაძლო ინტერესებთან დაკავშირებით გადაზიდვებში. ამ ჩვენებაში ის განმარტავს, რომ ეს განცხადება მხოლოდ მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე გააკეთა. შესაბამისად, ეს თემა „ჭორად“ იქნა აღქმული და ამით დასრულდა ამ მიმართულებით მუშაობა.

ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

– საკმაოდ აქტუალურია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გასხვისებასთან დაკავშირებული ვერსიაც. ბევრისთვის მოულოდნელი იყო ამ ტელეკომპანიის დამოკიდებულების რადიკალური ცვლა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების შემდეგ. თუ მანამდე ის „შერისხულიც“ კი ჰყავდათ, მოგვიანებით ეს ტრაგედია ამ ტელეკომპანიამ მის წინააღმდეგ მიმართულ აქტადაც კი მონათლა...

– მოგეხსენებათ, რომ ძალიან აქტიურად დგას ამ ტელეკომპანიის გასხვისების სამართლებრივი შეფასების საკითხი. ეროსი ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო. არ არის გამორიცხული, რომ ტელეკომპანიამ მისი გარდაცვალება ამ კონტექსტში იმის გამო აღიქვა, რომ საქმის მთავარი მოწმე გარდაიცვალა.

– თუმცა, არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ თქვენს ძმას ტელევიზიის გასხვისების დროს ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე მილიონი „ქეშად“ მისცა, რაც მას მისი პარტნიორებისთვისაც უნდა გაეყო და ეს არ გაუკეთებია... ეს ინფორმაცია ეროსის გარდაცვალების საქმესთან მიმართებაში თქვენთვის მნიშვნელოვანია?

– არავინ იცის, რეალურად რა მოხდა, ან საიდან მოვიდა ეს ვერსია. ჭორებს ვერ ავყვები. ამისთვის არ მცალია. ისედაც ძალიან რთულად მივდივართ წინ მე და ჩემი მეგობრები. ჩვენთვის მთავარია იმ სურათის აღდგენა, რაც ჩემი ძმის გარდაცვალების დღეს მოხდა. შესაბამისად, ლეგენდების განვითარებას ხელს ვერ შევუწყობ.

– ბოლოს კიდევ ერთი უხერხული შეკითხვა: რატომ არის ასეთი პასიური ია კიწმარიშვილი? ეს კითხვა უამრავ კულუარულ ვერსიას აჩენს...

– იამ ახალგაზრდა მეუღლის დაკარგვა ყველაზე მეტად განიცადა, მათ შორის, ვინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. იმ დროისთვის მათი შვილები ცხოვრების ახალ ეტაპზე გადადიოდნენ – უცხოეთში იწყებდნენ სწავლას. ეროსის გარდაცვალების დროს აქ აღმოჩნდა უმცროსი ქალიშვილი, ჩამოვიდა უფროსიც.

– მაგრამ არ ყოფილა მისი ვაჟი...

– ვაჟი ვერ ჩამოვიდა, ვინაიდან ის იმ მომენტისთვის კონტრაქტით მუშაობას იწყებდა და წლების განმავლობაში მიღწეული შრომისა და სწავლის შედეგები წყალში ჩაეყრებოდა.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„საუკუნის სისხ

ჯგუფური გაუ
დღემდე გაუხს

სკოლის დარაჯი: „ეჭვმიტანილები ცნობილი ადამიანების შვილები იყვნენ. ექიმის, პროკურორის და ასე შემდეგ“

მასწავლებელი: „ნაგავი ჩააყარეს შიგ, ბლაგვი საგანიც იხმარეს გაუპატიურებისას“

გიორგი ურუშაძე

„საუკუნის სისხლიანი კვალი“ - ამ სახელწოდებით მოიხსენიებენ 1980 წელს რუსთავში ჩადენილ საზარელ დანაშაულს. ჯგუფური გაუპატიურება და წამება, ეს დ. გ.-ის მიმართ განხორციელებული დანაშაულებების არასრული ჩამონათვალია.

რატომ 2015 წელი და რატომ 35 წლის წინათ მომხდარი საზარელი დანაშაულის დეტალების ძიება? - ინსპირაციის წყარო, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები გახლავთ“. სცენარი, სადაც წარჩინებული ოჯახის შვილები, ახალგაზრდა გოგონას აუპატიურებენ და თან სასტიკად აწამებენ, ნაცნობია. ვინც რუსთავში მომხდარი ეს საზარელი ისტორია იცის, მათ მაშინვე გაავლეს პარალელი სერიალთან. თუმცა, თავად სცენარის ავტორი ასეთ მსგავსებას უარყოფს. ქეთი დევდარიანის თქმით, ნებისმიერი დამთხვევა შემთხვევითია და საწყისად საბჭოთა რეალობა და ქართული საზოგადოებაა აღებული.

ქეთი დევდარიანი:

- ბუნებრივია, სერიალის სცენარს პირდაპირი კავშირი არ აქვს რუსთავში მომხდარ ფაქტთან, ეს ამბავი მეც პოსტფაქტუმ გავიგე, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტმა ნათია კობერიძემ სტატუსი გამოაქვეყნა. თუმცა, სერიალში ქართული რეალობაა ასახული.

სერიალს, ჟურნალისტ ნათია კობერიძის სტატუსი მოჰყვა, სადაც ის რუსთავში მომხდარ საზარელ მკვლელობას იხსენებს და სერიალთან პარალელს ავლებს.

ნათია კობერიძე:

- დაახლოებით 1980 წელს რუსთავში 21 წლის დ. გ. გააუპატიურეს და მოკლეს მაშინდელი ქალაქის „ელიტის“ შვილებმა. ამ ადამიანების სახელები მთელმა ქალაქმა იცოდა. მაშინაც ჭორაობდნენ ობოლი დ.გ.-ის სითამამეზე, რომელმაც გაბედა და ჯინსებში ჩაცმული, მარტო აღმოჩნდა უცხო ბიჭებთან. დედაჩემი თავგამოდებით იცავდა იმ დ.გ.-ს. ეს ამბავი ჩემი ბავშვობის კოშმარად იქცა, რადგან დიდხანს მეშინოდა, ისე ღრმად განიცდიდა დედაჩემი“.

საბჭოთა ცენზურა, ბუნებრივია, ვერ შემოგვინახავდა 1980 წელს, მკვლელობის ცხელ კვალზე დაწერილ მასალებს, რადგან მაშინ - გაუპატიურების მაჩვენებელი იყო 0. ასე რომ, ძიების შედეგად 1990 წლის მასალას მივაგენით, გაზეთები „საქართველო“ და „თბილისი“ გაუხსნელი ჯგუფური გაუპატიურების შესახებ წერდნენ. სტატიები „არიადნეს ძაფის ძიებაში“ და „შეჩერებული“ შთამბეჭდავი სათაურებით ჩვენ ყურადღებას იქცევენ. საზარელი დანაშაულის ზუსტი ქრონოლოგია, ეჭვმიტანილები და შექმნილი გარემოებები ზედმიწევნითი სიზუსტითაა აღწერილი.

როგორც ირკვევა, 1980 წლის 30 იანვარს, ქ. რუსთავში, ბალანჩივაძის ქუჩაზე, დილის 8 საათსა და 20 წუთზე, მე-9 საშუალო სკოლის სპორტდარბაზის კედელთან, შეამჩნიეს, რომ ახალგაზრდა გოგონა ინვა. იგი სასტიკად იყო ნაწამები.

სახლში, სადაც დ.გ. ცხოვრობდა მოგვიანებით სალონი გაიხსნა. ჩვენ იმ ქალს მივაგენით, ვისაც სახლი დაქირავებული ჰქონდა.

სტილისტი (ნ.მ.):

- ეს ამბავი ქალაქში თითქმის ყველამ იცის. მე, პირადად, არ მქონია შეხება მის ოჯახთან, რადგან ქალაქში გვიან გადმოვედი საცხოვრებლად, მაგრამ, როგორც გავიგე, სალონი სწორედ იმ სახლში მქონდა გახსნილი, სადაც თავის დროზე დ.გ. ცხოვრობდა.

დ.გ.-ს სახლი დიდი ხნის წინ გაიყიდა, ახლა დაკეტილია. ეს ისტორია ჩვენთან ძველმა მეზობლებმა გაიხსენეს.

სერგო ბიძია, რომელსაც უბანში მეთევზის სახელით იცნობენ, დ.გ.-ის ოჯახის დიდი ხნის მეგობარია. მისი თქმით, დ. გ. მამიდამ იშვილა და ის ზრდიდა. მამა იმ დროს ცოცხალი ჰყავდა, დედა კი, გარდაცვლილი.

სერგო ძია (მეთევზე):

- კარგი ბავშვი, მშვენიერი გოგონა იყო. მისი გაუპატიურება ვერავის დაუმტკიცეს. ოჯახმა, ბუნებრივია, უჩივლა, იბრძოდნენ სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ სამართალს ვერ მიაღწიეს. შემდეგ ეს ბინა გაიყიდა და სხვები გადმოვიდნენ.

რუსთავის ერთ-ერთი მაცხოვრებელი, რომელიც ახლა თხილს ყიდის, ეჭვმიტანილებს იხსენებს. სწორედ მისგან გავიგეთ, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილებიდან ერთ-ერთი გარდაცვლილია. დანარჩენი ორი, საქმის მიხედვით, ვინმე ორ-ძე და ამ-ძე კი ცოცხლები არიან.

სკოლა, სადაც გოგონა იპოვეს ბალანჩივაძის ქუჩაზე მდებარეობს. ახლა ამ ამბავს ყველა სხვადასხვაგვარად იხსენებს. ზოგი დარწმუნებულია, რომ ნაწამები გოგონა ჯერ კიდევ ცოცხალი იპოვეს. სხვები ამბობენ, რომ გოგონა უკვე გარდაცვლილი იყო.

სამედიცინო დასკვნა ცხედრის აღწერილობას ასე წარმოგვიჩენს:

(ტ.1. ს.ფ.89) 1. თავის ქალის სარქველის, ქალის ფუძის და ქვედაყბის ძვლების მოტეხილობა. სისხლნაჟღენთი მარცხენა თვალის არეში. მიეკუთვნება მძიმე, სიცოცხისათვის საშიშ დაზიანებას.

2. იდაყვის სახსრის წინა ზედაპირზე ორი ნაჩხვლეტი ჭრილობა და ბარძაყის გარეთა ზედაპირზე ნაჩხვლეტი ჭრილობა.

3. საშოდან აღებულ ნაცხში აღმოჩნდა მრავლობითი სპერმატოზოიდები, რაც ჯგუფურ გაუპატიურებაზე მიგვანიშნებს.

4. საქალწულო აპკის მთლიანობა დარღვეულია.

5. კიდურების ძვლების მოტეხილობა.

6. უკანატანში სისხლნაჟღენთები განვითარებულია ბლაგვი საგნის მოქმედებით. შესაძლებელია გაუკულმართებული სქესობრივი კავშირის დროს.

მიუხედავად ასეთი სიმძიმის დანაშაულისა არავინ დასჯილა. როგორც ქალაქის მაცხოვრებლები ამტკიცებენ, ისინი „ბობოლა“ ოჯახის

იურისტი: „საქმის განახლების პერსპექტივა პრაქტიკულად ნულის ტოლია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პატიურება რუსთავში და ნელი სასტიკი დანაშაული

რა კავშირშია შემთხვევა „ჩემი ცოლის დაქალებთან“?

შვილები იყვნენ და სწორედ ამან გადაარჩინა ციხის კედლებში მოხვედრას.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, თავდაპირველად, კვალის დაფარვის მიზნით, დანაშაული სკოლასთან ახლოს მდებარე მატარებლის ლიანდაგებზე განთავსებულ ვაგონებში მცხოვრებ პირებს დაბრალდათ და ეჭვმიტანილებადაც სწორედ ისინი გამოცხადდნენ, ნამდვილი დამნაშავეების სახელები და გვარები კი გამოძიებაში არ ფიგურირება. ესენი გახლდათ ორ-ძე, ამ-ძე, წი-ლი, ბუ-ლი.

სკოლის დარაჯი:

- სკოლის ეზოში იპოვეს, მგონი მეეზოვეს უპოვია. დაქალი ჰყავდა ლია, ვისთანაც დადიოდა სამეცადინოდ. მე ახალი დანიშნული ვარ სკოლაში. თუმცა, როგორც გამიგია ეჭვმიტანილები ცნობილი ადამიანების შვილები იყვნენ. ექიმის, პროკურორის და ასე შემდეგ. დ.გ. ძალიან კარგი გოგო იყო, კარგად სწავლობდა, ყველას უყვარდა. ესენი იყვნენ ბობოლა ხალხის შვილები.

როგორც დარაჯის ნაამბობიდან ირკვევა, დ.გ. მეგობართან ყოველდღე დადიოდა სამეცადინოდ, რადგან აბიტურიენტი იყო და უნივერსიტეტში ჩასაბარებლად ემზადებოდა. მისი მარშრუტი განსაზღვრული იყო. მას ყოველდღე აცილებდნენ ოჯახის წევრები, ის დღე გამონაკლისი იყო - 30 იანვარს ის სახლიდან მარტო გამოვიდა.

სკოლის მასწავლებელი, რომელიც ერთ-ერთ ეჭვმიტანილს იცნობდა, ყვება:

- როგორც თქვეს, რკინიგზასთან ცარიელი ვაგონები იყო, იმ ვაგონში შეათრიეს. იქ რომ გააუპატიურეს ოთხივემ, მერე მკვდარი დააგდეს სკოლის ეზოში. ისეთი უზრდელი რამეები ჩაიდინეს, ისეთი ბინძური რამეები გააკეთეს, თევზის ნაჭამებიო, ნაგავი ჩააყარეს შიგ, ბლაგვი საგანიც იხმარეს გაუპატიურებისას, ასეთი ძურისძიება საიდან, თუ წინასწარ განზრახული არ იყო?

სკოლის მასწავლებელი, დ.გ-ის მეგობარ ლიასაც იხსენებს, ამბობს, რომ მის შესახებ დიდი ხანია არაფერი სმენია.

მასწავლებელი:

- ლია არ ვიცი, მაგის დედაც და მამაც გარდაიცვალა, ეგ გოგო თბილისში თუ სადღაც გათხოვდა. დიდი ხანია არაფერი მსმენია.

იგი 30 იანვრის დილასაც იხსენებს და ეჭვმიტანილების ვინაობასაც გვისახელებს.

მასწავლებელი:

- დილით რვას აკლდა ათი წუთი, როცა ჩვენ სახლიდან გავედით, არაფერი არ ვიცოდით, თურმე უკვე მკვდარი იყო. მერე თქვეს, რომ მეეზოვე გვიდა და გადაანყდა სხეულს და იმან შეყარა ხალხი, პოლიცია მოიყვანაო. ეჭვმიტანილ ბუ-ილს ვიცნობდი, პოლიციაში მუშაობდა. ორ-ძე პროკურორის შვილი იყო. აქ აღარ გაჩერდა. ახლა ცოცხალია. თბილისში ცხოვრობს და ოჯახიც ჰყავს. მაგათ ისეთი პატრონები ჰყავდათ, ვინ დაიჭერდა. აქ გამოსაძიებელია, რატომ მაგ ბავშვს. რატომ დილის 6 საათზე, ვინ მიაწოდა მაგათ ეს ინფორმაცია. ეს გოგო, დ.გ. მამიდამ გაზარდა, თვითონ მგონი მა-ძე იყო გვარად.

მამიდა ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ ისე გარდაიცვალა მიზანს ვერ მიაღწია. ამ-ძე სასწავლებლად წავიდა, მაშინ ახალი სკოლადამთავრებული იყო. სამედიცინო დაამთავრა თვითონ მაგ ბიჭმა. კარიერაც გაიკეთა.

„პრაიმტაიმმა“ ერთ-ერთი ეჭვმიტანილის ოჯახს მიაგნო. მართალია თავად ბუ-ლი, 15 წლის წინათ გარდაიცვალა, მაგრამ მის ცოლთან გასაუბრება შევძელით.

საკვირველია, მაგრამ მთელ ქალაქში ბუ-ლის ცოლი ერთადერთი ადამიანი გამოდგა, ვინც ამ ამბის შესახებ „არაფერი“ იცოდა. თუმცა, ეს საუბრის დასაწყისში. იგი ბუ-ლს ცოლად 1971 წელს გაჰყვა, საზარელი შემთხვევა კი 1980 წელს მოხდა. ასევე, ნიშანდობლივია, რომ ქალბატონი დაბადებიდან რუსთავის მკვიდრია.

ბუ-ლის (ეჭვმიტანილის) ცოლი:

- მაშინ ჩემი შვილები პატარები იყვნენ... მეუღლე რამდენიმე წელია უკვე გარდაიცვალა. ნამდვილად არ მსმენია მსგავსი ისტორია, 1971 წელს გავყევი ჩემს მეუღლეს. რა ლაპარაკია. სად შუქდება, რა დროს მაგის გაშუქებაა, ჯერ ერთი, და მეორე, აზრზე არა ვარ საერთოდ რა ხდება და როდის რა იყო. აბსოლუტურად არ ვფლობ ინფორმაციას. ჩემს ქმართან მიმართებით მსგავსი ფაქტი არ მახსოვს, არც დაკითხვაზე ყოფილა და არც სახლშიც გვისაუბრია...

თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ ქალბატონმა მაინც შეძლო შემთხვევის გახსენება:

ბუ-ლის ცოლი:

- რაღაც ყურმოკრულად მეც ვიცი, რომ მოხდა რაღაც. თუმცა ჩემს ოჯახთან მიმართებით საუბარი არასდროს ყოფილა.

„პრაიმტაიმი“ ზურაბ მატკავას დაუკავშირდა. დ.გ.-ს საქმეს სწორედ ის იძიებდა, ის ახლაც მოქმედი პროკურორია. მისი თქმით, საქმე გაუხსნელი დარჩა, მასალები კი 90-იან წლებში სამოქალაქო ომის დროს დაიწვა.

ზურაბ მატკავა, გამომძიებელი:

- მასალები არ არსებობს, საქმე დამწვარია, განადგურებულია. სხვა საქმეებთან ერთად. საქმე გაუხსნელი დარჩა. მაშინ იყო ასეთი ცნობილი ფაქტი - „შაოსნების“ საქმე, მასთან დაკავშირებით შეიქმნა სამთავრობო კომისია და ეს საქმეები იქნა გამოთხოვილი და მერე, სამოქალაქო ომის დროს, დაიწვა.

რა სამართლებრივი ნორმები მოქმედებს წარსულში ჩადენილ დანაშაულთან მიმართებაში და არის თუ არა შესაძლებელი დამნაშავეების დასჯა, ამდენი წლის შემდეგ, ამაზე სასაუბროდ იურისტ ლევან ალაფიშვილს დავუკავშირდით.

ლევან ალაფიშვილი, იურისტი:

- განახლებისთვის გარდა პროცესუალური მტკიცებულებებისა საჭიროა ე.წ. ხანდაზმულობის ვადების დაცვა და ამ შემთხვევაში არ მგონია, რომ ეს ყოფილიყოს ისეთი დანაშაული, რომელზეც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადები, 35 წელია გასული. დანაშაულები, რომლებზეც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადები, არის იმ ტიპის დანაშაულობები, როგორიცაა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულობები, სამშობლოს ღალატი და ამ ტიპის ქმედებები, რომელზეც არ შეიძლება ვრცელდებოდეს ხანდაზმულობის ვადები და მესამე მომენტი, რაც მნიშვნელოვანია, რეალურად, იმ დროს მოქმედი კანონით, რა ვადა და პროცედურები იყო გათვალისწინებული და რა არის დღეს. ეს სამივე ფაქტორი თუ არ იქნება გათვალისწინებული და ერთობლივად განხილული, ძნელია მტკიცებით ფორმაში რაიმეს თქმა. თუმცა ვადა, რომელიც გასულია - 35 წელი, იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ შეწყვეტილი საქმის განახლების პერსპექტივა პრაქტიკულად ნულის ტოლია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯანმრთელ ბავშვს სასიკვდილო(!) დიაგნოზი დაუსვეს

სალომე ჯოლია

ძნელია შეაფასო ეს ისტორია, მას მართლაც სჭირდება საქმეში სპეციალისტების ჩარევა. იმედი გვაქვს, ჯანდაცვის სამინისტრო ინტერესს გამოიჩენს და შესაბამის რეაგირებას მოახდენს. წინასწარი დასკვნა ასეთია: კლინიკები სახელმწიფო დაზღვევით სარფიანად სარგებლობენ ან სხვა სერიოზული პრობლემებია – დიაგნოზის დასმა უჭირთ.



„შეიძლება ჟვანიას კლინიკას მოძველებული ლაბორატორია აქვს, განახლებას საჭიროებს და ცდომილებაც აქედან გამომდინარეობდა. მაგრამ მე რა დავაშავე? ჩემს შვილთან ერთად, იმ დღეს იყო მარგველაშვილის შვილი, ძალიან მაინტერესებს, პრეზიდენტის შვილსაც იგივე ანალიზები გაუკეთეს?“

ამჯერად სერიოზულ სკანდალში ჟვანიას კლინიკა გაეხვია. მშობელს აქვს იმის მტკიცებულებები, რომ ბავშვს თითქმის სასიკვდილო დიაგნოზი შეცდომით დაუსვეს. რატომ? კლინიკა პასუხს არ იძლევა. ან პაციენტის დატოვების სურვილი ჰქონდათ და ამ დიაგნოზით დაზღვევას უფრო მეტ თანხას „გამოსტაცებდნენ“, ანდა მართლაც უჭირთ დიაგნოზის დასმა და მაშინ ეს მცირეწლოვანი ბავშვი გადარჩენილია.

ბავშვის დედა თავად დაუკავშირდა „პრაიმტაიმს“ და საკუთარი ისტორია მოუყვა.

მარიკო ნიქორიძე: ის, რაც ჟვანიას კლინიკაში ხდება, იმდენად დიდი პრობლემაა, რომ ჩემს შვილსაც შეეხო. მოკლედ, შაბათს ბავშვს დაემართა სუნთქვის უკმარისობა, ძილში ვერ სუნთქავდა და გამოვიძახეთ სასწრაფო დახმარება. სასწრაფო დახმარების ექიმმა მითხრა, რომ ბავშვს აქვს ცრუ კრუპის ნიშნები და წაგვიყვანეს ჟვანიას კლინიკაში. თავიდანვე ვუთხარი, რომ ციციშვილის კლინიკაში წავეყვანეთ, რადგან ბავშვი ყოველთვის, თუ რამე ასტკივდება, ამ კლინიკაში დაგვყავს. მიუხედავად ჩემი დაჟინებული მოთხოვნისა, სასწრაფოს ექიმებმა უარი მითხრეს. მიზეზად კლინიკაში თავისუფალი ადგილების არარსებობა დაასახელეს და მაინც ჟვანიას კლინიკაში წაგვიყვანეს.

როდესაც კლინიკაში მივედით, ბავშვს ინჰალაცია გაუკეთეს. ინჰალაციის ორჯერ გაკეთების შემდეგ უკვე კარგად იყო, აღარ ახველებდა, სუნთქვაც გამოუსწორდა. მესამე ინჰალაცია რომ გაუკეთეს, შევატყვე, რომ ბავშვს ფერი დაეკარგა, ტუჩები გაუთეთრდა და მორიგე ექთანს, მედიკო გელაშვილს ვკითხე, რატომ დაკარგა ბავშვმა ფერი-მეთქი. მან მიპასუხა, შეიძლება ჰორმონები რომ გავუკეთეთ, იმის ბრალიაო.

მისვლიდან ცოტა ხანში ბავშვს სისხლის ანალიზი გაუკეთეს, რომლის პასუხებიც იყო დილით, თუმცა, იმის მერე კიდევ სამჯერ გაუკეთდა ინჰალაცია.

როდესაც ბავშვი გამოკეთდა და სახლში წამოსვლას ვაპირებდით, ექიმმა თავი გაიგიჟა, ახლა მომიტანეს თქვენი ანალიზის პასუხები და საშინელი შედეგებიაო. ანალიზის პასუხების საფუძველზე ბავშვს აქვს ან სრული ანემია, ან, როგორც მინიმუმ, სისხლის გათეთრება.

შესაბამისად, გავგიჟდი, გადავირიე, როგორ შეიძლება, ბავშვს ჰქონდეს ასეთი ანალიზები. ექთანმა წასვლაზე უარი გვითხრა. წინაღმდეგ შემთხვევაში ხელწერილი უნდა დაგვეწერა. თუ კლინიკაში დავრჩებოდით, ბავშვი სასწრაფოდ რეანიმაციაში უნდა დაგვეწვინა. როგორც თვითონ აღნიშნეს, საკმაოდ მძიმედ იყო. ასეთი ანალიზები დიდი ხანი არ ენახათ.

ღამის ორ საათზე შესულებს, დილის 6 საათზე გვეუბნებიან, რომ ცუდი ანალიზებია და რეანიმაციაში უნდა დააწვინონ ბავშვი. როგორც მითხრეს, ვისაც კი 40-დან 48-მდე აქვს ჰემოგლობინი, იმათ რეანიმაციაში აწვენენ. შესაბამისად, ვერ გაგვიშვებდნენ, სანამ ჰემატოლოგიც არ მოვიდოდა... ეს ჰემატოლოგი იყო ვიღაც მარინა კვეზერელი, რომელიც, ვერ გაიგო მორიგე ექიმმა, მუშაობდა, შვებულებაში იყო, სახლში იყო თუ საერთოდ სად იყო.

3 საათი ველოდებოდით ამ ქალთან დაკავშირებას. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ვერ დაუკავშირდნენ, იმიტომ რომ, როცა ამ ანალიზების პასუხს ეტყოდნენ, ღმერთმა იცის, რას გააკეთებდა.

როცა ბავშვმა გამოიღვიძა, ექთანს ვუთხარი, რომ არ მჯეროდა ამ ანალიზის პასუხების, წავიდოდი და სხვაგან გავაკეთებდი, თუ არა და განმეორებითი ანალიზის გაკეთება მოვითხოვე. ანალიზის ხელმეორედ ჩატარებაზე უარი მითხრეს, თითქოს ჩემს ფინანსებს უფრთხილდებოდნენ. როგორც გავიგე, 13 თუ 15 ლარი ღირდა. ამ ქალმა არ იკადრა, რომ მეორე სართულზე ავეყვანე და განმეორებითი ანალიზი გაეკეთებინა. თუმცა ახლა ვხვდები, რომ აზრი არ ჰქონდა.

12 საათზე მეუბნებიან, რომ საღამოს 12 საათამდეც შემეძლო ვყოფილიყავი, მაგრამ პრობლემას არც სახლში წასვლა წარმოადგენდა. ამაზე გავბრაზდი და ვუთხარი, ქალბატონო, წეღან რეანიმაციაში მგზავნიდი და ახლა შემიძლია, სახლში წავიდე-მეთქი?! მომეცით ჩემი ანალიზები, წავალ და სხვაგან გავიკეთებ და პასუხებს შევადარებ. ღმერთმა არ ქნას, რომ არ დაემთხვას, რაც მე ახლა გადავიტანე, იმას მერე თქვენ გადაიტანთ ერთ დღეში-მეთქი.

– რატომ შეგეპარათ ეჭვი ანალიზის სისწორეში?

– ორი თვის წინ გავუკეთე ბავშვს ანალიზები, ჰემოგლობინი 72-ზე ჰქონდა და ასე მალე რა მოუვიდოდა?! როგორ შეიძლება, ბავშვს ჰემოგლობინი ასე მალე დაუვარდეს 72-დან 48-მდე?! რომ ვიკითხე, მითხრეს, რომ მინიმუმ შვიდი თვე (4 თვეც შეიძლება) შეიძლება გავიდეს და ასეთი მკვეთრი ცვლილებები არ დაფიქსირდეს. მინიმუმ ერთი წელი მაინც უნდა ყოფილიყო ბავშვი მშიერი, რომ მსგავსი ანალიზები ჰქონოდა.

მოკლედ, წამოვიყვანე ბავშვი ჟვანიას კლინიკიდან და წავიყვანე იმ კლინიკაში, სადაც დავდიოდით და ხელახლა ჩავუტარეთ ანალიზები. ბავშვს ყველაფერი ნორმაში აღმოაჩნდა.

იმ კლინიკაში, სადაც ხელმეორედ გავუკეთე ჩემს შვილს ანალიზები, კიდევ 3 ბავშვი მოიყვანეს ჟვანიას კლინიკიდან. მე რომ იქ მივედი, მივედი გაგიჟებული, ჯერ სატესტო ანალიზი გავაკეთებინე, მჟავაში ჩავასხმევინე სისხლი, წინასწარ მაინც რომ მცოდნოდა, აქვს თუ არა სისხლს პრობლემა და შემდეგ დაველოდე გრძელვადიან გამოკვლევას.

– შეადარეთ ანალიზის პასუხები?

– ჟვანიას კლინიკაში არ მომცეს ანალიზების პასუხების ფურცელი, ისე ამიხსნეს შედეგები. მე ხომ ვიცი, იქ რაც იყო. რა თქმა უნდა, შევადარე და აბსოლუტურად განსხვავებული შედეგებია. ბავშვს ყველაფერი ნორმაში აქვს. იმ 3 ბავშვს, რომლებიც ჟვანიას კლინიკიდან მოვიდნენ იმ კლინიკაში, სადაც მე ვიყავი, იგივე სიმპტომები აღენიშნებოდათ. იმათთანაც აბსოლუტური ცდომილება იყო ანალიზის პასუხებს შორის.

ჟვანიას კლინიკაში მითხრეს, რომ ახალი დათვლის სისტემით სისხლში ჰემოგლობინი არის 8.2, ნორმა არის 11.5. ძველი დათვლის სისტემით, ეს ნიშნავს, რომ ჰემოგლობინი არის 48-ზე. ნორმა კი 65-დან 72-მდეა. 130 000 გვითხრეს თრომბოციტები, რომლის ნორმა არის 160 000. ციციშვილის კლინიკაში რომ გავაკეთეთ ანალიზები, ჰემოგლობინი იყო 72-ზე ცოტა მეტი, თუმცა ეს არ არის საპრობლემო. რაც შეეხება თრომბოციტებს, თრომბოციტები არის 352 000. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა.

– ჟვანიას კლინიკაში რატომ არ მოგცეს ანალიზის პასუხები?

– არ ვიცი, არც კი აუხსნიათ, რატომ არ გამომატანეს. რომ ვუთხარი, ანალიზები მჭირდება-მეთქი, ასე მიპასუხეს, – აქ რჩება, ვერ მოგცემთო და ისე მიკარნახეს.

– ხომ არ მისულხართ ჟვანიას კლინიკაში?

– ჯერჯერობით არ მივსულვარ, არ მითქვამს, აზრი არ აქვს იქ მისვლას. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთან ერთად კიდევ სხვა ბავშვებიც იყვნენ ამ მდგომარეობაში და მათი მშობლებიც წუხდნენ. ამას უნდა ებრძოლო სისტემურად და არა პიროვნულად. მე რომ მივსულიყავი იქ, მეჩხუბა და მეყვირა, ისევ ჩემს თავს ვავნებდი და არა ჟვანიას კლინიკას და იმ კონკრეტულ ადამიანებს, ვინც ლაბორატორიაში არიან. ამას ვერავინ გაიგებდა. ვფიქრობ, რომ აქ მოსვლით მოვნახე გზა, როგორ უნდა ვებრძოლო მათ და არამხოლოდ მათ.

ელემენტარულია, თუკი სახელმწიფოში ზრუნავენ იმაზე, რომ სტრუქტურები იყოს ჩამოყალიბებული, მაშინ ჯანდაცვის სამინისტრო პირდაპირ ვალდებულია, აკონტროლოს ჯანდაცვის სისტემაში არსებული ყველა კლინიკა, რომელსაც აქვს „ემერჯენსი“.

ღმერთმა იცის ახლა, ჟვანიაში ბავშვებს რა ანალიზებს უკეთებენ და როგორ მკურნალობენ, ყველა დედა მეცოდება, ვინც იქ მოხვდება.

ხომ უნდა არსებობდეს ელემენ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კანდალში გაეხვია

„როცა სახლში წამოსვლას ვაპირებდით, ექიმმა თავი გაიგიჟა, ახლა მოგიტანეს თქვენი ანალიზის პასუხები და საშინელი შედეგებია. ანალიზის პასუხების საფუძველზე გავშვს აქვს ან სრული ანემია, ან, როგორც მინიმუმ, სისხლის გათეთრება“

EXCLUSIVE

ტარული კონტროლის სისტემა? შეიძლება ჟვანიას კლინიკას მოძველებული ლაბორატორია აქვს, განახლებას საჭიროებს და ცდომილებაც აქედან გამომდინარეობდა. მაგრამ მე რა დავაშავე? ჩემს შვილთან ერთად, იმ დღეს იყო მარგველაშვილის შვილი, ძალიან მაინტერესებს, პრეზიდენტის შვილსაც იგივე ანალიზები გაუკეთეს? მაშინ, ახლავე ვურჩევ პრეზიდენტს, თავისი შვილის ანალიზები გადაამოწმოს.

– საინტერესოა, რატომ არ მიგიყვანათ სასწრაფო დახმარების მანქანამ თქვენთვის სასურველ კლინიკაში...

– საინტერესო იმიტომ არის, რომ როცა ვიკითხე, ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც ასევე ჯანდაცვის სისტემაში მუშაობს, მითხრა, უნდა გამეჩერებინა და მეთქვა, რომ კატეგორიულ უარს ვამბობ ჟვანიას კლინიკაში მიყვანაზე და წავეყვანე ჩემთვის სასურველ კლინიკაში. მაშინ დაწერდნენ განცხადებას, რომ არ გსურთ ჟვანიას კლინიკაში წასვლა და მიდიხართ სხვაგან, მერე მოგაწერინებდა ხელს და, ან თვითონ წაგიყვანდათ, ან ჩამოვიდოდი და ტაქსით წავიდოდი. ასეც უნდა მექნა, მაგრამ, როცა ბავშვი ძლივს სუნთქავს, ამაზე უკვე ვეღარ ფიქრობ. სამჯერ ვუთხარი სასწრაფოს მძღოლს, ციციშვილში წამიყვანეთ, იქ არის ბავშვის ისტორია-მეთქი, მაგრამ უშედეგოდ.

ვფიქრობ, სასწრაფო დახმარებასა და კლინიკას აქვთ მოლაპარაკება, იმიტომ რომ სასწრაფო დახმარების ექიმმა მითხრა, რომ ციციშვილში ადგილები არ იყო, ამიტომ მივდიოდით ჟვანიაში. მე ვუთხარი, რომ მაინც წავეყვანეთ, რადგან, როცა სასწრაფოთი მიყვანილ პაციენტს ნახავდნენ, ადგილიც გამოჩნდებოდა. ექიმმა კი მითხრა, მათ ეს არ შეეძლოთ, რადგან ამის უფლება არ ჰქონდათ.

ჩემთვისაც უკვე მთავარი იყო საავადმყოფომდე მივსულიყავით და ბავშვისთვის რამე გაგვეკეთებინა და აღარ ვდარდობდი, ციციშვილი იქნებოდა თუ სხვა კლინიკა. მე ზუსტად არ ვიცი, იმ დღეს მართლა იყო თუ არა ციციშვილის კლინიკა გადაჭედილი. ჟვანიაში რომ მივედით, ჩვენ გარდა, კიდევ 3 ბავშვი იწვა.

– დაზღვევა გქონდათ?

– სახელმწიფო დაზღვევა აქვს ბავშვს. სახელმწიფო დაზღვევა, რომელიც ყველა ბავშვზე მოქმედებს 1-დან 5 წლამდე და უფასოა. მიუხედავად ამისა, მირჩევნია, წავიდე სხვაგან და გადავიხადო ფული და მივიღო ნორმალური პასუხი ანალიზებში, ვიდრე მსგავსი შემთხვევა განმეორდეს. რა მნიშვნელობა აქვს, მაქვს თუ არა დაზღვევა, თუკი იმ კლინიკებში, სადაც დაზღვევა მოქმედებს, წამლის გადაჭარბებული დოზით მოგიკლავენ შვილს. იმ შემთხვევაში, თუ კლინიკაში ტექნიკა ნორმალურ მდგომარეობაში იყო, გამოდის, ბავშვის ეს მდგომარეობა გამოწვეული იყო ჰორმონის გადაჭარბებული დოზის გამოყენებით. სწორედ ამიტომ გაუთეთრდა ბავშვს ტუჩები. როგორც ჩანს, სასწრაფოს ექიმმა რომ გაუკეთა სახლში ჰორმონი, არ ახსოვდათ. ეს კიდევ უფრო დიდი შეცდომაა. მადლობა თქვან, რომ ბავშვს ძლიერი ორგანიზმი აქვს და გადარჩა.

„ანალიზის ხელმეორედ ჩატარებაზე უარი მითხრეს, თითქოს ჩემს ფინანსებს უფრთხილდებოდნენ. როგორც გავიგე, 13 თუ 15 ლარი ღირდა“

იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევა არ მექნებოდა, 120 ლარამდე უნდა გადამეხადა. ამ თანხაში შედიოდა ყველაფერი ის, რაც ჩემს შვილს გაუკეთეს. განმეორებითი ანალიზის დაფინანსებას კი დაზღვევა არ ითვალისწინებს.

რისთვის მინდა დაზღვევა?! დაზღვევა კარგია იმ კლინიკაში, სადაც კარგად გიმკურნალებენ და ცდომილებები არ იქნება დასკვნებში. თუ მე ცხრაჯერ მომიწევს სხვა კერძო კლინიკებში ანალიზის პასუხების გადამოწმება, მირჩევნია, იმ დაზღვევის ფული იმ კლინიკებს მოვახმარო და ნორმალური და ხარისხიანი შედეგი მივიღო.

– აქამდე თუ ჰქონია ბავშვს მსგავსი პრობლემა?

– არა, არასდროს. უბრალოდ, სანამ ეს დაემართებოდა, 2 დღით ადრე აუზში იბანავა და ცოტა გაცივდა. სიცხეც ჰქონდა. საღამომდე არც კი დაუხველებია, ვიფიქრე, რომ ამ გაციების გამო ახველებდა და უჭირდა ბავშვს სუნთქვა. თავიდან საგანგაშოდ არ მივიჩნიე.

კერძო კლინიკაში ისიც კი გვითხრეს, რომ, ზოგადად, რეფლუქსია შეიძლება ბავშვებს დაემართოთ, იმიტომ რომ სუსტები არიან. რეფლუქსია ნიშნავს ღებინებისკენ მიდრეკილებას. ჩემი ბავშვი კი რეფლუქსიით დაიბადა და შესაძლოა, აქედან იყო ყველაფერი გამოწვეული, თუმცა დადასტურებით ვერაფერს ვიტყვი. შეიძლება იყო კრუპი და არა ცრუ კრუპი.

– ახლა როგორ არის ბავშვი?

– ახლა ძალიან კარგადაა ნიტა, საშიში აბსოლუტურად არაფერია. არადა საკმაოდ დიდი სტრესი და შიში გადავიტანეთ.

საერთოდ, მინდა აღვნიშნო, რომ ის, რაც ჟვანიას კლინიკაში ხდება, არ არის 1 და 2 დღის ამბავი. მე facebook-ზე სტატუსი დავწერე იმისთვის, რომ მენახა, კიდევ ვის ჰქონდა მსგავსი პრობლემა. მიმაჩნია, რომ მარტო მე არ ვარ ამ დღეში. ასე რომ ყოფილიყო, ჩავთვლიდი, ერთხელ მოუვიდათ შეცდომა და იქით მოვუხდიდი ბოდიშს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი გამოხმაურება იყო.

არ შეიძლება, რომ ასე მიუდგნენ ბავშვების სიცოცხლეს. ასეთ ანალიზს რომ უკეთებენ, არ იციან, რა პრობლემაა ლაბორატორიაში?! ჟვანიას კლინიკას აქვს საკმაოდ დიდი დაფინანსება და თუ ტექნიკას აქვს პრობლემა, კეთილინებონ და გამოცვალონ. თუ ექთნებსა და ექიმებშია პრობლემა, მაშინ გაათავისუფლონ ან გადაამზადონ და იყვნენ ნორმალურად, რადგან მათზეა დამოკიდებული ჩვენი და ჩვენი ბავშვების სიცოცხლე. ვინც ეს უნდა გააკეთოს, არის ჯანდაცვის სამინისტრო. თუ სახელმწიფო ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს, მეეჭვება, სხვა რამის მოგვარება და მოფიქრება შეძლოს. რა საჭიროა ახალი იდეებისა და პროგრამების მოფიქრება, თუკი სისტემაში კლინიკა არ ვარგა.

ძალიან მეეჭვება, ჯანდაცვის სამინისტრომ არ იცოდეს, რა ხდება კლინიკებში. მე გამოვაქვეყნე facebook-ზე სტატუსი, და ამის არ შემშინებია. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ყველა ერთად უნდა დადგეს, დღეს თუ ჩემი შვილია ამ დღეში, ხვალ სხვისი შვილი იქნება მსგავს სიტუაციაში.

ამ თემასთან დაკავშირებით ჟვანიას კლინიკას დავუკავშირდით. ექიმთან, მედიკო გელაშვილთან არ ან ვერ მოხერხდა დაკავშირდება. პასუხი ერთ-ერთმა თანამშრომელმა გაგვცა:

– ანალიზის პასუხებზე ქალბატონი მედიკო ვერაფერს გეტყვით. იმიტომ რომ ის ანალიზს არ აკეთებს, ის არის ექიმი, რომელსაც დაუდეს ლაბორატორიის ანალიზის შედეგები და იმის მიხედვით იმსჯელა. ლაბორანტს ის ვერ შეამოწმებდა. ეჭვიც არ მეპარება, რომ აბსოლუტურად იგივე პასუხს გაგცემთ ისიც. თუ პატრონი ჩივის, სასამართლო ექსპერტიზა დანიშნოს და ლაბორატორიები შეამოწმოს. ქალბატონი მედიკო ანალიზიდან გამომდინარე ნიშნავს მკურნალობას. ჩვენი ლაბორატორია ხელწამოსაკრავი არ არის. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ლაბორატორია.

მოგვიანებით ჩვენ მაინც დაგვაკავშირეს განყოფილების გამგესთან, ექიმის მაგივრად პასუხი მან გაგვცა:

განყოფილების გამგის შემცვლელი, ნინო (გვარი არ გვითხრა):

– ჩვენთან ნიტა კალაშიანს დაუფიქსირდა ანემია. მედეა გელაშვილმა სპეციალურად გადაურეკა ბავშვის დედას და უთხრა, რომ ჩვენ გვყავს საუკეთესო ჰემატოლოგი და ურჩია მასთან მისვლა. ბავშვის დიაგნოზი იყო ვარინგიტი და სწორედ ამ მიზეზით მიმართა მშობელმა კლინიკას. ანალიზების საფუძველზე, მას, ვარინგიტის გარდა, აღმოაჩნდა ანემიაც. ქალბატონმა მედეამ უთხრა ბავშვის დედას, რომ ანემიის გამო, მიემართა ჰემატოლოგისთვის, რომელიც არის სისხლის სპეციალისტი.

პაციენტის სისხლში ჰემოგლობინის შედარებით დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, ამიტომ ქალბატონმა მედეამ ხელმეორედ გადაურეკა ბავშვის დედას და ჰკითხა, ხომ არ მოსულან და ხომ არ მიუღიათ დამატებითი რეკომენდაცია. როგორც მე ვიცი, ქალბატონი არ მოსულა მარინა კვეზერელთან.

პაციენტს დანიშნული ჰქონდა მედროლი, რომელიც ძვლის ტვინის სტიმულაციის მიზნით აუცილებლად გამოიწვევდა ჰემოგლობინის მომატებას. შეიძლება ცვლილება სწორედ ამით ყოფილიყო გამოწვეული. მე არ ვიცი, რა ციფრი აჩვენა და ვერ დავერწმუნები ვერავის, სანამ შედეგს არ დავინახავ. ზოგადად, ჰემოგლობინის ციფრები ასაკის მიხედვით ვარირებს.

ჩვენს ისტორიაში ფიქსირდება, რომ პაციენტს მიეცა რეკომენდაცია, გაიაროს კონსულტაცია ჰემატოლოგ მარინა კვეზერელთან, ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის (ჰემატოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში) შვილთან. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთან მოდიან სერიოზული პრობლემებით იმიტომ, რომ ჩვენ გვყავს საუკეთესო ჰემატოლოგები.

იქნებ სწორედ იმ კლინიკაში, სადაც ის წავიდა, დაუშვეს შეცდომა? ამიტომ არსებული სიტუაციის სწორი შეფასება რომ მოხდეს, აუცილებელია, პაციენტის მშობელი ჩვენთან მობრძანდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„გვაქვს იმის იმედი, რომ მოედანი მწყობრში ჩადგება ერთი კვირის განმავლობაში“

„გვაქვს იმის იმედი, რომ მოედანი მწყობრში ჩადგება ერთი კვირის განმავლობაში“

„ფეხბურთის ფედერაც ია უკვე აწესრიგებს ამ ყველაფერს საკუთარი ბიუჯეტიდან“

მოესწრება თუ არა „ბარსელონას“ ჩამოსვლამდე მინდვრის მდგომარეობის გაუმჯობესება, ჯერჯეროობით უცნობია

„იმ გადასაფარებელმა, რაც ბალახს ჰქონდა, დააზიანა მოედანი და ის არის დახაზული. რაღაც ადგილები შენარჩუნებულია, მაგრამ უმეტესწილად, გაფუჭებული და გაყვითლებულია“

მაგდა კლდიაშვილი

იმედოვნებენ, რომ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მოედნის საფარი ვადებში აღდგება. ოლიმპიური ფესტივალისთვის ორგანიზატორებმა სტადიონი რამდენიმე დღით იქირავეს და მისი საფარი სპეციალური დამცავით გადაფარეს, მაგრამ, როგორც გაირკვა, დამცავმა, რომელიც რამდენიმე დღე ჰქონდა საფარს გადაფარებული, ის მაინც ვერ დაიცვა. ამ მოედანზე კი 9 აგვისტოს, არც მეტი, არც ნაკლები, კატალონიის „ბარსელონამ“ უნდა ივარჯიშოს.

ყველასთვის ცნობილია, რომ 11 აგვისტოს საქართველოს დედაქალაქი უეფას სუპერთასს მასპინძლობს, სადაც, ერთმანეთს, ორი ესპანური გრანდი - „ბარსელონა“ და „სევილია“ დაუპირისპირდებიან.

გუნდები საქართველოში 9 აგვისტოს, ჩარტერული რეისებით ჩამოფრინდებიან და ამავე დღეს ვარჯიშებსაც გამართავენ. „სევილია“ სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში დაბინავდება, ხოლო „ბარსელონა“ სასტუმრო „მერიოტს“ ყველა ნომრით აიღებს.

„სევილიას“ სავარჯიშო პირობების მხრივ გაუმართლა. გუნდი, თბილისის „დინამოს“ დიღმის ბაზაზე ივარჯიშებს 9 აგვისტოს და ვარჯიში მედიისთვის სრულად იქნება ღია.

რაც შეეხება „ბარსელონას“, წინასწარ შეთანხმებული მკაცრი განრიგით, კატალონიელებმა მიხეილ მესხზე უნდა ივარჯიშონ ამავე დღეს. საქმე იმაშია, რომ მოედნის საფარი კატასტროფულ მდგომარეობაშია და გადახარშულია. რა ალტერნატივას შესთავაზებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს და როდის ეცნობება მდგომარეობის შესახებ კლუბს, ჯერჯერობით უცნობია. ერთი ღონისძიების წარმატების სანაცვლოდ კი მეორე უფრო დიდი მასშტაბის ღონისძიება დგას ახლა საფრთხის წინაშე.

აღნიშნულ მატჩს და მის წინასამატჩო პერიპეტიებს მსოფლიოს 202 ტელევიზია აშუქებს, ამიტომ არამარტო სფფ-თვის, არამედ, ქვეყნისთვის პრესტიჟია, მომზადებული დახვდეს ამ შეხვედრას.

EXCLUSIVE

მინდვრის საფარზე სპეციალური გადასაფარებელი სამი დღის განმავლობაში იყო გადაფარებული, რამაც მაღალი სიცხისა და არსებული კლიმატის პირობებში ბალახის გადაწვა გამოიწვია.

მოედანზე საფარის დაგება ერთი დღის განმავლობაში მიდიოდა, მომდევნო ორმა დღემ კი ბალახი სრულად დააზიანა. გარდა ამისა, მოედანზე გაჩნდა ერთგვარი ხაზები, რომელმაც ზოლებად დაჭრა საფარი. დაზიანებულია ტრიბუნებიც, სადაც ფოიერვერკის დროს ცეცხლი გაჩნდა. რა ზარალზეა საუბარი, რა სამუშაოები მიმდინარეობს და მოესწრება თუ არა „ბარსელონას“ ჩამოსვლამდე მოედნის საფარის აღდგენა, „პრაიმტაიმმა“ დეტალები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაარკვია.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის წარმომადგენელი, ეკა ელოშვილი აცხადებს, სპეციალისტები წინასწარ პროგნოზირებდნენ იმ შედეგს, რომელიც დადგა გახსნის ღონისძიების შემდეგ.

ეკა ელოშვილი:

- მოედანს რამდენიმე დღის განმავლობაში სპეციალური საფარი ჰქონდა გადაფარებული, ამას სიცხე დაერთო და ჩახარშა, გააფუჭა ბალახი. ამბობდნენ კიდეც ამას სპეციალისტები და მომვლელები, რომ დაზიანდებოდა. იმ გადასაფარებელმა, რაც ბალახს ჰქონდა, დააზიანა მოედანი და ის არის დახაზული. რაღაც ადგილები შენარჩუნებულია, მაგრამ უმეტესწილად, გაფუჭებული და გაყვითლებულია. მოედნის მომვლელები რწყავენ. შეტანილია ვიტამინები და ნამლები. ხელოვნური ჩარევა იმისთვის არის საჭირო, რომ 13 აგვისტოს ეროვნული ჩემპიონატი იწყება და მოედანი აუცილებლად მზად უნდა იყოს ამ დროისთვის. თუმცა, საქმე იმაშია, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე, ამ მოედანზე ვარჯიში აქვს ჩასატარებელი „ბარსელონას“.

- შესაძლებელია, რომ „ბარსელონას“ ჩამოსვლამდე ბალახი პირვანდელ სახეს დაუბრუნდეს?

- დარჩენილია რამდენიმე დღე. ერთ კვირაში რის აღდგენასაც მოახერხებს მოედანი, ეს იქნება. თავს ზემოთ ძალა არ არის. ვიტამინებსა და წამლებსაც თავის დოზა აქვთ. ძალიან ცხელა და ეს პროცესს ართულებს.

- ალტერნატივაზე თუ ფიქრობთ და არის თუ არა საქმის კურსში ჩაყენებული „ბარსელონა“?

- ამაზე, წინასწარ საუბარი აუცილებლად იქნება, თუმცა, ისინი ძალიან იშვიათად ცვლიან საკუთარ გადაწყვეტილებას. მათ აქვთ მოედნის საფარი ნანახი, მართალია, ცოტა სხვა მდგომარეობაში, მაგრამ როდესაც ნახეს, დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს და ისე აირჩიეს. მათ ჩამოსვლამდე, აუცილებლად იქნება კომუნიკაცია და ყველაფერს შევუთანხმებთ.

- თუკი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „მიხეილ მესხზე“ ვარჯიშზე უარს იტყვის, რა ალტერნატივას შესთავაზებთ?

- ალტერნატივა აუცილებლად იქნება. უბრალოდ, ჯერჯერობით, გვაქვს იმის იმედი, რომ მოედანი მწყობრში ჩადგება ერთი კვირის განმავლობაში.

- რა ზარალი მიადგა სტადიონს ამ ღონისძიების ჩატარების შემდეგ?

- როგორც სტადიონის ადმინისტრაცია აცხადებს, ზარალი ითვლება. ეს არ ეხება მხოლოდ მოედანს. არის კიდევ რაღაცები, დაინვა ტრიბუნა, ჯერ კიდევ სტადიონის გაწმენდის და რეკონსტრუქციების დაშლის პროცესი მიმდინარეობს, რომელიც სპეციალური მანქანებით გადააქვთ შესაბამის ადგილებზე. როგორც სტადიონის თანამშრომლებმა გვითხრეს, ტრიბუნები იყო ახალი შეღებილი, რომელიც ფოიერვერკის შემდეგ სწრაფად ააღლებადი გახდა. როდესაც მსგავს გადაფარებას იყენებენ მოედნებზე, ეს საფარი სპეციალურ ფეხებზეა შემდგარი, რაც ჩვენთან არ მოხდა და ამის კვალიც ატყვია მინდორს. ბალახმა ვერ ისუნთქა და ამიტომ დადგა ეს სავალალო შედეგი. ეს სტადიონი არც პირველია და არც უკანასკნელი, სადაც მსგავსი ტიპის ღონისძიებები ტარდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ ტექნიკური საშუალებები გაცილებით მაღალი დონისაა. ერთი რომ კეთდება, მეორე არ დაზიანდეს.

- ვინ აანაზღაურებს ამ ზარალს და ვისი ბიუჯეტიდან მოხდება ამ პრობლემების მოგვარება?

- ფეხბურთის ფედერაცია უკვე აწესრიგებს ამ ყველაფერს საკუთარი ბიუჯეტიდან.

როგორც სუპერთასის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი, ლაშა დვალიშვილი აცხადებს, მუშაობა 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს და მათ სჯერათ, რომ საფარი აუცილებლად გამოსწორდება „ბარსელონას“ ჩამოსვლამდე. რაც შეეხება ზარალის ანაზღაურებას, ამ საკითხზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და თბილისის ახალგაზრდული ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტს, ჯერ არ უსაუბრიათ.

ლაშა დვალიშვილი:

„სიმართლე გითხრათ, ამ თემასთან დაკავშირებით, საორგანიზაციო კომიტეტთან არ გვისაუბრია. მათ მნიშვნელოვანი ღონისძიება აქვთ, ჩვენ სუპერთასი გვაქვს ჩასატარებელი. მძიმე დღეებია და მძიმე გრაფიკი გვაქვს, როგორც ჩვენ, ისე ფესტივალის ორგანიზატორებს. ჩაივლის ეს ღონისძიებები და შედგება შეხვედრა. ვისაუბრებთ იმ დამწვარ სკამებზეც, რომლებიც ფოიერვერკის დროს დაზიანდა“.

უეფას სუპერთასი, „დინამო არენაზე“, 11 აგვისტოს, 22:45 საათზე დაიწყება.

„ჩაივლის ეს ღონისძიებები და შედგება შეხვედრა. ვისაუბრებთ იმ დამწვარ სკამებზეც, რომლებიც ფოიერვერკის დროს დაზიანდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პატიმრების ვადაზე ადრე განთავისუფლების სასამართლოს გადაე

მირიან ბოქოლიშვილი

პატიმრების ვადაზე ადრე განთავისუფლების მექანიზმი თითქმის აღარ მუშაობს. ამის შესახებ თავად მსჯავრდადებულები, მათი ადვოკატები და ოჯახის წევრები საუბრობენ. ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში გისოსებს მიღმა იმყოფებიან, ამაოდ ელიან მათთვის კანონით მინიჭებული უფლების გამოყენებას და სასჯელისგან ვადაზე ადრე განთავისუფლებას.

რატომ არ მუშაობს ე.წ. უდოს ადგილობრივი საბჭოები და რატომ ჩაიკეტა პარლამენტისთვის შეწყალების კომისია?

საქართველოს კანონმდებლობით პატიმრობიდან პირობით, ვადაზე ადრე განთავისუფლება ეხება ნებისმიერ მსჯავრდადებულს, მეტიც, მათაც კი, ვისაც უვადო თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდადებულს მოხდილი უნდა ჰქონდეს სასჯელის 1/2 ნაწილი, მძიმე დანაშაულისთვის – 2/3, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის – 3/4, უვადო პატიმრობის შემთხვევაში, მსჯავრდადებულს მოხდილი უნდა ჰქონდეს 25 წელი. თითოეულ განაცხადს ადრე ე.წ. უდოს კომისია იხილავდა და ეს პროცესი მთლიანად ცენტრალიზებული გახლდათ. ბოლო წლებში კი შეიქმნა ე.წ. უდოს ადგილობრივი საბჭოები და თითოეული პატიმრის საქმეს სწორედ ეს საბჭოები, ტერიტორიული პრინციპის მიხედვით განიხილავენ. ყოველ შემთხვევაში ასე წერია ქაღალდზე, თუმცა პრაქტიკაში ეს მექანიზმი ან საერთოდ არ მუშაობს, ან საკმაოდ იშვიათად.

ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ძალიან მწვავედ დგას მსჯავრდადებულების წინაშე. ადვოკატი პატიმრების შეწყალების უსამართლობაზეც საუბრობს და ამბობს, რომ გაურკვეველია, რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი შეწყალების დროს.

გელა ნიკოლაიშვილი, ადვოკატი:

– მთავარი, რაც ყველაზე მეტად აწუხებთ პატიმრებს, არის ის, რომ ვადამდე პირობით განთავისუფლების კომისია მუშაობს ძალიან ფორმალურად და პრაქტიკულად არც მუშაობს. ორი-სამი თვე, ან დღეები თუ აქვს დარჩენილი პატიმარს სასჯელის საბოლოო მოხდამდე, მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებენ ვადაზე ადრე განთავისუფლების გადაწყვეტილებას. დანარჩენს ყველას უარს ეუბნებიან ყოველგვარი მოტივაციის გარეშე.

– როგორც ჩანს, ადგილობრივი საბჭოების შექმნა ამ პროცესზე დადებითად ვერ აისახა....

– სწორედ ამ საბჭოებზე მაქვს საუბარი. როგორც ჩანს, აქვთ მითითება, რომ მხოლოდ ბოლო დღეებში გამოიყენონ საკუთარი უფლებამოსილება და ვადაზე ადრე გაათავისუფლონ პატიმარი. იგივე შეიძლება ითქვას შეწყალების კომისიაზეც, როდესაც პატიმრები ჩივიან სრულიად არასამართლიან შეწყალებაზე. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება ისეთი კატეგორიის შეწყალება, რომელიც არ იმსახურებს, და უარს ეუბნებიან ისეთებს, რომლებიც მართლა იმსახურებენ შეწყალებას. ეს ჩივილები მესმის თავად პატიმრების მხრიდან. საერთოდ მიმაჩნია, რომ უპრიანი იქნება, თუ პირობით ვადაზე განთავისუფლების ფუნქცია სასამართლო ხელისუფლების ხელში გადავა. სასამართლო უფრო ღიად და სიღრმისეულად იმსჯელებს იმ პლუსებზეც და მინუსებზეც, რომლის გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს მსჯავრდადებულის ვადამდე განთავისუფლება.

„არც ერთი ადამიანის განთავისუფლება არ მეწყინება“

– ასეთი ინიციატივა არსებობს, თუნდაც სამოქალაქო სექტორში?

– როგორც ასეთი, საკანონმდებლო ინიციატივა არ არსებობს ამ ეტაპზე, თუმცა ასეთი მოსაზრებები ხშირად გამოუთქვამთ იგივე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს და მე ამ აზრს სრულად ვიზიარებ.

– რაც შეეხება შეწყალებას... თქვენ თქვით, რომ პატიმრები ჩივიან შეწყალების არასამართლიანი პროცესის გამო... რა იძლევა ამის თქმის საფუძველს?

– გაგახსენებთ იგივე გია გვიჩიანის შემთხვევას. მან პრეზიდენტს არაერთხელ მიმართა შეწყალების თხოვნით, მაგრამ ყველა ჯერზე უარი მიიღო. როგორც შემდეგ ხმები გამოვიდა, პრეზიდენტი ვერ იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას და მიიჩნევს, რომ ეს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. როგორც ჩანს, თავისებური მიდგომები აქვს ბატონ პრეზიდენტს. პატიმრები ამბობენ, რომ ჩემ გვერდით საკანში იყო მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდადებული, რომელსაც სრულად შეეხო შეწყალება, და შედარებით ნაკლებ მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდადებულს, რომელიც ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა, მხოლოდ გაუნახევრდა სასჯელი.

ეკა ბესელია: „ძალიან ბევრ განცხადებაზე გაგვიკეთებია რეკომენდაცია, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია. აქედან გამომდინარე, მეც მაქვს სერიოზული კითხვები“

რატომ არ მუშაობს პატიმრების პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლების ადგილობრივი საბჭოები და რატომ ჩაიკეტა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებული შეწყალების კომისია? ამ საკითხზე ჩვენ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიას ვესაუბრეთ, რომელიც თავად იყო ე.წ. უდოს კომისიის წევრი.

ეკა ბესელია, დეპუტატი:

– პატიმრების არაერთი განცხადება შემოდის ჩემს კომიტეტშიც და საკმაოდ ბევრი განცხადება გადავუგზავნეთ სასჯელაღსრულების სამინისტროს. ჩვენც ვხედავთ ბევრი პატიმრისა და ადვოკატის მხრიდან გამოთქმულ წუხილს ვადაზე ადრე განთავისუფლებასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, საჭიროა დამატებითი ანალიზი, რატომ იწვევს კომისიის უარყოფითი დასკვნა პატიმრების უკმაყოფილებას. ამიტომაც არის შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც სწავლობს ახალ მოდელზე გადასვლის შესაძლებლობას.

– რა მოდელზეა კონკრეტულად საუბარი?

– აქ იგულისხმება ის, რომ შეიქმნას ვადაზე ადრე განთავისუფლების უკეთესი მექანიზმი. ამ დროისთვის პარლამენტიდან არავინ არ არის წარმოდგენილი ე.წ. უდოს კომისიაში, რომელიც იყო მუდმივმოქმედი. მოგეხსენებათ, ეს გავაუქმეთ და შეიქმნა ადგილობრივი საბჭოები. საჭიროა, რომ პარლამენტმა აირჩიოს წარმომადგენელი, ვინც ამ საბჭოების მუშაობას დააკვირდება. და ჩვენ სექტემბრიდან ამ საკითხს აუცილებლად მივუბრუნდებით. იქნება სამუშაო შეხვედრები, რათა გამოვიკვლიოთ, რა პრობლემები არსებობს. ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის პირველ პერიოდში ე.წ. უდოს მექანიზმი ძალიან აქტიურად ამუშავდა, თუმცა შემდგომ მაინც იყო შემოსული უამრავი განცხადება, რომელიც სწორედ ასეთ პრეტენზიებს უკავშირდებოდა. ვფიქრობ, სასამართლოსთვის ამ მექანიზმის გადაცემა ერთ-ერთ მოდელად უნდა განვიხილოთ და შესაძლებელია, ასეთი საპროცესო ნორმები მივიღოთ. შესაძლოა, სხვა მოდელზეც იყოს საუბარი. ვნახოთ. სექტემბრიდან ამ საკითხზე აქტიურ მუშაობას დავიწყებთ და გადაწყვეტილებას კონსენსუსის გზით მივიღებთ. რამდენიმე თვეში, ალბათ, საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით, შევცვალოთ თუ საერთოდ ახალი წესი მივიღოთ ვადაზე ადრე განთავისუფლების მხრივ.

– პრეზიდენტის შეწყალებაზე რა აზრის ხართ? რამდენად სამართლიანად ხდება მის მიერ პატიმრების შეწყალება?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფუნქცია ცემა

– ბუნებრივია არც ერთი ადამიანის განთავისუფლება არ მეწყინება. პირიქით, სწორედ ამ მიზნით გამოცხადდა ის უპრეცედენტო და დიდი თავისუფლების აქტი ამნისტიის სახით, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ავტორი მე ვიყავი, მაგრამ არ უნდა იყოს კითხვები, ერთნაირი მიდგომა აქვს თუ არა პრეზიდენტს ყველა საკითხის მიმართ. სამწუხაროდ, შეწყალების კომისია რაღაცნაირად დაიხურა პარლამენტისთვის. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს ყოველთვის ჰქონდა წვდომა ამ კომისიასთან. ამ ეტაპზე იქ პარლამენტის არც ერთი წევრი არ არის წარმოდგენილი. არადა ჩვენთან უამრავი განცხადება შემოდის პატიმრების მხრიდან. ამ მოცემულობით კი ჩვენ არ გვაქვს არანაირი ბერკეტი და მექანიზმი, რომ გათვალისწინებული იყოს საკანონმდებლო ორგანოს პოზიცია. ჩვენ მხოლოდ პირდაპირ ვუგზავნით პრეზიდენტსა და შეწყალების კომისიას შემოსულ განცხადებებს. ძალიან ბევრ განცხადებაზე გაგვიკეთებია რეკომენდაცია, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია. აქედან გამომდინარე, მეც მაქვს სერიოზული კითხვები. ის ადამიანები, ვინც ამდენი წელია ელოდება და ნამდვილად იმსახურებს შეწყალებას, რატომ არ მიიღება მათ მიმართ ადეკვატური გადაწყვეტილება? მათ შორის არიან ქალები, რომლებიც დიდი ხანია სასჯელს იხდიან. ვფიქრობ, პრეზიდენტმა სწორედ ქალებისა და არასრულწლოვნების მიმართ უნდა გამოიჩინოს მეტი ჰუმანურობა. ამ მხრივ, მქონდა და მაქვს კითხვები. გაუგებარია, რატომ არ ხდება პრეზიდენტის მიერ ამ პატიმრებისთვის თუნდაც სასჯელის განახევრება და შემსუბუქება.

გელა ნიკოლაიშვილი: „როგორც ჩანს, აქვთ მითითება, რომ მხოლოდ ბოლო დღეებში გამოიყენონ საკუთარი უფლებამოსილება“

ივლიანე ხაინდრავა: „რისკი 2008 წლის მოვლენების გამეორებისა შემცირდა, თუმცა საბოლოოდ არ გამქრალა“

ქეთი ხატიაშვილი

„რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის მიუხედავად, უკრაინასაც კი არ გაუწყვეტია დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, ხოლო ხარკოვში, ლვოვსა და ოდესაში რუსეთის გენერალური საკონსულოები დღესაც მოქმედებს“

რუსეთ-საქართველოს ომი, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები და ქართული პოლიტიკა. რას ფიქრობს და როგორ ხედავს საგარეო პოლიტიკას უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე. „პრაიმტაიმის“ კითხვებს ივლიანე ხაინდრავა პასუხობს.

– როგორ უყურებს უშიშროების საბჭო საქართველო-რუსეთის ურთიერთობების პერსპექტივას? რა პერსპექტივები არსებობს ამ მიმართულებით და რა რჩება ხელისშემშლელ ფაქტორად?

– ვუყურებთ რეალისტურად, ილუზიების გარეშე. პერსპექტივები იმთავითვე შეზღუდულია, რაკი არსებობს ე.წ. „წითელი ხაზები“, ანუ მხარეთა დიამეტრულად განსხვავებული დამოკიდებულება ოკუპირებული ტერიტორიების, ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით. გამოიკვეთა მსოფლმხედველობრივი ხასიათის აცდენა – თბილისში და მოსკოვში სხვადასხვანაირად ხედავენ იმ პრინციპებს, რომლებსაც უნდა ემყარებოდეს მსოფლიო წესრიგი, უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში. იმავდროულად, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მოხერხდა დაპირისპირების „ტემპერატურის“ ერთგვარი დაწევა, რიტორიკის გაჯანსაღება, სავაჭრო და სატრანსპორტო კონტაქტების აღდგენა, ანუ რისკი 2008 წლის მოვლენების გამეორებისა შემცირდა, თუმცა საბოლოოდ არ გამქრალა.

– როგორია თქვენი პოზიცია აბაშიძე-კარასინის ფორმატის მიმართ? რამდენიმე დღის წინ ვიცე-პრემიერმა განაცხადა, რომ ახალი ფორმატი უნდა შეიქმნას, რომელიც პოლიტიკურ საკითხებს გადაწყვეტს. რას ფიქრობთ ამ თემაზე?

– ამ ფორმატთან დაკავშირებით მეტი სიცხადეა საჭირო; ჩვენი მხრიდან მომლაპარაკებლის მანდატი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რათა არც გადაჭარბებული მოლოდინები შევქმნათ და არც არაკეთილსინდისიერ სპეკულაციებს დავუტოვოთ სივრცე. პოლიტიკური საკითხების რთული კვანძის გახსნა ძნელი წარმოსადგენია სპეცწარმომადგენლების ფორმატში – ასეთი პრობლემები უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე წყდება, მრავალი სახელმწიფო უწყების მიერ გაწეული შრომატევადი სამუშაოს საფუძველზე.

– რას იტყვით პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის განმარტებით, იმისთვის, რომ მაპ-ი მივიღოთ, კარასინი-აბაშიძის ფორმატი უნდა შევინარჩუნოთ. ამ მესიჯით დასავლეთი თბილისს მიანიშნებს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების შენარჩუნება აუცილებელი და საჭიროა?

– მოსკოვთან დიალოგის არხების აუცილებლობაზე ჩვენი დასავლელი პარტნიორები მუდამ გველაპარაკებიან და უცნაური იქნებოდა, ასე რომ არ ყოფილიყო მაშინ, როცა საკუთრივ დასავლეთი ამგვარ არხებს ინარჩუნებს. რუსეთს მან სანქციები დაუწესა, G8-ს შეხვედრებზე რუსეთს აღარ იწვევენ და ფორმატი ისევ G7-მდე შეიკვეცა, მაგრამ დასავლელი ლიდერები მუდმივი კონტაქტის რეჟიმში იმყოფებიან კრემლთან, ხოლო უკრაინის პრობლემატიკაზე მინსკისა და „ნორმანდიული ოთხეულის“ ახალი ფორმატები შეიქმნა. ნიშანდობლივია, რომ ფაქტობრივი ომის მდგომარეობისა და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის მიუხედავად, უკრაინასაც კი არ გაუწყვეტია დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, ხოლო ხარკოვში, ლვოვსა და ოდესაში რუსეთის გენერალური საკონსულოები დღესაც მოქმედებს. თუმცა, ბუნებრივია, თითოეული ქვეყანა თავად განსაზღვრავს, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ ვითარებაში და ჩვენი ურყევი ევროატლანტიკური კურსის ჩარჩოებში საქართველო მომავალშიც მოიქცევა საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

„რაც შეეხება სუსტ წერტილს, ნება მიბოძეთ, თავი შევიკავო ამ თემაზე საუბრისგან“

– რას იტყვით საქართველოს წინაშე არსებულ მთავარ გამოწვევებზე? რამდენად ეფექტურად ახერხებს ხელისუფლება, თქვენი აზრით, ამ საფრთხეების განეიტრალებას და რა რჩება ჯერ კიდევ სუსტ წერტილად?

– საქართველო მსოფლიო დემოკრატიული თანამეგობრობის წევრია და ძირითადი გამოწვევებიც, ბუნებრივია, ყველას საერთო გვაქვს. ასეთები კი, უპირველესად, არის რუსეთის რევიზიონიზმი და ექსპანსიონიზმი, რამაც უკვე გამოიწვია ევროპული და საერთაშორისო უსაფრთხოების არსებული არქიტექტურის ხელახლა გააზრებისა და გამყარების აუცილებლობა, მეორე მხრივ კი – ფუნდამენტალიზმზე აღმოცენებული საერთაშორისო ტერორიზმი, რომელიც დღეს ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ სახით მოგვევლინა და ნამდვილად ტრაგიკული გახადა ვითარება ახლო აღმოსავლეთში. ჩვენი მდებარეობა ისეთია, რომ ორივე ეს საფრთხე უშუალოდ გვეხება, მაგრამ ჩვენი შესაძლებლობები უსაზღვრო არაა. სწორედ ამიტომ საფრთხეების მინიმიზება ჩვენს პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობაში ხორციელდება და ჩვენი მონაწილეობაც სხვადასხვა საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში, თუ ჩვენს ტერიტორიაზე სამხედრო სწავლებები და საწვრთნელი ცენტრებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა ამ კონტექსტშიც უნდა განვიხილოთ.

რაც შეეხება სუსტ წერტილს, ნება მიბოძეთ, თავი შევიკავო ამ თემაზე საუბრისგან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

რის გამო ღელავდა

„ჩემი ყოველი ჩამოსვლა ჩემს ქვეყანაში, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ქველმოქმედებაა. წარმოუდგენელიც არის ამაში გასამრჯელო მოვითხოვო. არასოდეს არავისთვის არაფერი მითხოვია“

„საქართველოში ვარდსაც კი სხვანაირი სურნელი აქვს...“

„მამას უნდა თავის ტრადიციებს გააყოლოს. მოგეხსენებათ, მამა ტრადიციული მეღვინე გვყავს, მაგრამ არასდროს ვაძალებ შვილს არაფერს“

„შეიძლება გაგეცინოთ და ბავშვურად მოგეჩვენოთ ჩემი მონათხრობი, მაგრამ მაინც გეტყვით“

„ძალიან რთულად გადავიტანე 2008 წლის ომის პერიოდი. არ ვამატებ არაფერს, ეტყობა ძალიან იმპულსური ადამიანი ვარ. როცა შენს სამშობლოში ასეთი რამ ხდება, რთულია მშვიდად იყო. ამას დაემატა ისიც, რომ მამა გარდამეცვალა, რომელმაც მეორე სამამულო ომი გამოიარა. ძალიან განვიცადე ეს ყველაფერი და 2008 წლის მერე დაგავწყვიტე ჩემს ვაჟთან ერთად პეტერბურგიდან წავსულიყავი“

„მე დღემდე მოწაფე ვარ, ყოველდღე ვმეცადინეობ. კლასიკა არის აუცილებელი გაკვეთილი იმისთვის, რომ მუდმივად ფორმაში იყო“

my View
ნინო მჭედლიშვილი

მარინის თეატრის პრიმაბალერინას, ირმა ნიორაძეს კოლხი ქალის, მედეას როლის მორგება მოუწია. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის საზეიმო გახსნა საქართველოში სწორედ ოქროს საწმისის მითით დაიწყო. პრიმაბალერინას პარტნიორობას „სუხიშვილების“ მოცეკვავე, 16 წლის მერაბ ჭელიძე უწევდა.

რაზე ნერვიულობდა ბალერინა ღონისძიების დაწყებამდე, რატომ დატოვა საქართველო, რა ენატრება სამშობლოდან შორს და რატომ გადასახლდა დიდი ბრიტანეთიდან საფრანგეთში, ჩემი რესპონდენტი თავად გიამბობთ.

ირმა ახლა გურიაში, სოფელ ასკანაში ატარებს შვებულებას.

- საქართველოდან წასული არც მგონია საკუთარი თავი, რადგან ხშირად ვარ ჩემს ქვეყანაში. როდესაც ჩამოვდივარ, განსაკუთრებული გრძნობა მეუფლება, ჩემს ქვეყანასთან ჩემ ერთან შეხვედრისას. ახლახან „სუხიშვილების“ კონცერტზე გამოვედი და სასიამოვნო წუთები განვიცადე. საპასუხისმგებლო იყო ჩემთვის ოლიმპიადის გახსნაც. საკმაოდ დაძაბულ რეჟიმში მოგვიწია მუშაობა. დრო ცოტა იყო. არ გავჩერებულვართ რეჟისორი, მისი თანაშემწე, მოცეკვავეები. ყველა ერთად ჩვენი ქვეყნის სახეს, მისი გულისცემას წარმოვადგენდით, ერთ მუშტად ვიყავით შეკრულები. შეუძლებლად მეჩვენებოდა ასე მოკლე ხანში, ასეთ დონეზე წარმოგვედგინა ეს სანახაობა. ყველა ერთად ვიდექით, ერთმანეთს ვეხმარებოდით, დაწყებული ოთხი წლის ბავშვიდან, ჩემი დიდი კოლეგით, პაატა ბურჭულაძით დამთავრებული. მიხარია, თუ პატარა წვლილი მაინც შევიტანე ამ დიდ საქმეში.

- თქვენ დადგით ცეკვა, რომელიც სუხიშვილების მოცეკვავესთან, მერაბ ჭელიძესან ერთად შეასრულეთ...

- სასიამოვნო ტანდემი შედგა. სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი ჩვენ შორის ასეთი დიდი ასაკობრივი სხვაობა თუ იყო. იმდენად პროფესიონალი აღმოჩნდა ეს ახალგაზრდა, ძალიან მესიამოვნა მასთან მუშაობა. სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ მზადების პროცესით. ღვთის ძალაც ახლდა ამ ყველაფერს, თითქოს ერთი ოჯახივით ვიყავით ყველა. რეპეტიციებზე დავდიოდით სუხიშვილების ბაზაში. ეს იყო ძალიან სასიამოვნო პროცესი. მე დილიდან მივდიოდი, კლასიკას გავდიოდი, რაც ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მე დღემდე მოწაფე ვარ, ყოველდღე ვმეცადინეობ. კლასიკა არის აუცილებელი გაკვეთილი იმისთვის, რომ მუდმივად ფორმაში იყო. ამიტომ სამი საათი ვმეცადინეობდი მარტო დარბაზში. მერე უკვე ვმუშაობდი დადგმაზე და რეპეტიციას გავდიოდი პარტნიორთან. დადგმაში ის იყო რთული, რომ აქცენტები ანტიკურ ხანაზე უნდა გაკეთებულიყო. კოსტიუმი სხვა ქვეყანაში შევუკვეთე, რომელსაც არ დავასახელებ, ჩემივე თანხებით. ჩემი ყოველი ჩამოსვლა ჩემს ქვეყანაში, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ქველმოქმედებაა. წარმოუდგენელიც არის ამაში გასამრჯელო მოვითხოვო. არასოდეს არავისთვის არაფერი მითხოვია. ვიცოდი, რომ მომზადებული უნდა ვყოფილიყავი იმისთვის, რომ არანაირი პრობლემა არ შემექმნა, არც რეჟისორისთვის და არც პარტნიორისთვის. ვიცოდი, რომ აქ არ იქნებოდა იმის დრო, „პრიმერკებზე“ მევლო.

- რატომ არ ასახელებთ ქვეყანას, სადაც კოსტიუმი შეუკვეთეთ?

- (იცინის) კარგი, ვიტყვი. ახლა საფრანგეთში ვცხოვრობ და სწორედ იქ შევიკერე ეს კოსტიუმი. როცა მითხრეს, რომ მე უნდა ვყოფილიყავი მედეა ოლიმპიადის გახსნაზე, მოვიარე საფრანგეთის მაღაზიები, თვითონ ვიყიდე თვლები, რომლითაც კოსტიუმი უნდა გამეფორმებინა, დიადემა, ყველა დეტალი, რაც საჭირო იყო.

- როგორია მედეას როლში ყოფნა?

- ამ კოლხი ქალბატონის წარმოდგენა დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის. ეს ჩემთვის იყო კიდევ ერთი ძალიან სასიამოვნო პრემიერა. მუსიკა, საოცრად ლამაზი მუსიკა, დათო ევგენიძეს ეკუთვნოდა. სწორედ მუსიკამ მიკარნახა ბევრი დეტალი, რაც შემდეგ დადგმაშიც გამოვიყენე, კომბინაციები, რომელიც შერწყმული უნდა ყოფილიყო ქართულ თემატიკასთან. სწორედ ეს მუსიკა გვკარნახობდა მე და ჩემს პარტნიორს თუ რა ემოციებით უნდა გვეცეკვა. კიდევ ერთხელ განვმეორდები და ვიტყვი, რომ ჩვენს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო.

- ეს არ იგრძნობოდა სცენაზე...

- ეს უკვე მაყურებელმა უნდა შეაფასოს, რამდენად გამოგვივიდა. თუ მოეწონა მაყურებელს, ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. კარგი შეფასება მივიღე ჩემი ნაცნობებისგან, მეგობრებისგან. ეს მართლა დიდი ბედნიერებაა ჩემთვის. მე ვიყავი დიდი ორგანიზმის პატარა ნაწილი. ძალიან ვნერვიულობდი ორ ფაქტორზე. შეიძლება გაგეცინოთ და ბავშვურად მოგეჩვ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოლიმპიადის გახსნის წინ პრიმაბალერინა

ირმა ნიორაძე ექსკლუზიურად პირადით EXCLUSIVE

„არ ვიცოდი ამხელა ასაკობრივი სხვაობა თუ იყო ჩვენ შორის“

ენოთ ჩემი მონათხრობი, მაგრამ მაინც გეტყვით. სცენაზე ძალიან ბევრი კალიები დაფრინავდნენ. საერთოდ ძალიან მიყვარს გუნება, მცენარეები, ცხოველები, მწერები. ერთხელ, იტალიაში ცეკვის დროს მოფრინდა ულამაზესი პეპელა და დამაჯდა კაბაზე, ისე გამეფანტა გონება, სულ დამავიწყდა ცეკვის თანმიმდევრობა. საბედნიეროდ, მაყურებელმა ეს ვერ შეამჩნია. მე და ჩემმა პარტნიორმა კარგად გავუგეთ ერთმანეთს და ასე მშვიდად ჩავამთავრეთ ყველაფერი. ამიტომ აქაც ვნერვიულობდი იმაზე, რომ არ მოფრენილიყო კალია და არ დამჯდარიყო ჩემს კოსტიუმზე. მეშინოდა, რომ მისი სილამაზე გამართობდა. ასევე ძალიან ავღელდი, როცა ოქროს საწმისით გავყავდი ამ აბჯარასხმულ არგონავტებს, ხელი რომ ავწიე, ძალიან დიდი ღრუბელი დავინახე. ჩემმა ცეკვამ კი ჩაიარა, მაგრამ ძალიან ვნერვიულობდი ჩემს კოლეგებზე. იქ ცეკვავდნენ პატარა, საყვარელი ბავშვები, ქართული ცეკვის ანსამბლები, პროფესიონალი ანსამბლი „სუხიშვილები“, რომელთა წინაშე ქედს ვიხრი. მართლაც ყველასგან განსხვავებულები არიან და სულ არ მრცხვენია ამ სიტყვების თქმა. მოედანზე დაგებული თეთრი საფარი ძალიან სრიალებდა. წარმოვიდგინე, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ ეს ხელოვნური საფარი დასველდებოდა. მადლობა უფალს, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ვულოცავ ჩემს სამშობლოს, ყველა სპორტსმენს წარმატებას ვუსურვებ და მეამაყება, რომ ამ საოცარი სანახაობის ერთი პატარა ნაწილი ვიყავი.

„ერთხელ, ერთი ახლობელი მოვიდა და ასეთი რამ მითხრა, გირჩევ არასდროს აწყენინო შენს მეუღლეს, ის ღვთის ადამიანიაო. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო ამ სიტყვების მოსმენა“

- ე.ი. კალიები არ მოფრინდნენ, გადარჩით...

- (იცინის) კალიებმა ან შემიყვარეს, ან დამინდეს, მაგრამ იქვე ახლოს კი დაფრინავდნენ.

- ირმა, რამდენი წელია, რაც საქართველოდან შორს ცხოვრობთ და მოღვაწეობთ?

- არ არის ცოტა დრო. თავიდან პეტერბურგში ვცხოვრობდი და ვმოღვაწეობდი... ძალიან რთულად გადავიტანე 2008 წლის ომის პერიოდი. არ ვამატებ არაფერს, ეტყობა ძალიან იმპულსური ადამიანი ვარ. როცა შენს სამშობლოში ასეთი რამ ხდება, რთულია მშვიდად იყო. მაშინ ამას ისიც დაემატა, რომ მამა გარდამეცვალა, რომელმაც მეორე სამამულო ომი გამოიარა. ძალიან განვიცადე ეს ყველაფერი და 2008 წლის მერე დაგავწყვიტე ჩემს ვაჟთან ერთად პეტერბურგიდან წასულიყავი. დიდ ბრიტანეთში გადავედით საცხოვრებლად... 2010 წელს გასტროლით ვიყავი კანის საფესტივალო დარბაზში. გენერალური რეპეტიციების მერე ორსაათიანი დასვენება მქონდა. თან მახლდა ჩემი პატარა ვაჟი. ახლა უკვე პატარა აღარაა, 14 წლისაა. მისი დაბადებიდან ძალიან მალე ჩავდექი ფორმაში, ერთ თვეში ჩემი საყვარელი სპექტაკლით „მანონ ლესკო“ დავბრუნდი სცენაზე და მის მერე სადაც დავდივარ, თან დამყავს ჩემი შვილიც. კანში დასვენების დროს შვილთან ერთად გავედი ზღვაზე. ისე მოეწონა იქაურობა, ძალიან ჰგავს ბათუმსო, მითხრა. ჩემი შვილი ხშირად ისვენებს ბათუმში, ქობულეთში და იქ სადაც ახლა ვიმყოფები, გურიის ულამაზეს სოფელ ასკანაში. აქ ჩემი საბალეტო დარბაზი მაქვს, სამეცადინო. ბავშვმა კანი ბათუმს შეადარა. ამის მერე ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ილუშკა დიდი ბრიტანეთიდან სასწავლებლად საფრანგეთში გადმოგვეყვანა. მეც ძალიან მომწონს იქაურობა. მზით გამთბარი ქვეყანაა, ძალიან ჰგავს საქართველოს. არ არსებობს სიცივე, თოვლი. უკვე მეოთხე წელია საფრანგეთში ვცხოვრობთ. არდადეგებზე ყოველთვის ჩამოვდივართ საქართველოში. ყოველ ახალ წელს გურიაში ვხვდებით. ძალიან ლამაზი ბუნებაა ასკანაში, ისეთი მთები მოსჩანს ახლა ჩემი აივნიდან, ენით ვერ აღვწერ. ნაძვის ხეც მოვნახე და ყოველ ახალ წელს აქ აღვნიშნავთ.

- რა სიხშირით ახერხებთ საქართველოში ჩამოსვლას?

- როცა თბილისში ვარ, დედას ვნახულობ, დებს. წელინადში რამდენჯერმე ჩამოვდივარ საქართველოში. ილიკოს ხშირად აქვს ორკვირიანი დასვენებები. ოთხი დღეც რომ გვაქვს თავისუფალი, მოვფრინავთ. ძირითად დროს მაინც გურიაში ვატარებთ.

- ილიკოს რა ინტერესები აქვს?

- მამას უნდა თავის ტრადიციებს გააყოლოს. მოგეხსენებათ, მამა ტრადიციული მეღვინე გვყავს, მაგრამ არასდროს ვაძალებ შვილს არაფერს. რომ მთხოვა, დიდ ბრიტანეთში, სკოლა-ინტერნატში ვერ ვძლებ, შენთან წამიყვანე, მენატრებიო, გადავიყვანე საფრანგეთში ჩემთან. ვერც მეღვინეობას დავაძალებ, მას უყვარს ხელოვნება. ეს არც არის გასაკვირი, 3 წლიდან ვახსოვარ სცენაზე, იცის ყველა ქვეყანა, სადაც გამოვსულვარ. ჩემი დიდი გულშემატკივარია. მიხარია, რომ ჩემი შვილი ხელოვნების დარგს მიჰყვება. ორი ფილმი გადაიღო, ოღონდ უსიტყვო, მუსიკალური გაფორმებით. რეჟისორული ხედვა აქვს. მსახიობობასაც ფიქრობს, რომელიმე პროფესიას აირჩევს, ალბათ.

- ირმა, რა გენატრებათ საქართველოში, როცა აქ არ ხართ?

- საქართველოს სურნელი, ამას ვერაფერს შევადარებ, შეუდარებელია. როგორც ვერ გაცვლი მშობლებს ვერავისზე, ზუსტად იგივე შეგრძნება მაქვს ჩემს სამშობლოსთან დაკავშირებით... მენატრება ჩემი მამა-პაპის სახლი, იმერეთის ერთ პატარა სოფელში, ღვინის დაყენების განსაკუთრებული რიტუალი, მენატრება აქაური გაზაფხული, განსაკუთრებული ბუნება, ყვავილები. საქართველოში ვარდსაც კი სხვანაირი სურნელი აქვს...

- და აქ კალიებიც საყვარლები არიან...

- (იცინის) ჰო, ყველაფერი ქართული საყვარელია. მენატრება ქართული სიმღერა. ახლა გურიაში ვარ და ამ კუთხის მაგალითზე ვიტყვი. საოცარი ხმოვანება აქვს კრიმანჭულს. რომ ვუსმენ, ვერც კი ვიჭერ რა ხმა, როდის მოდის. მაინტერესებს ქართული ფოლკლორი. თავის ქებაში ნუ ჩამითვლით, მაგრამ ასეთი ფოლკლორი არც ერთ ერს არ აქვს.

- თვითონ მღერით?

- კი, ძალიან მიყვარს სიმღერა. შვიდწლედი მაქვს დამთავრებული. ვიოლინოზე ვუკრავდი.

- ცოტაოდენი მეუღლეზეც მიამბეთ, თუ შეიძლება...

- საოცარი ადამიანია, უყვარს ჩემი პროფესია. საკმაოდ კარგადაც ერკვევა, ზოგჯერ ვკამათობთ კიდეც. აქვს ხოლმე შემოთავაზებები, მაგალითად, ამ ნანილში კარგი იქნებოდა ენერგიული ტრიალიო, მეუბნება ხოლმე. კარგად ერკვევა ტერმინოლოგიაშიც. უკომპრომისოა საკუთარი თავის მიმართ და შედეგსაც შესაბამისს აღწევს. ძალიან კეთილია. ერთხელ, ერთი ახლობელი მოვიდა და ასეთი რამ მითხრა, გირჩევ არასდროს აწყენინო შენს მეუღლეს, ის ღვთის ადამიანიაო. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო ამ სიტყვების მოსმენა. ხატავს კიდეც. მან მომიხატა სარეპეტიციო დარბაზი.

- დიდი მადლობა რომ მოიცალეთ ჩვენთვის და დამთანხმდით ინტერვიუზე,

- მადლობა თქვენ. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი დავით ოქიტაშვილს, გოჩა კაპანაძეს იმისთვის, რომ მომცეს საშუალება ჩემი ხალხის გვერდით ვყოფილიყავი ამ ისტორიულ დღეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ყველაზე ხმაურიანი და

გამსახურდია მ

გიორგი გობეჩია

„საინტერესოა ისიც, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ ბესარიონ გუგუშვილი და კიდევ ორი სოფელ ნაკიფუში იმყოფებოდნენ და ბესარიონ გუგუშვილს ოჯახის მასპინძლის თქმით, ჰქონდა რაცია. უბრალოდ, საკითხავია, ვის ესაუბრებოდა ბესარიონ გუგუშვილი ამ რაციით“

გამძლიება პირველად 1994 წლის 17 თებერვალს დაიწყო. საქმე ერთხელ დაიხურა. შემდეგ კვლავ განახლდა და 2004 წელს, ფაქტობრივად, შეჩერდა. 2009 წლის ნოემბერში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი დროებითი კომისია საქართველოს პარლამენტში შეიქმნა, რომლის თავმჯდომარე კონსტანტინე გამსახურდია იყო. 2011 წლის 24 თებერვლის საპარლამენტო სესიაზე კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ წარმოადგინა ხსენებული კომისიის ძირითადი დოკუმენტი. დოკუმენტის თანახმად ასევე კომისიის მოკვლევებიდან და მოსმენა-გამოკითხვებიდან გამომდინარე საქართველოს პირველ პრეზიდენტს თავი არ მოუკლავს. პროკურატურამ ახლა ძიება მკლელობის მუხლით გადაკვალიფიცირა. ამ და სხვა საეჭვო გარემოებებზე „პრაიმტაიმს“ კონსტანტინე გამსახურდია და ამავე კომისიის სპიკერი ნიკა მაჭუტაძე ესაუბრა.

კონსტანტინე გამსახურდია:

– საქმე ის გახლავთ, რომ თვითმკვლელობაზე ადრეც არ იყო საუბარი, საქმე აღძრული იყო გარდაცვალებაზე, ასე ნეიტრალურად. საქმეს, რომელსაც საქართველოს პროკურატურა აწარმოებდა, დაწყებული 1994 და 2004 წლიდან, რომელსაც არც ერთი ქმედითი საგამოძიებო ღონისძიება არ ჩაუტარებია, ასეთი ნეიტრალური განწყობით მიმდინარეობდა და პრაქტიკულად უკრიტიკოდ, ჩაკითხვის, შეპირისპირებისა და სხვა თანამედროვე მეთოდების გარეშე იძიებდა, მთავარ მოწმეთა მონაყოლს. რაც, რასაკვირველია, ძირითადად თვითმკვლელობას ამკვიდრებდა, როგორც ერთადერთ ვერსიას. ეს არაპირდაპირ ნიშნავს, რომ საქართველოს პროკურატურა მდუმარედ ეთანხმებოდა ამ ვერსიას, თუმცა ის პირდაპირ და ღიად არც თვითმკვლელობას ამტკიცებდა პრეზიდენტისას, არც მკვლელობას.

– რით დასტურდება, რომ ეს არ იყო თვითმკვლელობა და იყო მკვლელობა?

– ძალიან ბევრი შეუსაბამობა და წინააღმდეგობა ახასიათებს მთავარი მოწმეების ჩვენებებს. ანუ თვითმკვლელობაზე საუბრობს სამი მთავარი მოწმე, მათვე თითქოსდა ამაგრებს, კიდევ ოთხი ადამიანი. ესენი არიან სახლის პატრონები ცოლ-ქმარი ღურწკაიები და ძმები ჩუხუები, რომლებმაც პრეზიდენტი ჯრიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადაიყვანეს. ანუ როდესაც ვსვამთ ამ საკითხს, როგორ ამტკიცებენ ისინი პრეზიდენტის თვითმკვლელობას, ისინი ვერანაირადაც ვერ ამტკიცებენ. გარდა იმისა, რომ ყვებიან ამ ისტორიას და ამ ისტორიაში არის უამრავი შეუსაბამობა. შეუსაბამობებისა და წინააღმდეგობების რიცხვმა 70-ს გადააჭარბა. თქვენ წარმოიდგინეთ, 14 თემატურ კატალოგში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თვითმკვლელობის საწინააღმდეგოდ საუბრობს კრიმინალისტიკა. ჩვენ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში ვაწარმოებდით და გვქონდა ინტენსიური კონსულტაციები პროფესორ გია დეკანოზიშვილთან, რომელიც „ალმა მატერში“ ხელმძღვანელობს ამერიკელების მიერ დაარსებულ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიას და სწორედ მას დავუდეთ ყველა მონაცემი და მან დაწერა დასკვნა, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია ასეთი ბალისტიკითა და ასეთი პოზიციით, ამგვარი იარაღით თვითმკვლელობა, როგორც მთავარი მოწმეები აღწერენ. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიას ცხედარს არ აღენიშნებოდა არც სტანც მარკა, რაც არის ბჯენის შედეგად აუცილებელი ნიშანი, ასევე არ იყო ჯვარედინი ნატყვიარი, უბრალოდ, შემავალი და გამომავალი ჭრილობა იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა მკვლელობას და არა თვითმკვლელობას. კიდევ არის ზოგადი მონაცემები, მაგალითად, ზვიად გამსახურდია ფიქრობდა ბრძოლის გაგრძელებას, აღნიშნული გვაქვს, რომ ის ესაუბრებოდა ადამიანებს, რომ არის ახალი სამხედრო საბჭო და შემუშავებულია ახალი სტრატეგია და ბრძოლის ტაქტიკა, რაც გულისხმობს კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის ბრძოლას. ის ინტენსიურად ეძებდა პარტიზანებთან კავშირს და ამას ხელს უშლიდა ზოგიერთი ადამიანი, რომელიც მის გარემოცვაში იყო. შემთხვევით არ თქვა, ალბათ, გენერალმა ავთანდილ იოსელიანმა ფილმში „დინების საწინააღმდეგოდ“, ჩვენ გარემოცვას კი არ ვაკონტროლებდითო, მაგრამ გარემოცვას სწორედაც რომ ვაკონტროლებდითო.

„ისინი გამოძიებასთან არასდროს თანამშრომლობდნენ, ბესარიონ გუგუშვილი არასდროს თანამშრომლობდა არც პროკურატურასთან და არც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან“

– და რა უშლის ხელს გამოძიებას?

– პოლიტიკური ნების არარსებობა.

– და თქვენ ახსენეთ, რომ სათანადო პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, ჯერ კიდევ არსებობს საკმაო რესურსი საქმის გამოსაძიებლად და თქვენი ვარაუდით, როდის დადგება ეს დრო?

– ხანდაზმულობა დიდია – 22 წელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახლა დავბრუნდი ზუგდიდიდან, ჩვენ სრულად გავიარეთ მარშრუტი, პრაქტიკულად ვიყავი ყველა სოფელში, ყველა სახლში, დაწყებული რუხიდან, დამთავრებული ძველ ხიბულამდე, რომელშიც იმყოფებოდა პრეზიდენტი თავის თანმხლებ პირებთან ერთად. მინდა გითხრათ, რომ რესურსი ჯერ კიდევ არის. არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ ფასეული ინფორმაციები ამ დანაშაულთან დაკავშირებით და საქმის გაწელვა და გაჭიანურება გასაგებია, რა მიზანს ისახავდა, რომ, რაც შეიძლება მეტად მიჩქმალულიყო კვალი. ამასვე ემსახურებოდა, როგორც ჩანს, 1993 წლის 31 დეკემბერს ტყვიის გულასა და მასრას გაუჩინარება, სწორედ იარაღის გაუჩინარება, ლეიბების დაწვა, ბალიშების ასევე გარეცხვა, ბალიშის პირებისა და საბნის პირების გარეცხვა. არანაირი სისხლის კვალი პრაქტიკულად აღმოჩენილი არ არის. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ გარკვეული ადამიანები დაინტერესებული იყვნენ, რომ ყველანაირი კვალი წაეშალათ.

– და ვის ინტერესებში შედის დაკონსერვება და პირველი პრეზიდენტისთვის თვითმკვლელის იარლიყის მიკერება?

– რასაკვირველია, პირველ რიგში, მიდის იმ ადამიანების ინტერესებში, რომლებიც ამ მკვლელთა ჯგუფის უკან იდგნენ. მათ დავალებებს აძლევდნენ. ეს ადამიანები დღესაც, როგორც ჩანს, არც თუ ისე ცუდად არიან. მათი პოზიციები დღესაც ძლიერია. აკონტროლებენ გარკვეულ ბერკეტებს, განსაკუთრებით ძალოვან სექტორში და მათ შეუძლიათ, გარკვეული წინააღმდეგობა გაუწიონ გამოძიებას.

– რა სახით იყვნენ ამაში ჩართული რუსული სპეცსამსახურები?

– ჩვენ გამოვკითხეთ ზუგდიდი-

„ეს არაპირდაპირი მტკიცებულებაა იმისა, რომ, როგორც ჩანს, რუსული სპეცსამსახურიც ჩართული იყო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბურუსით მოცული საქმე ოკლეს?

EXCLUSIVE

გამოძიება 22 წლის შემდეგ, შეცვლილი მუხლი, საეჭვო მოწმეები დაინტერესებული პირები

წალენჯიხის უშიშროების სამსახურის ოფიცერი, ბატონი თემურ გაბუნია, რომელმაც გვითხრა, რომ გენერალ გია გულუასთან და შოთა კვირაიას დაქვემდებარებაში იყვნენ რუსული სპეცდანიშნულების რაზმის „ლეტუჩიე მიშის“ წარმომადგენლები. მათი რიცხვი თემურ გაბუნიამ ზუსტად ვერ თქვა. ეს არაპირდაპირი მტკიცებულებაა იმისა, რომ, როგორც ჩანს, რუსული სპეცსამსახურიც ჩართული იყო. საინტერესოა ისიც, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ ბესარიონ გუგუშვილი და კიდევ ორი სოფელ ნაკიფუში იმყოფებოდნენ და ბესარიონ გუგუშვილს ოჯახის მასპინძლის თქმით, ჰქონდათ რაცია. უბრალოდ, საკითხავია, ვის ესაუბრებოდა ბესარიონ გუგუშვილი ამ რაციით.

– და თავად ბესარიონ გუგუშვილი და დაცვის წევრები თუ თანამშრომლობდნენ გამოძიებასთან?

– მათ უარი თქვეს გამოძიებასთან თანამშრომლობაზე. მათ თქვეს, რომ ეს არის უკანონო პარლამენტის უკანონო კომისია, რომ კანონიერი ხელისუფლება თავად არიან, ანუ ემიგრაციაში, და მათ უფლება აქვთ, ჩვენ დაგვაკავონ კიდეც. ასეთი რამ შემოგვითვალეს. ისინი არასდროს თანამშრომლობდნენ, ბესარიონ გუგუშვილი არასდროს თანამშრომლობდა არც პროკურატურასთან და არც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ამავე მოტივაციით. რაც შეეხება რობინზონ მარგველანს, რობინზონ მარგველანს დაახლოებით 17 თუ 18 ჩვენება აქვს მიცემული საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის და იგივე ითქმის სხვა მოწმეებზეც.

– თქვენს წიგნში აღნიშნეთ, რომ ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრები სხვადასხვა დროს დააკავეს...

– ერთ საინტერესო ამბავს გეტყვით. რა თქმა უნდა, ისინი დაკავებულები იყვნენ მანამდე და, ფაქტობრივად, მთავარ მოწმეებთან გულუა არის პირადად შენახვედრი. საქმე ის არის, რომ არც ერთი მთავარი მოწმის ჩვენებაში ხიბულა არ ფიგურირებს, სახელი ძველი ხიბულა ამოტივტივდა 1998 წლის ერთ-ერთ ინტერვიუში და ის შემდეგ გაიმეორა პრეზიდენტის უმცროსმა ვაჟმა გიორგი გამსახურდიამ თავის ინ-



„დავანებოთ თავი იმას, რომ მთავარ პროკურატურაში საკმაოდ საკვანძო თანამდებობებს იკავებენ, მაგალითად, კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ მაღალ თანამდებობაზე დანიშნული ძალოვანი მაღალჩინოსნები. ვთქვათ, იგივე ანზორ ბალუაშვილი“

ტერვიუში. რეალურად ეს სახელი მანამდე არ ფიგურირებდა. მაგალითად, გურამ შარაძის წიგნში აღნიშნულია, რომ ზვიად გამსახურდია სოფელ ჯაღრაში იქნა მოკლული. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ნამდვილად სერიოზული კითხვებია დასასმელი, რატომ არ ფიგურირებდა სოფელი ხიბულა მანამდე და რატომ არც ერთი მთავარი მოწმის ჩვენებაში არ ფიგურირებს სოფელ ძველი ხიბულას სახელი. რობინზონ მარგველანმა ისიც კი არ იცის, ვის სახლში იმყოფებოდა ის სამი დღის მანძილზე და ახსენებს სახლის პატრონს, როგორც ვირაც ლადოს, ანუ მან ისიც არ იცის, რომ სახლის პატრონს კარლო ერქვა.

იგორ გიორგაძემ ახსენა, რომ მას ჰქონდა პრეზიდენტის დაკავების საშუალება და თბილისში ჩაყვანის შესაძლებლობა, სადაც სასამართლო უნდა გამართულიყო, რაზეც ედუარდ შევარდნაძემ უარი განაცხადა, იმიტომ რომ მართლაც რა უნდა წაეყენებინათ მისთვის ბრალად სასამართლო პროცესზე?

– რა კავშირშია სამართლიანობის აღდგენა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებასთან?

– პირდაპირ კავშირშია. არანაირი სამართლიანობის აღდგენა არ შეიძლება მოხდეს ქვეყანაში, ვიდრე ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა. მათ შორის ამ მკვლელობასაც.

– რას იტყვით თომა ჩაგელიშვილის ფილმში გაჟღერებულ თვითმკვლელობის ვერსიაზე?

– თომა ჩაგელიშვილის ფილმი არის ტენდენციური ფილმი, რომელიც მიზნად ისახავს პრეზიდენტის მკვლელების მიერ გავრცელებული თვითმკვლელობის ვერსიის გამართლებას და მის დასაბუთებას, სხვა ამოცანა ამ ფილმს არა აქვს.

ნიკა მაჭუტაძე:

– ნიკა, თქვენ იყავით ამ კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპიკერი, რა მოხდა 4 წლის მანძილზე ამ მიმართულებით?

– კომისიის არსებობის დასრულების შემდეგ, ბევრი არაფერი მომხდარა, კომისიამ წარადგინა დასკვნითი დოკუმენტი საქართველოს პარლამენტის პლენარულ სესიაზე. პარლამენტმა მოიწონა დოკუმენტი, მიიღო ის, როგორც საპარლამენტო დოკუმენტი და გადაწყვიტა, რომ გადაგზავნილიყო მთავარ პროკურატურაში. მახსოვს რამდენიმე დეპუტატის ინიციატივა იქვე, სესიაზე, ეს იყო, თუ არ ვცდები, ნუგზარ წიკლაურისა და თემურ წურწუმიას ინიციატივა, რომ ყოველ სამ თვეში მომხდარიყო პარლამენტისთვის მოხსენება პროკურატურის მიერ საგამოძიებო პროცესის მიღწევათა შესახებ და ზოგადად. რამდენადაც ვიცი, ეს არ მომხდარა.

– ანუ გამოძიება არ დაწყებულა, საერთოდ?

– ჩვენ მაშინ გვქონდა კულუარული ინფორმაცია, რომ გამოძიებაზე დაიწყო მუშაობა, მაგრამ არც ისე დიდი ინტენსივობით და აქტიურობით. საერთოდ, ასეთ საქმეებს და, პრინციპში, ეს არის განსაკუთრებული შემთხვევა, მე მსგავსი საქმე არ მეგულება ქართულ სამართლებრივ-პოლიტიკურ სივრცეში და უახლესი ისტორიის მანძილზე, სჭირდება განსაკუთრებული და აგრესიული, პროაქტიური პოლიტიკა, პროაქტიური ქმედებები და ეს არ ყოფილა, ნამდვილად არ ყოფილა. თუმცა ახლა როგორ არის, იცით? ერთი წელიც არ იყო გასული და ის ხელისუფლება უკვე დასრულდა, შემდეგ მოვიდა ახალი ხელისუფლება. ფაქტობრივად, ისტორიული გადასახედიდან, დასრულდა კომისიის მუშაობა, წარედგინა დოკუმენტი მთავარ პროკურატურას და კიდევაც დასრულდა იმ ხელისუფლების ხელისუფლებაში ყოფნა. ვგულისხმობ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას.

– და ახალ მთავრობას თუ აქვს ინტერესი ამ საქმესთან დაკავშირებით?

– ახალმა ხელისუფლებამ, პრემიერ-მინისტრმა, ერთ-ერთ გაზეთთან ინტერვიუში დააფიქსირა, რომ ეს საქმე უნდა იყოს გამოძიებული, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. იმიტომ რომ რეალურად ამას არავინ არ უარყოფს, გარდა რამდენიმე ოდიოზური ადამიანისა, რომ ეს საქმე გამოძიებული არ უნდა იქნეს. ეს იმდენად უზოგადესი და აბსტრაქტული ნათქვამია, რომ ვფიქრობ, ეს არის საჯარო პოზიციის დაფიქსირების, საერთო სიკეთეების გამო ნათქვამი და არა კონკრეტული ქმედითი ან განკარგულებითი ხასიათის. მაგრამ კიდევ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქმეს შეეცვალა კვალიფიკაცია, ესეც საქმეა. მაგრამ მთავარი ამბავი არის ასეთი, რომ ეს თავისთავად არაფერს ნიშნავს. მთავარი საქმე არის საკითხის გამოძიება, მთავარი შეკვეთა საზოგადოებისა არის დასაბუთებული დასკვნების საგამოძიებო შედეგების დადება და არა, ვთქვათ, ფორმალური თუ ზეპირსიტყვიერი განცხადებები და მინერილობები, რომელთანაც ჩვენ შეხება გვაქვს ამ შემთხვევაში. ვინაიდან ჩემი, ერთი მოქალაქის პოზიცია არის ასეთი, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში საქმე გამოძიებული ისე და იმგვარად, როგორც ეს საჭიროა, არ და ვერ იქნება.

– და რა არის ამის მიზეზი?

– ძალიან მნიშვნელოვანი არის ის, რომ ქვეყანა გასულია კონსტიტუციური სივრციდან, ქვეყნის მართვა არ ხდება კონსტიტუციის ჩარჩოში. ისტორიულ-სამართლებრივ და ისტორიულ-პოლიტიკურ საკითხებს სჭირდება გარკვევა, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ მოსახერხებელი და შესაძლებელია კონსტიტუციურ სივრცეებში. არ შეიძლება რაიმე ხდებოდეს კარგი და ის ხდებოდეს კონსტიტუციის საზღვრების მიღმა. ამიტომ თუნდაც ეს საკითხი, დავანებოთ თავი იმას, რომ მთავარ პროკურატურაში საკმაოდ საკვანძო თანამდებობებს იკავებენ, მაგალითად, კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ მაღალ თანამდებობებზე დანიშნული ძალოვანი მაღალჩინოსნები. ვთქვათ, იგივე ანზორ ბალუაშვილი.

– თქვენი აზრით, ეს პიროვნებები უშლიან ხელს გამოძიებას?

– ბატონი ანზორ ბალუაშვილი არის მთავარი პროკურატურის რეფორმათა ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მე არ ვამბობ, რომ ბატონი ანზორ ბალუაშვილი რამეს ხელს უშლიდეს, მაგრამ აქ ლაპარაკია სხვა რამეზე.

– პოლიტიკურ ნებაზე, ალბათ...

– პოლიტიკურ ნებაზე, რომელიც უნდა ჰქონდეს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს, იმიტომ რომ, როდესაც ქვეყანა გასულია კონსტიტუციის მმართველობის სივრციდან, ამაში ვგულისხმობ იმას, რომ ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი არის ბიძინა ივანიშვილი და მისი პოლიტიკური ნების გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევა და გამორკვევა, შესაბამისი და ადეკვატური საგამოძიებო პროცესის წარმოება.

– და რაიმე იმედები თუ არსებობს?

– რაც შეეხება კადრებს, რომლებზეც მე ვსაუბრობდი, თავისთავად ცხადია, რომ პიროვნულად კონკრეტულად მე არავის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ამაში ვგულისხმობ იმას, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის ვერდიქტი უნდა დადოს იმ თაობამ, რომელსაც არ აქვს მიმხრობითობა. გესმით? აი, ამ უაღრესად პოლარიზებულ ისტორიაში, რომელიც შემდეგ მივიდა სახელმწიფო გადატრიალებამდე, შემდეგ სამოქალაქო დაპირისპირებამდე.

– ანუ ახლო მომავალში არ უნდა ველოდეთ ცვლილებებს ამ საკითხთან დაკავშირებით?

– მოხდება თუ არა სახელმწიფოს აღქმის ცვლილება და სახელმწიფოებრივი აზროვნების დამკვიდრება ქვეყანაში, მხოლოდ მაშინ არის წარმოსადგენი ამ საქმის გამოძიება. იმიტომ რომ, თუ არ გესმის შენ და არ განიცდი, რა არის სახელმწიფო და ამას არ განიცდის მოქალაქეთა უამრავი და უდიდესი ნაწილი, დღეს ამის თქმა შეიძლია პირადად და პირდაპირ. წარმოუდგენელია, სახელმწიფოს მესაძირკვლის ბედი გაწუხებდეს, იმდენად რამდენადაც საჭიროა ასეთი ღირერებული და მნიშვნელოვანი ქმედებების განსახორციელებლად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ანრი ჯოხაძე



გიორგი შიუკაშვილი და სოფო ბათილაშვილი

დიმა კობეშავიძე



მაგდა კლდიაშვილი

bazarr

საქართველო ნაკრების კაპიტ

უკვე გადაწყვ
რომ საქართველო
ნული საფეხბურ
კრების კაპიტან
კანკავა უკრაინას
ვებს.

ერთ-ერთი უკრაინ
მოცემის ცნობით, ...
ნახევარმცველი, „...
მთავარი მწვრთნელ
მარკევიჩის ნდობით
რგებლობს. კანკავა

უარი „დილას
გიორგი ლორ
„ტრაბზონში
მიდის

მას შემდეგ, რაც საბერძნეთში ეკონომიკურმა კრიზ
იჩინა თავი, პრობლემები შეექმნა „ოლიმპიაკოსში“ ა
გადასულ გიორგი ლორიას.

ვინაიდან, ბერძნები საქართველოს ეროვნული ნაკრების
რის კიპერისთვის ანაზღაურების გადახდას ვერ ახერხებ
უკვე გადაწყვეტილია, რომ ქართველი პირეოსელთა გუ
დატოვებს.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ლორიას გადმ
ირებაზე, საქართველოს ჩემპიონი გორის „დილა“ მუშაო
და საკუთარი წარმომადგენელიც ჰყავდა გაგზავნილი ა
„დილამ“ ამ წინადადებით „ოლიმპიაკოსსაც“ მიმართა, თ
როგორც საქმეში ჩართული ქართველი მენეჯერი ლევან
ლაგაძე ამბობს, „დილა“ გამოირიცხა, „ტრაბზონში“ კი ტ
სფერის დეტალები შეთანხმებულია და ფეხბურთელი კა
ას შოთა არველაძის გუნდში გააგრძელებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ის ეროვნული საფეხბურთო ...ანი საფრანგეთის უახლოვდება

...ეტილია, ...ს ეროვ- ...თო ნა- ...ი, ჯაბა ...ს დატო-

...ულ გა- ...ქართველი ...დნიპროს“ ...ის, მირონ ...აღარ სა- ...მ ჩემპიო-

ნატის ბოლო მატჩში, „ჩერნომორეცთან“ მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა.
როგორც ცნობილია, კანკავას ტრანსფერზე ფრანგული „რეიმსი“ მუშაობს და ნაკრების კაპიტნის საფრანგეთში გადასვლას წინ აღარაფერი უდგას.
ასე რომ, სულ მალე, ჯაბა კანკავას „რეიმსი“ ოფიციალურად გაიფორმებს.

შოთა არველაძე „ტრაბზონში“ რჩება

თურქული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ შოთა არველაძე „ტრაბზონის“ მთავარი მწვრთნელის პოსტს ტოვებს, სიცრუე აღმოჩნდა.
მედიის ცნობით, ქართველი სპეციალისტი თანამდებობიდან გადადგა, რადგან ასევე პოსტი დატოვა კლუბის სპორტულმა დირექტორმა, სულეიმან ჰურმა, რომელმაც არველაძე გუნდში მიიყვანა.
არველაძემ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა და განაცხადა, რომ ის არ გადამდგარა და მსგავსი რამ არც უთქვამს.
„ახლა გუნდთან ერთად ვარ და ვემზადებით თამაშისთვის გუნდის მხარდაჭერას ვგრძნობ“, - განაცხადა არველაძემ.

ნიკა ძალამიძე „რიზეს“ ფეხბურთელია

პოლონური „იაგელონიას“ ქართველი ნახევარმცველი, ნიკა ძალამიძე გუნდს დაემშვიდობა და კარიერას თურქეთში გააგრძელებს.
23 წლის ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა ახალ გუნდში და „რიზესფორში“ ჩაირიცხა, თუმცა თურქულ კლუბს ჯერ ოფიციალურად არ დაუდასტურებია ქართველის ტრანსფერი.
„რიზე“ ავსტრიაში შეკრებას გადიოდა, რომელიც 30 ივლისს დაასრულა და გუნდს სამდღიანი დასვენება მიეცა. ძალამიძესთან ერთად, „იაგელონიამ“ „რიზეში“ პატრიკ ტუშჩინსკიც გაყიდა და ორივე ფეხბურთელის ტრანსფერი ერთად 1,5 მილიონი ევრო დაჯდა.

გიორგი გაბუნია და გიორგი ნაკაშიძე

თათუკა ნატროშვილი

თიკო მოსემღვდლიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი მერებაშვილი - კარგ ცხადაძესთან არ მისაუბრია

მაგდა კლდიაშვილი

28 წლის ნახევარმცველი, გიორგი მერებაშვილი „ვერიაში“ ითამაშებს. ბერძნულ კლუბთან ფეხბურთელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ახლა იმედოვნებს, რომ „ოფისგან“ განსხვავებით, მისი ახალი გუნდი უფრო სტაბილური იქნება. შეექმნა თუ არა ფეხბურთელს საბერძნეთში არსებული ფინანსური კრიზისის გამო პრობლემები და ამოიწურა თუ არა დაპირისპირება ნაკრებთან დაკავშირებით. „პრაიმტაიმი“ გიორგი მერებაშვილს ესაუბრა.

- როგორ მოერგე ახალ გუნდს?

- ძალიან კარგად. ყველაფერი ნორმალურად მიდის. რამდენიმე ფეხბურთელს ვიცნობდი სერბეთიდან. ერთ გუნდში არ გვქონდა ნათამაშები, მაგრამ სხვადასხვა კლუბებიდან ვიცნობდი. ახლა ერთ ოთახში ვართ, მცველია ჩვენს გუნდში. ვემზადებით, შეკრებაზე ვართ. ძირითადად, ფიზიკურ და ტაქტიკურ ვარჯიშებს ეთმობა მეტი ყურადღება. ბურთთან უფრო ნაკლები შეხება გვაქვს.

- „ოფში“ ყოფნის პერიოდმა საბერძნეთში ადაპტაცია გაგიადვილა?

- კი, გაცილებით გამიადვილა. ვცდილობ, ენაც, შეძლებისდაგვარად, მალე ვისწავლო. რაღაცები ვიცი უკვე. „ოფში“: ყოფნის პერიოდში, ძირითადად, ინგლისურად მიწევდა საუბარი, რადგან ბევრი ლეგიონერი იყო და მწვრთნელიც უცხოელი ჰყავდათ. აქ, ძირითადად, ბერძნული მესმის და ვცდილობ, ბერძნული ენა ვისწავლო, რათა, თუ წინააღმდეგობა შეიძლება დავარქვათ ენის ბარიერს, ეს პრობლემა მალე აღმოვფხვრა.

- ენის მასწავლებელი აიყვანე?

- არა, ჯერჯერობით მე თვითონ ვსწავლობ. შეკრებაზე მასწავლებელს ვერ ავიყვან და გადავწყვიტე, საბერძნეთში რომ დავბრუნდებით, მასწავლებელიც ავიყვანო, რომ რაც შეიძლება მალე ვისწავლო ენა. ისეც, მასწავლებლის გარეშეც ვისწავლი ასე თუ ისე, მაგრამ უფრო მეტი დრო დამჭირდება. აქედან გამომდინარე გადავწყვიტე მასწავლებლის აყვანა.

- კრეტაზე გულშემატკივრებისთვის საყვარელი ფეხბურთელი გახდი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „პანათინაიკოსს“ გაუტანე და ათენში მოიგეთ. „ვერიაში“ როგორ არის?

- მე როდესაც ჩამოვედი, ფაქტობრივად, არც წარდგენა ყოფილა. შეკრებიდან რომ დავბრუნდებით, შემდეგ იქნება ახალი ფეხბურთელების წარდგენა. ქალაქში კარგი განწყობაა, უყვართ ფეხბურთი, რაც ყველაზე მთავარია, პირადად მე, უკვე შევეჩვიე ქალაქს. თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. არანაირი პრობლემა არ მაქვს ამ მხრივ და როდესაც დავბრუნდები, ჩემპიონატის განახლებისთანავე, შევეცდები, მათი საყვარელი ფეხბურთელიც გავხდე და წარმატებით ვიასპარეზო ჩემპიონატში.

- როგორ გგონია, ახალ გუნდში ისეთივე წარმატებული სტარტი გექნება, როგორც ეს „ოფში“ გქონდა?

- ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს და ვეცდები, რომ უფრო წარმატებული სეზონი ჩავატარო. თუ შევადარებთ „ოფს“ და „ვერიას“, როგორც ფეხბურთის მხრივ, ისე ფინანსურად, არანაირი პრობლემა არ უნდა შემექმნას. იმედი მაქვს, ის სტაბილურობა, რაც გუნდშია, მომავალშიც გაგრძელდება და მექნება იმის საშუალება, რომ ჩემი თამაში ვითამაშო, მხოლოდ ფეხბურთზე ვიფიქრო და არანაირი სხვა პრობლემა არ იქნება. აქედან გამომდინარე, მაქვს იმის საფუძველი, რომ უკეთესი სეზონის ჩატარებაზე ვიფიქრო.

- საბერძნეთში ფინანსური კრიზისია. ამის გამო, გიორგი ლორიამ „ოლიმპიაკოსთან“ ურთიერთობა გაწყვიტა და სხვაგან მიდის, „ვერიაში“ არაა ეს პრობლემა?

- არ ვიცი, „ოლიმპიაკოსში“ რა ხდება, მაგრამ „ვერიაში“ ნამდვილად არ არის ამის პრობლემა. ყველას მოეხსენება, რომ საბერძნეთში ფინანსური პრობლემები და მძიმე დღეები იყო. დახურული იყო ბანკები და აქედან გამომდინარე, გუნდს, ვერც ფული გამოჰქონდა ანგარიშიდან და ვერც გადარიცხვებს აწარმოებდა. მხოლოდ ეს პრობლემა იყო, რომელიც ნაწილობრივ უკვე მოგვარდა. კლუბს აქვს იმის საშუალება, რომ ანგარიშიდან ანგარიშზე გადარიცხოს თანხა, მით უმეტეს, ლეგიონერებს, გამოტანის მხრივაც არ აქვთ პრობლემები. მე პირადად და „ვერიას“, ამ მხრივ, არანაირი პრობლემა არ აქვს. როგორც აღვნიშნე, ფინანსურად ძლიერი და სტაბილური გუნდია და იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

- გასულ სეზონში „ვერიას“ მაღალი ადგილი არ დაუკავებია. შენს ამბიციებს აკმაყოფილებს ეს გუნდი?

- როდესაც „ვერიასთან“ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, ვიცოდი, რომ ამბიციური გუნდი არ იყო და დასახული არ ჰქონდა, რომ აუცილებლად ჩემპიონატი უნდა მოეგო, ან ევროსარბიელზე გასულიყო. უფრო სატრამპლინო გუნდია. ფეხბურთელები მოჰყავთ, კარგი თამაშის შემდეგ კი უკეთეს გუნდებში უშვებენ. ერთი ფაქტიც მინდა აღვნიშნო, „ვერიას“ კარგი ურთიერთობა აქვს „პაოკთან“ და დიდი შანსია, რომ კარგი სეზონის ჩატარების შემდეგ, „პაოკში“ გაყიდონ ფეხბურთელები. მეც იმედი მაქვს, რომ კარგ სეზონს ჩავატარებ და მომავალ წელს, გაცილებით ძლიერ და ამბიციურ გუნდში გადავალ სათამაშოდ.

- „ოფში“ შენი პირველი მწვრთნელი გატუზო იყო, რომელსაც გუნდიდან წასვლის შემდეგაც სურდა მასთან გემუშავა. რატომ ვერ გაგრძელდა თქვენი თანამშრომლობა?

- სანამ ვერიაში წამოვიდოდი, იყო ხშირი საუბრები. ახლაც კარგი ურთიერთობა მაქვს მასთან, მხოლოდ ფეხბურთით არ წყდება. როდესაც „ვერიას“ ვარიანტი გამოჩნდა, მე მას პირადად დავურეკე და ვუთხარი, რომ მქონდა ოფიციალური შემოთავაზება, რაზეც, ყოველ შემთხვევაში იმ მომენტისთვის თანახმა ვიყავი და მაინტერესებდა მისი აზრი ამასთან დაკავშირებით. მაშინ, გატუზო, რუსეთის ერთ-ერთი გუნდთან აწარმოებდა მოლაპარაკებას და ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ კონტრაქტს გააფორმებდა. დამირეკა კიდეც, მითხრა, რომ ხვალ უკვე ვაწერ ხელს და იხუმრა, ჩაალაგე ჩანთა, მოდიხარო. შემდეგ, არ ვიცი რა მოხდა, დეტალებში აღარ ჩავძიებივარ. ბოლო მომენტში ჩაიშალა ეს კონტრაქტი. შემდეგ, იტალიის სერია ცა-ში გადავიდა, სადაც მე თამაშის უფლებაც არ მაქვს. ჩემი აქ წამოსვლა, შეიძლება ითქვას, რომ ურთიერთშეთანხმებულად მოხდა. რა თქმა უნდა, მასაც და მეც, დიდი სურვილი გვაქვს, რომ ერთად ვიმუშაოთ და იმედია, ეს, ადრე თუ გვიან, ასეც მოხდება.

- ნაკრებში მცირე უსიამოვნებები გქონდა. კახა ცხადაძეზე განაწყენებული იყავი და იმ ფორმაზე, რომლითაც გამოძახებული აღარ გამოგიძახეს, ისაუბრე ნაკრების თავკაცთან, მოაგვარეთ პრობლემები?

- რაც მაშინ ვთქვი, ფაქტი აღვნიშნე, ის, რაც მოხდა. ჩემი საუბარი არ ნიშნავს იმას, რომ ნაკრებში თამაში არ მინდა და გამოძახების შემთხვევაში არ ჩამოვალ. გულდასაწყვეტი იყო, რაც მოხდა და ის ფაქტი აღვნიშნე. არავინ დამკავშირებია ნაკრებიდან. არც კახა ცხადაძესთან მისაუბრია. თუ გამომიძახებენ, ბედნიერი ვიქნები და ვეცდები, რომ ჩემი თამაშით, ნაკრებს წარმატება მოვუტანო. იმაზე ლაპარაკი, რომ ნაკრებში არ ჩამოვალ, სისულელეა. ეს პრობლემა არ იქნება.

„თუ შევადარებთ „ოფს“ და „ვერიას“, როგორც ფეხბურთის მხრივ, ისე ფინანსურად, არანაირი პრობლემა არ უნდა შემექმნას“

„გადავწყვიტე, საბერძნეთში რომ დავბრუნდებით, მასწავლებელიც ავიყვანო, რომ რაც შეიძლება მალე ვისწავლო ენა“

„უკვე შევეჩვიე ქალაქს. თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში“

EXCLUSIVE

„დახურული იყო ბანკები და აქედან გამომდინარე, გუნდს, ვერც ფული გამოჰქონდა ანგარიშიდან და ვერც გადარიცხვებს აწარმოებდა“

„არც კახა ცხადაძესთან მისაუბრია. თუ გამომიძახებენ, ბედნიერი ვიქნები და ვეცდები, რომ ჩემი თამაშით, ნაკრებს წარმატება მოვუტანო“

„ვერიას“ კარგი ურთიერთობა აქვს „პაოკთან“ და დიდი შანსია, რომ კარგი სეზონის ჩატარების შემდეგ, „პაოკში“ გაყიდონ ფეხბურთელები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოსთან გაფორმებული კონტრაქტი

რეზო შატაკიშვილი

ოთხი წლის იყო ონისე, მამა რომ მოუკლეს 1992 წლის იანვარში, მეტეხის ხიდთან. მოუკლეს ქართველებმა, ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერის გამო.

დედამისს, სრულიად ახალგაზრდა, 29 წლის ნუნი გოგოლაძეს ოთხი ობოლი დარჩა და სწამდა, რომ განგება ამ სიმწარეს აკმარებდა.

მაგრამ არ აკმარა.

შვილი რუსებმა მოუკლეს აგვისტოს ომში.

ონისე დოიჯაშვილი შიდა ქართლში, სოფელ ზემო ხვითში იზრდებოდა ობლობაში.

„ლაპარაკში შევაპარე, ონისე, მოდი, დარჩი, ვერავინ ვერაფერს გაიგებს-მეთქი. ამაზე სულ გადამერია, რეებს ლაპარაკობ, იქ ძმაკაცები მეხოცებიან, მეთაური ჩემს იმედზეა და მე აქ რა დამტოვებსო“

ონისე დოიჯაშვილი

გიორგი დოიჯაშვილი, ძმა: „მამა რომ დაგვეღუპა, მე ექვსი წლის ვიყავი, ჩემი უფროსი და – ცხრა წლის, ონისე – ოთხის. საშინელი გაჭირვება იყო. დედას ვეხმარებოდით, თავიდანვე გვიწევდა თავის გატანისთვის ბრძოლა. ონისე ცელქი იყო, მაგრამ ბავშვობიდანვე ჰქონდა ოჯახის სიყვარული, სულ ცდილობდა, რომ რაიმეთი ესიამოვნებინა ოჯახი, როგორმე პატივი ეცა, დაუზარელი იყო, არაფერი ეზარებოდა. სკოლაშიც ნორმალურად სწავლობდა, გამოირჩეოდა თავისი ფიზიკური მონაცემებით, იყო ძალიან ახოვანი, ასაკთან შედარებით უფრო მოსული. სწავლა უყვარდა, მაგრამ გაგრძელების საშუალება არ ჰქონდა.

სანამ სავალდებულო ჯარში გაიწვევდნენ, სულ იმას ცდილობდა, რამე შემოეტანა ოჯახში, ოჯახს დახმარებოდა. 18 წლის გახდა თუ არა, სავალდებულო ჯარში წავიდა. ჯარში წასვლამდე რაც არ უნდა გასჭირვებოდა, რაც არ უნდა ნდომოდა, არ გეტყოდა. ერთადერთი, ჯარში რომ მიდიოდა, უნდოდა, გაცილება სუფრით აღგვენიშნა. აღვნიშნეთ, მეგობრები ჰყავდა. 2 მაისს, თავის დაბადების დღეზე წავიდა ჯარში.

სავალდებულო რომ მოიხადა, საკონტრაქტო ჯარში დარჩა“.

მაკა ბუჩუკური, ძმის ცოლი: „საკონტრაქტო ჯარში სამშობლოს სიყვარულთან ერთად იმანაც ნაიყვანა, რომ ოჯახს, თავის დედმამიშვილებს დახმარებოდა. თან ისეთ მხარეში ვცხოვრობთ, სულ ისროდნენ, სულ ომის სუნი ტრიალებდა, შინაგანად ბავშვობიდან მზად იყო მეომრობისთვის. სულ ისროდნენ და პროტესტის გრძნობაც ჰქონდა“.

გიორგი დოიჯაშვილი: „სავალდებულო სამსახურს მუხროვანში იხდიდა, მაგრამ მუხროვანიდან ცხინვალის რეგიონში იყო მივლინებული, სამშვიდობო მისიით, ნიქოზის სამშვიდობო ბატალიონში ირიცხებოდა და იქიდან ხან ერედვში იდგა, ხან – წვერიახოზე. მერეც, როცა კონტრაქტზე დარჩა, მეოთხე ბრიგადაში, 42-ე ბატალიონში ჩაირიცხა, ბაზა ვაზიანში იყო, მაგრამ მაშინაც სამშვიდობო მისიით გაგზავნეს სამაჩაბლოში. ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე გადაიყვანეს თბილისში. რომ ვეტყოდი, მეც ჯარში უნდა წამოვიდე-მეთქი, გიჟდებოდა, შენ რა გინდა ჯარში, ცოლ-შვილს მიხედე, თუ რამე დაგჭირდებათ და გაგიჭირდებათ, მე დაგეხმარებით და მოგხედავთო. სექტემბერში ერაყში უნდა წასულიყო. ემზადებოდა...

7 აგვისტოს, ომში რომ მიდიოდა, დაგვირეკა, შემართებით იყო. დედას უმალავდა, რომ ომში იყო, გვაფრთხილებდა, არ უთხრათ, არ გააგებინოთო. ჩემი ბიჭი, ლევანიკო, თვეების იყო, გიჟდებოდა ძმისშვილზე, ხელფასს რომ იღებდა, სულ სახლში ტოვებდა, ლევანიკოს მიხედეთო. რომ დამირეკა, გამაფრთხილა, ცოლ-შვილი სასწრაფოდ გაიყვანე სოფლიდანო. არადა, არ მიგვაჩნდა აუცილებლად წასვლა, სიტუაცია ბევრჯერ იყო დაძაბული და გვეგონა, ისევ ისე მოხდებოდა, ჩაწყნარდებოდა მალე სიტუაცია, ეგეთი ბევრი გვაქვს გადატანილი...“

მაკა ბუჩუკური: „სანამ საშუალება ჰქონდა, თვითონაც ურეკავდა დედას, ამშვიდებდა, ჩვენ ომში არ მივყავართ, ერაყისთვის გვამზადებენო. დედასაც სჯეროდა მისი. მერე ამბობდა კიდეც, იმხელა უბედურება მქონდა გადატანილი, ცუდს აღარაფერს არ ველოდებოდიო“.

გიორგიმ ძმას დაუჯერა და ცოლ-შვილი ზემო ხვითიდან გაარიდა, ჯერ ტირძნისში გადაიყვანა, 7 აგვისტოს, ღამით, კი გორში ჩაიყვანა.

გიორგი დოიჯაშვილი: „7 აგვისტოს, საღამოს, უკვე ბრეთიდან დამირეკა, ამაღამ ტელეფონი მექნება გამორთული და არ ინერვიულოთო. 8 აგვისტოს დილით ადრე დამირეკა გახარებულმა, ცხინვალი ავიღეთ, ქართული დროშები აღვმართეთ, მაგათი დროშები წამოვიღეთო. შუადღისას რომ დავურეკე, მითხრა, თვითონ დაგირეკავო. 4 საათი გახდა, არ რეკავდა და ისევ მე დავრეკე. მკითხა, სად ხარ, ცოლ-შვილი სად გყავსო, გორში ვართ-მეთქი. გორში ჩამოვდივარ, ავტოსადგურში მოდი, გნახავო. რომ მივედი, იქ არ დამხვდა, ისევ დავურეკე, მითხრა, მანდ ვერ გავჩერდები, ჰოსპიტალში ამოდი, ხალხი მყავს ცუდადო. მივედი თუ არა ჰოსპიტალში, შემოვიდა კიდეც მანქანით, დაჭრილები და გარდაცვლილები ჰყავდა ჩამოყვანილი. ექიმებმა ეს ბიჭები რომ შეიყვანეს, გამოვიდა, მელაპარაკებოდა. ორი კახელი ბიჭი ახლდა. ბოლისგან სულ გაშავებული იყო, ვუთხარი, პირი მაინც დაიბანე-მეთქი. გიჟი ხომ არა ხარ, რა პირი უნდა დავიბანაო. პური ხომ არა გშია, რამეს გიყიდი-მეთქი, არა არაფერი არ მინდაო. ლაპარაკში შევაპარე, ონისე, მოდი, დარჩი, ვერავინ ვერაფერს გაიგებს-მეთქი. ამაზე სულ გადამერია, რეებს ლაპარაკობ, იქ ძმაკაცები მეხოცებიან, მეთაური ჩემს იმედზეა და მე აქ რა დამტოვებსო. ძალიან გამიბრაზდა. გამაფრთხილა, ცოლ-შვილი გორიდანაც გაიყვანე, თბილისში ნადით სასწრაფოდო. ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, მათი მანქანაც გამოვარდა, ვერ დაანა ხმა, გასწრო მანქანამ. მაშინ იმ კახელმა ბიჭებმაც უთხრეს, მოდი, მართლა დავრჩეთო. ახლა იმათ გაუბრაზდა, სად უნდა დავრჩეთ, ხომ არ გაგიჟდითო. ამასობაში „კამაზიც“ გამოვიდა, ოსიაურისკენ მიდიოდა, დასხა ის ბიჭები და წავიდა. იმ კახელი ბიჭების არც სახელი ვიცი, არც გვარი, არც ის ვიცი, ცოცხლები არიან თუ მკვდრები, იმის მერე არ მინახავს... მეთაური გაგიჟდა, უკან დაბრუნებული რომ ნახა. ამბობდა კიდეც მერე. ისევ შევიდა ცხინვალში. ისევ გამოიყვანა ხალხი და მესამდეც შებრუნდა უკან 9 აგვისტოს, უკანდახევის ბრძანებამდე, ნიქოზისა და ზემო ხვითის მინდვრებიდან გადავიდნენ, 86 კაცს მიუძღოდა წინ. გამაგრებული იყვნენ ხეთაგუროვში. მერე ცხრაში საღამოს, უკანდახევისას, ავიაციის დაბომბვისას დაიღუპა. ჩვენ დაგვირეკეს, ვითომ დაჭრილიაო, არადა დაღუპული იყო უკვე ცხრაში, საღამოს, ხეთაგუროვში... ყვებიან, რომ პირველს დაუნახავს ავიაცია და ბიჭებს ეძახდა, დაწექით, დაწექითო. ახლოს ჩამოუვარდა ბომბი, მის გვერდით ერთი დასავლელი ბიჭი იწვა, ისიც დაიღუპა. ონისემ სახის არეში, მარჯვენა მხარეს მიიღო ჭრილობა, სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა არტერიაში. გორში, ჰოსპიტალში რომ მივედით, ონისეს ცხედარს თანამებრძოლი ბიჭები ყარაულობდნენ, რომ არ დაკარგულიყო. ის, ვინც უშუალოდ გამოიყვანა ბრძოლის ველიდან, ჯერ ვერ ვნახეთ...“

ონისეს დედას ომის დროს ფეხი არ მოუცვლია ზემო ნიქოზიდან. შვილი რომ დაეღუპა, მაშინ გამოიყვანეს მოტყუებით, თბილისში მივდივართო.

გორში ჩამოსულს ძმები დახვდნენ და დასთან ნაიყვანეს, ხაშურის რაიონში, ჩუმათელეთში. დასთან მისულ დას ცხედრისთვის გამზადებული ტახტი დახვდა. მიხვდა, რა უბედურებაც ტრიალებდა მის თავს. მალე ონისეც ჩაასვენეს. სხვა გზა არ ჰქონდა ოჯახს – ზემო ხვითში ვერ შედიოდნენ. ონისე დეიდის სოფელში დაკრძალეს 12 აგვისტოს. უკვე იქაც საშინელი სიტუაცია იყო, ოჯახმა ძლივს გააღწია ბაკურიანის გავლით თბილისში. გარკვეული პერიოდი დევნილობაში გაატარეს, ოქტომბერში, დაბრუნდნენ თუ არა ხვითში, ონისეც გადაასვენეს და მშობლიურ სოფლის მიწას მიაბარეს. სახლი დანგრეული დახვდათ.

დაბომბვებისას 60-მილიმეტრიანი ჭურვი ზედ სახლს მოხვდა, კუთხეში, ფანჯარასთან, ზემოთ – სარტყელთან. სახურავის ნაწილი დაზიანა, ფანერები ჩამოყარა, მეორე ბომბმა, რომელიც სახლის წინ ხეივანში ჩავარდა, სახლი მწყობრიდან გამოიყვანა.

გიორგი დოიჯაშვილი: „ხეივანში ჩავარდნილს იმხელა წნევა ჰქონდა, სახლს მთლიანად ახადა სახურავი, კარ-ფანჯარა სად წავიდა, ვერც ვნახეთ, კედლები 4-5 სანტიმეტრზე დახსნა, მარტო კარკასი დაგვიტოვა. მერე მთავრობამ გადაგვიხურა, ახლა მარტო ორი ოთახი გვაქვს გამართული და იქ ვცხოვრობთ. ველოდებით, გვპირდებიან, დავამთავრებთო...“

მაკა ბუჩუკური: „სიცოცხლე უყვარდა ძალიან, ბოლოს სულ უნდოდა, რომ ნათესავები ენახა. თუ სადმე დაბადების დღე იყო, ვინმე ცოლს მოიყვანდა თუ გათხოვდებოდა, სულ ცდილობდა, რომ ჩვენთან ერთად წამოსულიყო, ყველა ენახა, ყველას ჩახუტებოდა. ბოლო რამდენიმე თვეში თითქოს უფრო გაიზარდა, დავაუკაცდა... ხომ ყველაზე პატარა იყო ოჯახში, მაგრამ მამასახლისივით იყო, უნდოდა, რომ მის მხრებზე ყოფილიყო ყველაფერი, უიმისოდ არაფერი გაკეთებულიყო და ყველაფერში წვლილი შეეტანა...“

გიორგი დოიჯაშვილი: „ჩემი ძმა რომ დაილუპა, ჩემმა უფროსმა ძმამ ჯარში წასვლა გადაწყვიტა, დღეს ის იგივე ბატალიონში, იგივე ასეულში მსახურობს, სადაც ჩემი ძმა მსახურობდა...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა უთხრა რეპეტიციი

„როცა გავიგე ჩემთან ერთად პრიმაბალერინა, ირმა ნიორაძე იცეკვებდა, ორმაგად დიდი პასუხისმგებლობა ვიგრძენი“

„ეს ანსამბლი ჩემთვის ქართული კულტურის დიდი კერაა. აქ ვისწავლე ყველაფერი, აქ გავიზარდე“

my View
ნინო მჭედლიშვილი

ანსამბლ „სუხიშვილებში“ ყველამ იცის ვინ არის დიდი და პატარა „ჭელო“. ჯერ მამამ, მიხეილ ჭელიძემ დაიწყო მოღვაწეობა ამ ანსამბლში... სამი წლის იყო მერაბი სუხიშვილების სტუდიაში რომ შეიყვანეს. ბევრი ეტაპი გაიარა, სტუდია, სტაჟიორები, საკონცერტო ჯგუფი. მისი გარეგნული მონაცემები და არაჩვეულებრივი პლასტიკა რეჟისორებს არ გამორჩენიათ. რეჟისორმა, გოჩა კაპანაძემ ის ოლიმპიადის გახსნაზე მიიპატიჟა. მერაბმა პარტნიორობა მსოფლიო დონის ვარსკვლავს, ირმა ნიორაძეს გაუწია. ჩვენ შევეცადეთ 16 წლის მოცეკვავე უკეთ გაგვეცნო თქვენთვის.

- 25 წელია მამა „სუხიშვილებში“ ცეკვავს. ახლა 35 წლის არის. 11 წლის იყო ანსამბლში რომ მივიდა. მის შემხედვარეს ძალიან შემიყვარდა ცეკვა. 3 წლის ვიყავი ცეკვაზე რომ შემიყვანეს. „სუხიშვილების“ სტუდიის პირველ ნაკადში მოვხვდი.

- მამას უნდოდა, რომ მის გზას გაჰყოლოდი?

- თან უნდოდა თან - არა. მან ყველაზე კარგად იცოდა ამ პროფესიის სირთულეები. მოწყვეტილი ხარ ოჯახს, პირადი ცხოვრება, ფაქტრობრივად, არ გაქვს. შეიძლება ნახევარი წელიწადი გასტროლებზე იყო. ამის გამო ცოტას ყოყმანობდა მამა, მაგრამ რომ ხედავდა ჩემ ინტერესსა და სიყვარულს ცეკვისადმი, ვერ მიწევდა წინააღმდეგობას. ოჯახში ხედავდნენ ხელოვნებისადმი ჩემ ინტერესს, მინდოდა დოლზე დამეკრა, ჩოხა ჩამეცვა, მეცეკვა.

- მუსიკალური განათლებაც გაქვს? უკრავ რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე?

- შვიდწლედი მაქვს დამთავრებული, ფორტეპიანოს განხრით. ვუკრავ დოლზეც... რამდენიმე თვეა ანსამბლში დავდივარ, სამი კონცერტი ვიცეკვე მათთან ერთად და მგონი უკვე ანსამბლის წევრად ვითვლები. ეს ანსამბლი ჩემთვის ქართული კულტურის დიდი კერაა. აქ ვისწავლე ყველაფერი, აქ გავიზარდე.

- იაზონის როლზე როგორ მოხვდი?

- რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ დამირეკა და მკითხა, ვიქნებოდი თუ არა იაზონი ოლიმპიადის გახსნაზე. ამ ნდობისთვის მადლობა მინდა გადავუხადო მას. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლიერებას გამოვხატავ კულტურის პალატისა და მისი პრეზიდენტის, დავით ოქიტაშვილის მიმართ. რა თქმა უნდა, შემოთავაზება საინტერესო იყო. გამიხარდა, მაგრამ დიდი პასუხისმგებლობაც ვიგრძენი. თავიდან არ უთქვამს ვინ იქნებოდა ჩემი პარტნიორი. როცა გავიგე ჩემთან ერთად პრიმაბალერინა, ირმა ნიორაძე იცეკვებდა, ორმაგად დიდი პასუხისმგებლობა ვიგრძენი.

- ვის ეკუთვნის დადგმა, სცენარი?

- ცეკვის ჩვენი ნაწილი თავად ირმას ეკუთვნის. მთლიან დადგმაში მონაწილეობდა „პანტომიმის თეატრი“, საბალეტო დასი, რომლის ქორეოგრაფიაც ამირან შალიკაშვილსა და ნათია ბუნტურს ეკუთვნის... სასიამოვნო იყო ქალბატონ ირმასთან მუშაობა, მისგან ვსწავლობდი კლასიკას. უშუალოა ირმა, უბრალო, მარტივად ამიხსნა ყველაფერი. იცეკვე ისე, რომ ისიამოვნო, თუ ასე ჯერ არ გიცეკვია, ჩათვალე, რომ არასდროს გიცეკვიაო, მითხრა ერთ-ერთ რეპეტიციაზე და დამაფიქრა. ამის მერე ყველა რეპეტიციაზე ვცდილობდი სიამოვნება მიმეღო ცეკვისგან. ვფიქრობ, გამოგვივიდა.

- ეს არ იყო ქართული ქორეოგრაფია, ის, რასაც შენ წლების განმავლობაში სწავლობდი. რთული იყო ამ ყველაფრის ათვისება?

- ჩვენ ბალეტის კლასსაც გავდივართ ანსამბლში. სუხიშვილების მოცეკვავეს ყველაფერი გამოსდის. ირმა ძალიან დამეხმარა. ჩემი მოძრაობებიც მან დადგა. მეც ჩავრთე ცოტა ფანტაზია. სულ მახსოვდა, რომ ირმა ნიორაძესთან ერთად უნდა მეცეკვა, ეს იყო ჩემი იდეაფიქსი. ამან გააქრო ნერვიულობაც. მაქსიმალურად ვეცადე კარგი პარტნიორი ვყოფილიყავი.

- მერაბ, 16 წლის ხარ, გადაწყვეტილი გაქვს უკვე რა პროფესიას აირჩევ?

- ცეკვას, რა თქმა უნდა, თავს არ დავანებებ, მაგრამ პარალელურად ავირჩევ მეორე პროფესიას. ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე მინდა ჩავაბარო. მთავარი მონდომებაა, თუ მოინდომებ, ორივე პროფესიაში წარმატებული იქნები.

- მამასთან ერთად სცენაზე მდგარხარ?

- კი, მომიწია ეს სამი კონცერტი. ერთი სიამოვნებაა, როცა შენს სისხლთან და ხორცთან ერთად დგახარ სცენაზე.

„უშუალოა ირმა, უბრალო, მარტივად ამიხსნა ყველაფერი. იცეკვე ისე, რომ ისიამოვნო, თუ ასე ჯერ არ გიცეკვია, ჩათვალე, რომ არასდროს გიცეკვიაო, მითხრა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ის არის ჩემი მთავარი კრიტიკოსი ცეკვაშიც, პირად ცხოვრებაშიც. მამა ჩემი მეგობარია“

„მაქსიმალურად ვეცადე კარგი პარტნიორი ვყოფილიყავი“

EXCLUSIVE

- ის უფრო ნერვიულობს შენზე თუ შენ მასზე?

- ის ჩემზე, რა თქმა უნდა.

- რა გითხრა პირველი კონცერტის მერე?

- ძალიან ინერვიულა, მაგრამ ეტყობოდა კმაყოფილი იყო. ის არის ჩემი მთავარი კრიტიკოსი ცეკვაშიც, პირად ცხოვრებაშიც. მამა ჩემი მეგობარია. მეგობრობა ყველა სახის ურთიერთობაში მთავარია და მით უმეტეს, მამა-შვილობაში.

- რაზე კამათობთ ხშირად?

- გვიანობამდე ვრჩები რეპეტიციებზე, ვვარჯიშობ. ეს მაინცდამაინც არ უყვარს, ნერვიულობს, როგორ მივალ სახლში.

- ცოტა შენს თაყვანისმცემელ გოგონებზეც მომიყევი...

- ამ თემაზე ლაპარაკი არ მიყვარს.

- შეყვარებული ხარ?

- არა.

- არც არასდროს გყვარებია?

- სიყვარული ერთია და მარადიული.

- როგორი გოგონები იქცევენ შენს ყურადღებას?

„სილამაზე კარგია, მაგრამ იმდენად არ ვაქცევ გარეგნობას ყურადღებას, როგორც მის სულიერ სამყაროს. გოგო უნდა გამოირჩეოდეს ინტელექტით, ჭკუით, გონებით“

- სილამაზე კარგია, მაგრამ იმდენად არ ვაქცევ გარეგნობას ყურადღებას, როგორც მის სულიერ სამყაროს. გოგო უნდა გამოირჩეოდეს ინტელექტით, ჭკუით, გონებით. უნდა იცოდეს თავისი ასაკი, რაც ჩვენს ქალაქში, სამწუხაროდ, ბევრმა გოგომ არ იცის.

- რას გულისხმობ?

- ჩაცმულობას, ქცევას.

- უფრო კონკრეტულად, რა გაღიზიანებს?

- ქუჩაში რომ მოდის გოგო და სიგარეტს ეწევა. თან რომ იცი, რომ პატარაა. ჯერ ზოგადად ქალი არ მომწონს ქუჩაში რომ ეწევა და მით უმეტეს პატარა გოგო.

- კიდევ რა არ მოგწონს შენი ასაკის გოგოებში?

- ბევრი ამოიცნობს თავის თავს, იტყვიან ჩვენზე ილაპარაკაო და არ მინდა. გეტყვით, რაც მომწონს. მომწონს გოგონები, რომლებიც მეტ დროს უთმობენ ოჯახს, განათლებას, კითხვას, ლიტერატურას. პრობლემა რომ შემექმნება ურთიერთობაში, მისი სილამაზე ვერ მიშველის.

- შენ რამდენ დროს უთმობ ლიტერატურას?

- ბევრს ვერა, მაგრამ როცა კი თავისუფალი დრო გამომიჩნდება, სულ ვკითხულობ.

- ბოლოს რა წაიკითხე?

- ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“... არა, არა, აკუტაკავას „ქრისტიანის სიკვდილი“

- მოცეკვავე გოგონასთან გქონია რომანი?

- კი, მქონია. მაგრამ, სამწუხაროდ, არ შედგა ჩვენი ურთიერთობა.

- რა დაგიწუნა?

- ეგ მას ჰკითხეთ, თვითონაც არ იცის, ალბათ. არც მიკითხავს.

- იქნებ არც იცოდა შენი გრძნობების შესახებ?

- კი, ვუთხარი. უარით გამომისტუმრა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კულტურის სამინისტროს პრი

ყველაზე მაღალბიუჯეტიანი თეატრები და ღონისძიებები

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

მირიან ბოქოლიშვილი

ალბათ, ხშირად გსმენიათ ქართველი მსახიობებისა თუ რეჟისორების გულისტკივილი, რომ თეატრი ნელ-ნელა კარგავს მაყურებელს... ცხადია, ეს გასაკვირი არც არის... მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით ხალხს ურჩევნია, სახლში უფასოდ უყუროს ტელევიზორს და თუნდაც მდარე ხარისხის ლათინოამერიკულ, თუ ინდურ-თურქულ სერიალებს, ვიდრე თეატრის ბილეთი შეიძინოს, რომელიც საშუალო სტატისტიკური ქართული ოჯახისთვის, არცთუ ისე იაფია.

არადა ქვეყანაში არსებული რეალობის გათვალისწინებით, თეატრებს არცთუ ისე ცოტა შემოსავალი აქვთ. ერთი მხრივ, სარეკლამო შემოსავლებიდან და მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მით უმეტეს, რომ გასულ წელთან შედარებით, თითქმის ყველა სახელმწიფო თეატრს სახელმწიფო დაფინანსება გაეზარდა.

„პრაიმტაიმმა“ გამოითხოვა კულტურის სამინისტროს მიერ თეატრების დაფინანსების 2014-2015 წლებში დამტკიცებული გეგმა. მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ 2015 წელს დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წელს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 5 მილიონ 830 ათასი ლარით ფინანსდებოდა, 2015 წელს დამტკიცებული გეგმით კი ეს ციფრი 7 მილიონ 730 ათას ლარამდე გაიზარდა. 140 ათასი ლარით გაიზარდა რუსთაველის თეატრის დაფინანსებაც, რომელსაც ბიუჯეტიდან, საერთო ჯამში, 3 მილიონ 140 ათასი ლარი ხვდა წილად. მარჯანიშვილის თეატრს სახელმწიფო გასულ წელს 2 მილიონ 450 ათასი ლარით აფინანსებდა, წელს კი დაფინანსება 2 მილიონ 487 ათას ლარამდე გაიზარდა. მუსკომედიის თეატრს დაფინანსება მხოლოდ 10 ათასი ლარით გაეზარდა და 1 მილიონ 210 ათასი ლარი შეადგინა. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის დაფინანსება 1 მილიონ 130 ათასი ლარით განისაზღვრა. მოზარდ მაყურებელთა თეატრი – 1 მილიონ 750 ათასი ლარი, გრიბოედოვის თეატრი – 1 მილიონ 200 ათასი ლარი, თოჯინების თეატრი – 400 ათასი ლარი, პეტროს ადამიანის სახელობის სომხური თეატრი – 440 ათასი ლარი, ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული თეატრი – 160 ათასი ლარი.

რამდენ მილიონს ხარჯავს სახელმწიფო სპექტაკლებში, ფესტივალებში, საერთაშორისო გამოფენებსა და საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსებაში?

გარდა თეატრებისა, კულტურის სამინისტროს მიერ ფინანსდება კონკრეტული სპექტაკლებიც, თუმცა დაფინანსების კრიტერიუმები უცნობია. ასე, მაგალითად, 2015 წელს ბიუჯეტმა დამატებით 23 ათას 705 ლარით დააფინანსა რუსთაველის თეატრის სპექტაკლი – „სანახაობის მომწყობი“. თოჯინების თეატრში „პინოქიოს“ დადგმა კი სახელმწიფოს 9 ათასი ლარი დაუჯდა. დაფინანსებული სპექტაკლების უმრავლესობა რეგიონებში არსებულ სახელმწიფო თეატრებზე მოდის: გორის დრამატული თეატრი, სპექტაკლი „სამეფო ძველთაძველი“ – 9 ათას 994 ლარი, თელავის დრამატული თეატრი, სპექტაკლი „გატეხილი ქოთანი“ – 10 ათასი ლარი, ჭიათურის თეატრი, სპექტაკლი „ომის ღმერთი“ – 10 ათასი ლარი, ქუთაისის თოჯინების თეატრი, სპექტაკლი „კომბლე“ – 5 ათასი ლარი და ა.შ.

კულტურის სამინისტროს მიერ თეატრალურ სფეროში დაფინანსებულია, ასევე, სხვადასხვა სახის ღონისძიება. მაგალითად, 50 ათასი ლარია გადახდილი გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის საიუბილეო ღონისძიების ხელშეწყობისთვის, მუსკომედიის თეატრის საიმიჯო-საპრეზენტაციო ფილმისთვის კი 31 ათას 551 ლარი გაიხარჯა.

რაც შეეხება კულტურის სამინისტროს სხვა პრიორიტეტებს... ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტის მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ არაერთი პროექტი დაფინანსდა, საერთო ჯამში, 7 410 636.54 ლარით.

სამინისტროს მიერ დაფინანსებულ პროექტებს შორის ყველაზე დიდი თანხა – 4 053 062.15 ლარი მოხმარდა კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას (ფესტივალი, სპექტაკლი, გამოფენა, კონცერტი).

სხვადასხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების ფინანსურ მხარდაჭერაზე მათ შორის საზღვარგარეთ სწავლა, საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში (ვორკშოპები, გამოფენები, კონკურსები) მონაწილეობა, გაწეული ხარჯები შეადგენს – 1,309,428.51 ლარს. 2014 წლის 1-ლი აპრილიდან 2015 წლის 26 მარტის ჩათვლით სამინისტროს მიერ სულ დაკმაყოფილდა ამგვარი 101 წინადადება, რომელთაგან საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებულია 25 მათგანი.

IDFI-ს ინფორმაციით, სამინისტროს მიერ ყველაზე ხშირად დაფინანსდა ბერკლის სამუსიკო კოლეჯსა (აშშ) და ლუგანოს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში (შვეიცარია) სწავლა/ცხოვრება. ბერკლის კოლეჯში სწავლისა და ბინის საფასურის გადახდისთვის საკვლევი პერიოდის განმავლობაში 4 პირისთვის სამინისტრომ 216 602.42 ლარი გადაიხადა. ლუგანოს უნივერსიტეტში დიზაინის ფაკულტეტზე (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია/კონსერვაციის დეპარტამენტი) სწავლისთვის დაფინანსებულია 2 პირი და გადახდილი თანხა ერთად 77 804.2 ლარს შეადგენს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ორიტეტები

ყველაზე მცირე დაფინანსება აღნიშნულ პერიოდში (2014 წლის 1 აპრილი – 2015 წლის მარტი) სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა გამოცემების, თარგმანებისა და ბეჭდვისთვის (568 149.90 ლარი – 8%). 2014 წელს შპს „ტაია ფილმსს“ „სინთეზური ხელოვნება – მხატვრის წიგნი ვეფხისტყაოსანი“ კონსტრუქციის მომზადებისთვის 139 950 ლარი გადაეცა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წლის 1-ლი აპრილიდან 2015 წლის მარტამდე დაფინანსებული პროექტებიდან ყველაზე მაღალბიუჯეტიანი პროექტების სიაში ლიდერობს ჯაზფესტივალები, რომლის ორგანიზებისთვის შპს „ისთერნ პრომოუშენს“ 1 003 984 ლარი გადაერიცხა (400 839 ლარი 2014 წელს თბილისის ჯაზფესტივალისთვის, 603 145 ლარი 2015 წლის ბათუმის ჯაზფესტივალისთვის). საინტერესოა, რომ კულტურის ამჟამინდელი მინისტრი, მიხეილ გიორგაძე, მინისტრის თანამდებობამდე გახლდათ შპს „ისთერნ პრომოუშენის“ დირექტორი.

მაღალბიუჯეტიანი ღონისძიების სიაში გახლავთ „სიტი ფესტივალის“ (კომპანია დაფუძნდა 2015 წლის 2 თებერვალს, ხოლო სამინისტროსგან დაფინანსება პროექტის თაობაზე მიიღო 2015 წლის 2 მარტს) მიერ ორგანიზებული „სითი საუნდი“ (364 741 ლარი), სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის (დამფუძნებელი და დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი, მარჯანიშვილის თეატრის ამჟამინდელი დირექტორი) მიერ ორგანიზებული თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი (225 000 ლარი) და საქართველოს კულტურის პალატის (დაარსდა 2013 წლის 3 აპრილს დავით ოქიტაშვილისა და კახა ბაინდურაშვილის თაოსნობით) მიერ ორგანიზებული ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ (200 000 ლარი).

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს მხარდაჭერით პროექტ „სითი საუნდის“ ფარგლებში ტარდება ფესტივალი „4GB“ და ელექტრონული მუსიკის ვორკშოპების სერია. როგორც განცხადებიდან ირკვევა, „სიტი ფესტივალი“, სამინისტროსთან ერთად, ახორციელებს ელექტრონული მუსიკის ივენთებისა და ვორკშოპების სერიას და წლის განმავლობაში 6 დიდი ღონისძიება გაიმართება.

მაღალბიუჯეტიანი ღონისძიებების სიაშია ააიპ „საქველმოქმედო ფონდი ხელოვანების თანადგომისთვის“ მიერ ორგანიზებული პროექტი სახელოვნებო სკოლები დევნილთა დასახლებაში (228 000 ლარი). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2011 წელს აღნიშნულ ფონდს ფუნქციონირებისთვის და საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარებისთვის სამინისტროდან 502 500 ლარი გამოუყვეს, ხოლო 2013 წლის ნოემბერში 37 000 ლარი ააიპ დევნილთა სახელოვნებო სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის.

2014 წელს სამინისტრომ 170 000 ლარით დააფინანსა შპს „სინეტექის“ (რომლის 40%-იან წილს ფლობს საქ. კინემატოგრაფისტთა საერთო ეროვნული შემოქმედებითი კავშირი, 60%-იანი წილი ეკუთვნის ელდარ შენგელაიას) ფილმი „ძველი კატამარანი“.

2014 წელს შპს „მოძრავი ფილარმონიის“ (100%-იანი წილის მფლობელი ბესარიონ ბერულაშვილი) კონცერტებისთვის რეგიონში (94 966 ლარი) და დამატებით 7 კონცერტისთვის (45 307 ლარი) სამინისტრომ სულ 140 273 ლარი გამოყო.

შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის“ (2014 წლის 25 ნოემბრის მონაცემებით, შპს „ინთერნეიშენალ ივენთსი“ კომპანიის 100%-იან წილს ფლობს) ორგანიზებით ჩატარებულ საქველმოქმედო საახალწლო საშობაო კონცერტისთვის სამინისტროს ბიუჯეტიდან 88 986 ლარი დაიხარჯა.

„ფუსი რაიოთის“ ქართული ანალოგი



გვანცა ბაგრატიონი: „პროტესტის ნიშნად შეიძლება გავიხადოთ“

გიორგი ურუშაძე

საქართველოში, სულ მალე, „ფუსი რაიოთის“ ანალოგი, ქართველი გოგონებისგან შემდგარი საპროტესტო ჯგუფი გამოჩნდება. ისინი დროგამოშვებით აქციების ჩატარებასა და სხვადასხვა სოციალური საკითხების გაპროტესტებას გეგმავენ. „პრაიმტაიმი“ საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრს, გვანცა ბაგრატიონს დაუკავშირდა.

გვანცა ბაგრატიონი:

„უახლოეს დღეებში იგეგმება გამოსვლები. ზუსტ თარიღს ჯერ ვერ დაგისახელებთ. ჩვენ ვართ საინიციატივო ჯგუფი და ვაპირებთ პერიოდულად ჩავატაროთ აქციები, სანამ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. მორჩა ხალხის შიმშილი, ქვეყნის წინსვლის, ხალხის ბედნიერი სახეების და აღმშენებლობის დრო მოვიდა! მორჩა ჩვენი დუმილი! საერთოდ იდეა დიდი ხანია გვქონდა და განხორციელება გვინდოდა. საკმაოდ ბევრნი ვართ, რაც უფრო მეტი მსურველი იქნება, მით უკეთესი. არა მგონია შიშის ფაქტორი იყოს, ნუ რამდენიმეს აქვს ეს ფაქტორი, მაგრამ ვცდილობთ, რომ შემართებით ვიყოთ განწყობილი. იმიტომ რომ ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოვითხოვთ. ეს ყველაფერი იქნება ძალიან მალე. ჩვენი მოთხოვნები თუ არ დაკმაყოფილდება, შარში შეიძლება გაეხვიონ ზოგიერთები.

- რა არის თქვენი მთავარი მოთხოვნა?

- რამდენიმე შემიძლია დავასახელო, დღევანდელი მთავრობა ხელს არ ანძრევს, ბედნიერ სახეებსაც ვერ ვხედავთ, ჩვენი მოთხოვნა არის, რომ ხალხი იყოს დასაქმებული, კმარა შიმშილობა, კმარა უსაქმურობა. გული მწყდება, როცა დაავადებული ადამიანი მიდის საავადმყოფოში, თუ მას ფული არ გამოართვეს, ისე მოკლავენ. როგორ შეიძლება ასეთი მიდგომა ხალხის მიმართ. უნდა ვისწავლოთ პატივისცემა, ერთმანეთზე ზრუნვა. სოციალურ პრობლემებს გავაპროტესტებთ. ეს არის ჩვენი მოთხოვნა.

- იდეის ავტორი ვინ იყო?

- მე ვარ იდეის ავტორი. ჩემ გარშემო ერთიანდებიან გოგოები.

- დაახლოებით როდისთვის იქნება პირველი საპროტესტო აქცია და სად?

- ტერიტორიულად მთავრობის სახლის წინ გაიმართება საპროტესტო აქციები. თარიღი ჯერჯერობით არ არის ცნობილი. უახლოეს დღეებში გაირკვევა. როცა მორჩება მოლაპარაკებები, როცა მოვამზადებთ სიტყვებს, როცა გვექნება მასალა, ტრაფარეტები. აი, მაშინ მოვახერხებთ ყველაფრის კარგად ორგანიზებას.

- თუ აქვს რაიმე საერთო თქვენ ორგანიზაციას, რუსულ „ფუსი რაიოტთან“ ან უკრაინულ ფემინისტურ მოძრაობასთან?

- ჩვენ უარესები ვიქნებით, თუ მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, როგორც მოვიდნენ ისევე წავლენ! ჩვენ არ შევჩერდებით. ქართველები ვართ და ქართველი ქალი როცა გაიხდის, იქ ცუდად არის საქმე! თუმცა, ჩვენ ვართ ცალკე ორგანიზაცია და პირდაპირი კავშირი არ გვაქვს. შეიძლება მხოლოდ იდეური.

- თუ აქვს პოლიტიკური დატვირთა თქვენს საინიციატივო ჯგუფს?

- არა, არავითარი. ჩვენ არ გვაქვს კავშირი არც „ნაციონალებთან“ და არც „ქოცებთან“. ჩვენ ვართ ცალკე ორგანიზაცია უბრალოდ, ხალხისთვის.

- აპირებთ თუ არა პროტესტის გამოხატვას ისეთი ფორმებით, როგორიცაა გახდა?

- ჩვენს აქციაზე არანაირად არ წავალთ გახდილები. ეს არის უბრალოდ პროტესტი. მაგრამ თუ ჩვენი მოთხოვნა არ შესრულდება, პროტესტის ნიშნად შეიძლება გავიხადოთ. ჩვენ მივალთ ძველმანებში ან რაღაც მსგავსი თემა იქნება.

- არსებობს კრიტერიუმი, რის მიხედვითაც ნევრებს მიიღებთ, თუნდაც გარეგნობის მიხედვით?

- არა, ვისაც აქვს სურვილი ის შემოგვიერთდება. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს გარეგნობას. მათ უნდა დააფიქსირონ საკუთარი მოთხოვნა და აზრი.

- თქვენი მოძრაობა იქნება ერთგვარად ფემინისტური ორგანიზაცია?

- ვნახოთ, ამის ამბიცია გვაქვს. ვგეგმავთ გამოსვლებს ხშირად. როცა ყველაფერი ჩამოყალიბდება, ნელ-ნელა გავვრცელდებით. ეს დასაწყისია და იმედია, ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის.

„ფუსი რაიოთის“ ქართული ანალოგი გამოჩნდა – „ქართველი ქალი როცა გაიხდის, იქ ცუდად არის საქმე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნოე სულაბერიძე მიჯნურს აღარ მალავს - ვინ არის თიკა ჭანტურიძე?

ამბობენ, რომ ცოლ-ქმარი ოჯახის გადასარჩენად ფსიქოლოგსაც კი მიმართავდა. თუმცა, მათ ურთიერთობას ვერაფერმა უშველა



თვითმხილველების თქმით, თიკა ნოეს ამბავს ძალიან განიცდიდა, ტიროდა

EXCLUSIVE

my View
ნინო მჭედლიშვილი

ნოე სულაბერიძის მექალთანეობაზე მისი „იმედიდან“ წასვლის მერეც ბევრს საუბრობენ. „იმედის“ გასართობი გადაცემების ყოფილი პროდიუსერი არა ერთ ცნობილ ქალთან დააწყვილეს. პარალელურად ნოე ქორწინებაში იმყოფებოდა „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის წამყვანთან ეკა სამხარაძესთან. ნოესთვის ეს მეორე ქორწინება იყო, ეკასთვის - პირველი. წყვილის ურთიერთობაში სიძნელეები მას მერე დაიწყო, რაც ქალაქში ნოე სულაბერიძისა და მომღერალ სოფო ხალვაშის სასიყვარულო ურთიერთობაზე ალაპარაკდნენ. ამბობენ, რომ ცოლ-ქმარი ოჯახის გადასარჩენად ფსიქოლოგსაც კი მიმართავდა. თუმცა, მათ ურთიერთობას ვერაფერმა უშველა.

ეკა სამხარაძე:
„ზოგადად, ჩემი ყოფილი მეუღლის „სექსისტორიების“ კასკადი და მათი ამ ინტენსივობით გასაჯაროება - ეს უკვე სინდრომია. მიხარია, რომ ეს პათოლოგია რა ხანია, ჩემი სამკურნალო აღარ არის“

ნოე სოფოსაც დაშორდა და მალე ფლირტის ახალ ობიექტზეც ალაპარაკდა ქალაქი. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ პროდიუსერი ამ პროექტის იმ სეზონის მონაწილესთან, მომღერალ, ნინი ბადურაშვილთან დააწყვილეს. თუმცა, ეს უკანასკნელი სიყვარულის ისტორია არც ერთი წყაროთი არ დასტურდება. სამაგიეროდ არსებობს უამრავი ფოტო, რომელზეც ნოე „იმედის“ თანამშრომელ, თიკა ჭანტურიძესთან არის გადაღებული.

თავდაპირველად ურთიერთობა გასაიდუმლოებული იყო. მხოლოდ ვიწრო წრემ იცოდა მათი სიყვარულის ამბავი. როდესაც „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ერთერთი სეზონის გადაღებების დროს ნოემ ხელი მოიტეხა, მას „იმედიდან“ სწორედ თიკა გაჰყვა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. თვითმხილველების თქმით თიკა ნოეს ამბავს ძალიან განიცდიდა, ტიროდა.

თიკას პირველი ქორწინებიდან ტყუპები ჰყავს. მისი მეუღლე ნიკა ჩახვაშვილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ „იმედის“ გასართობი გადაცემების პროდიუსერი საყვარელ ადამიანთან ერთად უკვე დასასვენებლადაც დადიოდა, ნოე ყოფილ მეუღლეს, ეკა სამხარაძეს განქორწინებაზე არ თანხმდებოდა. მაშინ „რუსთავი 2“-ის ტელეწამყვანმა ამ ყველაფერზე, ჩემთან ინტერვიუს დროს ასეთი კომენტარი გააკეთა, რომელიც საიტზე, „რეიტინგი.გე“ დაიდო.

„- ეკა, ნოესთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ... ამბობენ, თქვენს ყოფილ ქმარს რომანი აქვს თიკა ჭანტურიძესთან...

- თიკა ჭანტურიძის შესახებ მეც ცოტა ხნის წინ გავიგე სხვადასხვა წყაროდან, რაც დადასტურდა კიდეც.

ზოგადად, ჩემი ყოფილი მეუღლის „სექსისტორიების“ კასკადი და მათი ამ ინტენსივობით გასაჯაროება - ეს უკვე სინდრომია. მიხარია, რომ ეს პათოლოგია რა ხანია, ჩემი სამკურნალო აღარ არის.

- ნოესა და ნინი ბადურაშვილის რომანზე თუ გსმენია რამე...

- მეტის თქმას აღარ ვაპირებ.

- მართალია, რომ ნოე განქორწინებაზე არ გთანხმდება?

- მართალია“.

მას მერე ნოე თიკასთან ერთად გამოჩენას აღარ ერიდება. კომპანია „დეშელის“ საიუბილეო საღამოზე ნოეს სწორედ ეს ლამაზმანი ახლდა.

წყვილი ერთად დიდ დროს ატარებს, დასვენებასაც ერთად ახერხებს და ამის ამსახველ ფოტოებს სოციალურ ქსელში აქვეყნებს. ამჯერად თიკა და ნოე ბათუმს სტუმრობენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზურაბ ზვიადაური: „ცოტანი ვართ ზვიადაურები, სამწუხაროდ, მაგრამ ხარისხიანები“

„განათება მომაშორეთ-მეთქი, ვამბობდი თვალებით. მერე ვიფიქრე, რომ მე ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე და ტელევიზიები ისე გადასცემდნენ, როგორც საჭირო იყო“

„გაუგებრობა და ჩემი გაოცებული სახეც იმას მოჰყვა, რომ განათება, რომელიც მე მანათებდა, არ ჩაქრა“

„გაურკვევლობა და დაბნეულობა გამოიწვია იმანაც, რომ რომელი მხრიდანაც მე კიბეზე უნდა ავსულიყავი, ჩაკეტილი იყო. ბოლოს გამოვგლიჯე თოკი და ისე ავედი“

„როცა ამხელა მნიშვნელობის ღონისძიება ტარდება შენს ქვეყანაში, როგორ შეიძლება ნორმალურად მოაზროვნე ადამიანმა, მსგავს ინციდენტებზე გაამახვილოს ყურადღება“

„11 წელია შვილი არ მყავს და ამასთან დაკავშირებით გახლდით უკრაინაში. ვცდილობ, ეს პრობლემა მოვაგვარო“

EXCLUSIVE

my View
ნინო მჭედლიშვილი

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გახსნამ ჩვენს ქვეყანაში პომპეზურად ჩაიარა. მსოფლიო მნიშვნელობის ღონისძიების საქართველოში ჩატარება თავისთავად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. თუმცა, საზოგადოების ნაწილს პირველსავე დღეს ქილიკის საბაბი მიეცა. უკუღმა დაკიდებული ოლიმპიური დროშა, პიროტექნიკით გამოწვეული ხანძარი, მოულოდნელად ჩამქრალი ოლიმპიური ცეცხლი შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

რაც შეეხება, ოლიმპიური ცეცხლის ჩაქრობას, სიურპრიზი ნამდვილად არ ყოფილა ჩემთვის, რადგან სცენარის შესახებ ჟურნალისტებმა წინასწარ ვიცოდით.

ჩემთვის, როგორც რიგითი მაყურებლისთვის, უფრო მნიშვნელოვანი ოპერატორების კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი აღმოჩნდა, რომლებმაც, რბილად რომ ვთქვათ, ხიბლი დაუკარგეს ქართულ ცეკვას. თუმცა ეს სხვა თემაა. დღეს ჩვენი სტუმარი ზურაბ ზვიადაურია, რომელსაც წილად ხვდა პატივი მთავარი ოლიმპიური ჩირაღდანი აენთო. „ზვიადაურისთვის მაინც ეთქვათ, რა სცენარით უნდა ყოფილიყო ოლიმპიადის გახსნა, გაშტერებული რომ დატოვესო“, - წერდნენ სოციალურ ქსელში, სეირის მოყვარულები.

იცოდა თუ არა ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ცეცხლის მოულოდნელი ჩაქრობის ამბავი და რატომ დარჩა გაურკვევლობაში, ზურა თავად გიამბობთ.

- მე, რა თქმა უნდა, ვიცოდი სცენარი. ჩირაღდანი წყალში უნდა ჩამედო, ჩაქრებოდა და შემდეგ მაყურებელს აჩვენებდნენ, როგორ აინთებოდა კუს ტბაზე. ცერემონიის დაწყებამდე ჩართვა მქონდა სპორტულ გადაცემაში, სადაც შეგნებულად თავი შევიკავე და არ გავთქვი ღონისძიების მთავარი ხიბლი. ეს სიურპრიზი უნდა ყოფილიყო. გაუგებრობა და ჩემი გაოცებული სახეც იმას მოჰყვა, რომ განათება, რომელიც მე მანათებდა, არ ჩაქრა. ამიტომ მქონდა გაოცებული სახე, განათება მომაშორეთ-მეთქი, ვამბობდი თვალებით. მერე ვიფიქრე, რომ მე ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე და ტელევიზიები ისე გადასცემდნენ, როგორც საჭირო იყო. გაურკვევლობა და დაბნეულობა გამოიწვია იმანაც, რომ რომელი მხრიდანაც მე კიბეზე უნდა ავსულიყავი, ჩაკეტილი იყო. ბოლოს გამოვგლიჯე თოკი და ისე ავედი. ზოგადად, ძალიან მწყინს, როცა ამ პატარა ლაფსუსზე ასეთი ამბავი ატეხეს. მე მგონია, რომ ამით დაინტერესებულები არიან ისინი, ვინც დღევანდელ ხელისუფლებას აკრიტიკებს. ნაცმოძრაობის ატეხილია ეს აჟიოტაჟი. თორემ როცა ამხელა მნიშვნელობის ღონისძიება ტარდება შენს ქვეყანაში, როგორ შეიძლება ნორმალურად მოაზროვნე ადამიანმა, მსგავს ინციდენტებზე გაამახვილოს ყურადღება. დიდ ქვეყნებში ხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევები მსგავს ღონისძიებებზე. საქართველოში პირველად ჩატარდა ასეთი მასშტაბის სპორტული ღონისძიება და არ შეიძლება სასაცილოდ აიგდო ეს ყველაფერი. დროშის თემა ავიღოთ, რა მოხდა თუ უკუღმა დაიკიდა დროშა. აფეთქება მოხდა, ვინმე დაშავდა თუ რა იყო ასეთი?! არ უნდა აქციო ეს ტრაგედიად... მიუხედავად ყველაფრისა, ჩემთვის დიდი პატივი იყო ოლიმპიური ცეცხლის ანთება ამ ღონისძიებაზე. თითქოს თავიდან დავიბადე. თუ ვინმემ იცის, ეს რამხელა პატივი და ენით აუწერელი სიხარულია, ეს მე ვარ. ჟრუანტელი მივლიდა ისეთი ამაღლებული გრძნობა მქონდა. დაახლოებით ისეთი გრძნობა დამეუფლა, როცა წლების წინ ოლიმპიადის მონაწილის სტატუსით საქართველოს დელეგაციას მივუძღოდი წინ დროშით ხეში. არ ვიცი ვინ მოიფიქრა, რატომ ამომარჩიეს მე, მაგრამ ამისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

- ვისი ბრალეულობაა ის, რომ შენი ასასვლელი ადგილი წინასწარ არ იყო გახსნილი, მერე სინათლე არ ჩაქრა და განათებაში დარჩი... ვინმეს მოსთხოვე პასუხი?

- პასუხი არავისთვის მომითხოვია, იმიტომ რომ არ ჩავთვალე საჭიროდ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმხელა პატივი მხვდა წილად, რომ მსგავს უმნიშვნელო დეტალებს ყურადღება არ მივაქციე. ბედნიერი ვიყავი, იმ ადამიანებისგან განსხვავებით, ვინც ზედმეტად გამხიარულდნენ ამ ინციდენტით. საუბარი მაქვს ნაცბანდაზე.

- ზურა, წარმატებით დავიწყეთ ასპარეზობა ოლიმპიადაზე...

- ნამდვილად. გუშინ დავაჯილდოვე ორი გოგონა, რომლებმაც ოქროს მედლები მოიპოვეს. მინდა ყველა სპორტსმენს წარმატება ვუსურვო. ეს მხოლოდ დასაწყისია. ძიუდო საქართველოში ნომერ პირველი სპორტია შედეგების მიხედვით. ასე რომ, მე ჩვენი ძიუდოისტების იმედი მაქვს.

- ზურა, ვისარგებლებ შემთხვევით და გკითხავ ახმეტელ გოგონაზე, თამარ გელდიაშვილზე, რომელმაც ზოგად უნარებში უმაღლესი, 72 ქულა დააგროვა. ხომ არ დაინტერესდი მისი ვინაობით, ხომ არ გეგმავ მის გაცნობას?

- ეს, რა თქმა უნდა, საამაყოა. აუცილებლად გავიცნობ და ყველანაირად გვერდში დავუდგები, რომ წარმატებული იყოს თავის საქმეში.

- ზურა, დასვენებას თუ აპირებ წელს?

- (იცინის) დასვენება არ მიწერია.

- რატომ?

- რთულ საქმეს მოვკიდე ხელი. ხალხისთვის არ იქნება კარგად აღსაქმელი, ასეთი გაჭირვების პირობებში პარლამენტარებმა დაისვენონ...

- არ მითხრა, რომ პარლამენტარები არ ისვენებთ, იმიტომ რომ ხალხს უჭირს... ვინ დაიჯერებს?

- სხვა რამეს ვამბობ. ადამიანი ვარ, თუ არ დავისვენე მეც გადავიწვები. ერთი-ორი დღე შეიძლება, მაგრამ ისე, რომ წავიდე და რომელიმე კურორტზე კვირაობით წამოვწვე, მაშინ როცა ამდენი საქმეა, ამდენი გაჭირვებული ხალხია ქვეყანაში, არა. სამი წელია არ დამისვენია.

- წელს არსად წასულხარ?

- 3 დღე მომიწია უკრაინაში წასვლა, პირადი პრობლემების გამო. თუ ამას არ ჩავთვლით, არ დამისვენია.

- შეიძლება გკითხო, რა პირად პრობლემებს გულისხმობ?

- 11 წელია შვილი არ მყავს და ამასთან დაკავშირებით გახლდით უკრაინაში. ვცდილობ, ეს პრობლემა მოვაგვარო.

- ზურა, ცოტა ხნის წინ ძმისშვილი შეგეძინა.

- (იღიმება) ჰო, მესამე, რომელიც კიდევ უფრო მიყვარს, ვიდრე პირველი ორი, რადგან ეს პატარაა.

- მოკლედ, მრავლდებით ზვიადაურები.

- ცოტანი ვართ ზვიადაურები, სამწუხაროდ, მაგრამ ხარისხიანები (იცინის).

„რთულ საქმეს მოვკიდე ხელი. ხალხისთვის არ იქნება კარგად აღსაქმელი, ასეთი გაჭირვების პირობებში პარლამენტარებმა დაისვენონ...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თბილისი ეკოლოგიური

მაგდა
კლდიაშვილი

„ყველაზე რთული ვითარებაა ლისის ტბაზე, რადგან სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმაც ვერ უარყვეს ის პრობლემები, რაც იქ არსებობს“

გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის შედეგად ცნობილი გახდა, რომ თბილისის ჰაერი მტვრისა და ნახშირჟანგების ნაწილაკებითაა დაბინძურებული და მისი რაოდენობა ნორმას რამდენჯერმე აღემატება. გარდა ჰაერისა, წყლის ზედაპირული სინჯების შედეგად დადგინდა, რომ ლისის ტბაც დაბინძურებულია და ის ჯანმრთელობისთვის საშიშია. რა არის ეკოლოგიური დაბინძურების გამომწვევი ფაქტორები, რატომ არ მიიჩნევს გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი არსებულ მდგომარეობას საგანგაშოდ და რატომ ფიქრობენ ექსპერტები, რომ მდგომარეობა იმაზე მძიმეა, ვიდრე ამას ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ.

რამდენიმე დღის წინ გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა, თამარ ბაგრატიამ განაცხადა, რომ თბილისის ჰაერი მტვრის ნაწილაკებითაა დაბინძურებული. გარდა მტვრის ნაწილაკებისა, ჰაერში ნახშირჟანგის კონცენტრაციაც მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგმა ჰაერის დაბინძურების რამდენიმე კომპონენტში გადაჭარბება დააფიქსირა, სააგენტოს ხელმძღვანელი მაინც მიიჩნევს, რომ დედაქალაქში საგანგაშო მდგომარეობა არ არის.

თამარ ბაგრატია, გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი:

– გარემოს ეროვნული სააგენტო რამდენიმე პარამეტრით აკონტროლებს ჰაერის დაბინძურებას. სამი ძირითადი ჯიხური გვაქვს თბილისში, მეოთხე არის ე.წ. ფუნური. აღვნიშნე, რომ მთელი რიგი ელემენტები ნორმაშია, მაგრამ გვაქვს გადაჭარბება რამდენიმე კომპონენტში. ეს არის ჰაერში მტვრის ნაწილაკების შემცველობა და ნახშირჟანგის გადაჭარბება. მტვრის ნაწილაკებთან მიმართებაში, გადაჭარბება გვაქვს ორი-ორნახევარჯერ მეტი ნორმაზე, ხოლო ნახშირჟანგთან დაკავშირებით – 1-1,5-ჯერ მეტი. ეს არ არის შემაშფოთებელი სტატისტიკა, თუმცა ნორმა იდეალური იქნებოდა. უნდა გავატაროთ ღონისძიებები, რომ კონცენტრაციები ნორმას დაუბრუნდეს.

– დაბინძურების კერები ახსენეთ, რომლებია ესენი?

– ვაშლიჯვარში ფუნური ჯიხურია. ასევე, გვაქვს წერეთელზე, მოსკოვის გამზირზე და თამარ მეფისა და აღმაშენებლის კვეთაზე. შეიძლება მოსახლეობას გაუჩნდეს კითხვა, რა ხდება იქ, სადაც ჩვენ ჯიხური არ გვაქვს. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ძვირადღირებულ მონყობილობებსა და დანადგარებთან არის დაკავშირებული და ჩვენ არ გვაქვს საშუალება, მთლიანად დავფაროთ თბილისი. ძალიან მალე დავიწყებთ ე.წ. ჰაერის ინდიკატორულ გაზომვებს. 25 წერტილს დავამატებთ თბილისს და ცხრას – თბილისის მიღმა რეგიონებს. ინდიკატორული გაზომვები სხვა სახის გაზომვებია. ვიღებთ სინჯებს და ვაგზავნით ევროპაში, აკრედიტებულ ლაბორატორიებში და იქიდან ვიღებთ პასუხებს. ასოცირების ხელშეკრულება და დირექტივა პირდაპირ გვავალდებულებს იმას, რომ მოვახდინოთ ჰაერის დაბინძურების კუთხით აგლუმერაციებისა და ზომების გამოყოფა. თუ ჩვენ არ გვექნება მონიტორინგის სისტემა, შეუძლებელი იქნება ამის გაკეთება. იაპონიის მთავრობა გვეხმარება და ძალიან მალე ოთხი ახალი დაბინძურების მონიტორინგის სადგური დაიდგმება თბილისში. ამას დავუმატებთ ინდიკატორულ გაზომვებსაც და ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისთვის, რომ თანხები მოვიძიოთ, რათა უფრო ხშირი ქსელი გავაკეთოთ და ჩვენი მონიტორინგი უფრო ზუსტი იყოს. შესაბამისად, ქმედებების დაგეგმვაც უფრო გაადვილდება.

როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი აცხადებს, ჰაერის მონიტორინგი დღეში სამჯერ ტარდება, ფუნური კი – 24-საათიან რეჟიმში მოწმდება. გარდა თბილისისა, დაბინძურების მაღალი მაჩვენებელია რეგიონებშიც. რაც შეეხება არსებული ეკოლოგიური დაბინძურების გავლენას ჯანმრთელობაზე, თამარ ბაგრატია განმარტავს, რომ ეს მათი სააგენტოს კომპეტენცია არ არის და სხვა დაწესებულების ფუნქციებში შედის. ბაგრატიას, ასევე, უჭირს იმის განმარტება, რა გავლენას ახდენს და რა კავშირი აქვს ამას ჯანმრთელობის პრობლემებთან. თუმცა, ბაგრატია აცხადებს, რომ დარღვევების მიუხედავად, გარკვეული პოზიტიური დინამიკაა წინა წლებთან შედარებით.

ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი წყარო მოძველებული ავტოპარკია, ზოგადად კი, დაბინძურებას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის საქართველოში შემოსული საწვავის ხარისხიც, რომელიც არ მოწმდება. თამარ ბაგრატია აცხადებს, რომ გარემოს ეროვნული სააგენტო საწვავის ხარისხის კონტროლს ვერ ახორციელებს, თუმცა, მისი ინფორმაციით, სტანდარტები უფრო მკაცრდება.

გარდა ჰაერისა, დაბინძურებულია თბილისის წყლებიც. გარემოს ეროვნული სააგენტო, წყლის შემოწმებას გეგმურად, თვეში ერთხელ ახორციელებს.

თამარ ბაგრატია:

– ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, უფრო ინტენსიურ მონიტორინგზე ვართ გადასული. არის ხოლმე ვითარება, როცა უფრო ინტენსიურად ვახდენთ ზედაპირული წყლების შემოწმებას, ვაკეთებთ ნიადაგის ანალიზსაც.

– საგანგაშო მდგომარეობა არც ნიადაგთან დაკავშირებითაა?

– ქალაქ თბილისში არ არის. რეგიონებში კი გვაქვს დაბინძურების კერები. ეს, ძირითადად, ინდუსტრიულ დაბინძურებას უკავშირდება. ეს ინფორმაცია ისე აღიქვეს, თითქოს პირველად მოხდა. გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივ რეჟიმში, ძალიან დიდი ხანია აკეთებს მონიტორინგს. ეს საჯარო ინფორმაციაა და მუდმივად ახლდება. დაბინძურების კერები გვაქვს თბილისში, ზესტაფონში მანგანუმის დიოქსიდის გადაჭარბებაა, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში – მტვრის ნაწილაკების. მდგომარეობა საგანგაშო არ არის, მაგრამ არასასურველი მდგომარეობაა და პრევენციული ღონისძიება უნდა მომზადდეს. ამას სპეციალისტის კონსულტაცია არ სჭირდება. ამას თითოეული მოქალაქე უნდა ხვდებოდეს. სამინისტრო ძალიან აქტიურად მუშაობს ამ თემებზე. რამდენიმე შეხვედრა გვქონდა მსხვილ კომპანიებთან. რამდენიმე მათგანმა თავად შეიძინა ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის აპარატურა და აქტიურ რეჟიმში გვაქვს მათთან კონსულტაციები. დამერწმუნეთ, ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად ავარიდოთ გარემოს ნებისმიერი ტიპის დაზიანება. არის თემა, რომელიც ლოკალურ დაბინძურებას უკავშირდება, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც გლობალური ხასიათისაა. შეიძლება, სადღაც, დაბინძურება კონკრეტულ წარმოებას უკავშირდებოდეს, მაგრამ, თბილისის მტვრის შეწონილი ნაწილაკების რაოდენობის ზრდა მთლიანად ავტოპარკთანაა კავშირში და მწვანე საფარის სიმწირესთან. თბილისი არის დიდი ქვაბული და მისი განიავება არ ხდება. სამინისტრო ახალ პოლიტიკას აყალიბებს ამ თემასთან დაკავშირებით, სააგენტო ფაქტის დამაფიქსირებელი და კვლევის ჩამტარებელი ინსტიტუტია.

თამარ ბაგრატიას ინფორმაციით, დაბინძურების კერები შეინიშნება წყალთან დაკავშირებით. ყველაზე მეტი დაბინძურება ლისის ტბაზე აღმოჩნდა, თბილისის ზღვის წყლის ზედაპირული სინჯებში კი მცირედი დაბინძურებაა, თუმცა, ვერც წყლის შემთხვევაში ამბობს ბაგრატია, რომ ეს დაბინძურება ჯანმრთელობისთვის საშიშია, რადგან მათი კომპეტენცია ესეც არ არის.

„შარშან, გარდაცვალების ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი ლისის ტბაზე. იქ მძიმე მდგომარეობაა და როგორც ჩანს, გაუმჯობესება არც ახლა შეინიშნება“

„გვაქვს ინფორმაცია, რომ ფეკალური მასები დიდი რაოდენობით ჩაედინება იმ საცხოვრებელი ნაგებობებიდან, რომელიც თბილისის ზღვასთან არის განლაგებული“



„გვაქვს გადაჭარბება რამდენიმე კომპონენტში. ეს არის ჰაერში მტვრის ნაწილაკების შემცველობა და ნახშირჟანგის გადაჭარბება“

თამარ ბაგრატია:

„დაბინძურების კერები გვაქვს თბილისში, ზესტაფონში მანგანუმის დიოქსიდის გადაჭარბებაა, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში – მტვრის ნაწილაკების“

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, პაატა იმნაძე აცხადებს, არსებული დაბინძურება ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის, მაგრამ თუ ის დიდხანს გრძელდება, გარკვეულ რისკ-ფაქტორებს შეიცავს.

პაატა იმნაძე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი:

– გააჩნია, რა არის გადაჭარბებული ჰაერში. მტვრის ნაწილაკები, ძირითადად, სასუნთქი სისტემების დაავადება ვისაც აქვს, მათთვის არის საშიში და დამატებითი რისკ-ფაქტორი. რაც შეეხება ლისის ტბას, დაბინძურებული რომ არის, ეს არ იქნება დაავადების გამომწვევი, მაგრამ უნდა მოვერიდოთ წყლის ჩაყლაპვას. რაკი მიკრობები აღმოაჩინეს, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ დაბინძურება ხდება, მაგრამ ვიმეორებ, წყალი არ უნდა ჩავყლაპოთ. მდგომარეობა საგანგაშო არ არის, რომ უცებ რაღაც მოხდეს, მაგრამ ყურადღებამისაქცევი ნამდვილად არის.

სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, უფრო შემაშფოთებელ განცხადებას აკეთებს გარემოს დაცვითი საკითხების ექსპერტი, ეკოლოგი ლაშა ჩხარტიშვილი.

ექსპერტის განცხადებით, გარემოს ეროვნული სააგენტო არასრულფასოვანი სისტემით ამოწმებს ჰაერის დაბინძურებას და მიიჩნევს, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი დარღვევებია.

ლაშა ჩხარტიშვილი, ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში:

– დარწმუნებული ვარ, საკმაოდ მნიშვნელოვანი დარღვევებია, მაგრამ რამდენად იტყვიან ამას სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, სხვა საკითხია. თუ ამას უარყოფენ, ძალიან ცუდია. თავის მხრივ, გარემოს ეროვნული სააგენტოს საკმარისი ინფრასტრუქტურა არ გააჩნია. რამდენჯერმე ნაკლებია იქ ჰაერის დაბინძურების საზომი ერთეულები. აქედან გამომდინარე, რაიმე სრულფასოვან და სერიოზულ ინფორმაციაზე საუბარი ზედმეტია. არ აქვთ საკმარისი გასაზომი სადგურები. გარდა ამისა, არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც გამორიცხავს, რომ საგანგაშო ვითარება არ იყოს. კერძოდ, საქართველოში საწვავის ხარისხი ძალიან დაბალია. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ საწვავის ხარისხი საერთოდ არ კონტროლდება, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტანდარტი, ქაღალდზე გაწერილი, ნორმატივები, თუმცა ამ ნორმატივების დაცულობას არ ამოწმებს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კატასტროფის ზღვარზე

ლისის ტბა ჯანმრთელობისთვის საშიში მიკრობებით არის დაბინძურებული

არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა. მგონი, მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა საქართველო, სადაც საწვავის ხარისხი არ მოწმდება. ყველასთვის ცნობილია, რომ საქართველოში ავტოპარკი მოძველებულია და ევროპის ნაგავსაყრელად გადაიქცა. ამას სოციალური ფაქტორებიც განაპირობებს, მაგრამ გარკვეული თანდათანობითი ცვლა უნდა იქნეს შემუშავებული სახელმწიფოს მხრიდან, არა ადამიანების სოციალური განადგურების ფონზე. ამაზე საუბარი ორი წლის წინათ დაიწყო, მაგრამ არანაირი კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა. კიდევ ერთი მსხვილი პრობლემა, რომელიც ამ სფეროშია, სატრანსპორტო სფეროს დაურეგულირებლობაა. სატრანსპორტო გეგმის ნაწილი უნდა ყოფილიყო განაშენიანების გეგმა, რომელიც არ გაგვაჩნია. საცობი არ არის დაკავშირებული მხოლოდ მანქანებთან, ეს არის რეგულირების არქონასთან დაკავშირებული. არ შეიძლება არ ვახსენო სამშენებლო საქმიანობა, რომელიც სტიქიურია და მოქმედებს ჰაერზე. მშენებლობის დროს ხდება ჰაერის დაზიანება ქიმიური გამაღიზიანებლებით, რომელიც მძიმე შედეგების მომტანია. მტვერმა შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი დაავადებები, მათ შორის ფილტვების დაზიანებულ ქსოვილებში კიდევ უფრო მეტ დაავადებას იწვევს.

როგორც ეკოლოგი განმარტავს, ჰაერის დაბინძურებას განაპირობებს მწვანე ნარგავების მასობრივი განადგურება მშენებლობის მიზნებისთვის, რაც დღემდე გრძელდება. მწვავე ნარგავები კი ჟანგბადის გამამდიდრებელი და გამწმენდი ერთადერთი ბუნებრივი საშუალებაა. ლაშა ჩხარტიშვილი ამბობს, რომ არც ერთ წინა ხელისუფლებას არ უზრუნია იმაზე, რომ ხეების მასობრივი დაავადება შეეჩერებინა.

ლაშა ჩხარტიშვილი:

– ახალმა ხელისუფლებამ ახლა დაიწყო ამაზე საუბარი. ვგულისხმობ ხეების ხმობას ქალაქში, რაც დამამძიმებელი და რთული ვითარების მომტანი იქნება. რაც შეეხება წყლის დაბინძურებას, ყველაზე რთული ვითარებაა ლისის ტბაზე, რადგან სახელმწიფო სტრუქტურების ნარმომადგენლებმაც ვერ უარყვეს ის პრობლემები, რაც იქ არსებობს. ამიტომაც დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ იქ არ არის უსაფრთხო ვითარება. გვახსოვს, შარშან, გარდაცვალების ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი ლისის ტბაზე. იქ მძიმე მდგომარეობაა და როგორც ჩანს, გაუმჯობესება არც ახლა შეინიშნება. არანაკლები დაბინძურებაა თბილისის ზღვაზე. იმის გამო, რომ იქ წყლის დიდი რეზერვუარია, გარკვეულწილად აუმჯობესებს სიტუაციას, მაგრამ იქვე დიდი ლილოს ნაგავსაყრელია და დიდი ალბათობაა იმისა, რომ სწორედ აქედან ხდება სამგორის არხის დაბინძურება, რომლითაც იორის წყალი შემოდის თბილისის ზღვაში. ეს საკითხი შესწავლას საჭიროებს. ამას გარდა, სატრანსპორტო ქსელი ზღვის ერთ-ერთი დამაბინძურებელია. ის სადრენაჟე წყლები, რომელიც ამ გზას რეცხავს, პირდაპირ ზღვაში ჩაედინება. გვაქვს ინფორმაცია, რომ ფეკალური მასები დიდი რაოდენობით ჩაედინება იმ საცხოვრებელი ნაგებობებიდან, რომელიც თბილისის ზღვასთან არის განლაგებული. თბილისის ზღვას ორმაგი დატვირთვა აქვს. ის რეკრეაციული ზონის მატარებელიცაა და თბილისის წყლის სარეზერვო წყალსაცავიც. ახლაც ხდება მისი წყლით სასმელი წყლის მომარაგება თბილისში, ამას კი უარყოფს კომპანია, მაგრამ სარეზერვო წყალსაცავებიც მნიშვნელოვანია, რადგან მისი გამოყენების ალბათობა დიდია.

ლაშა ჩხარტიშვილი: „გარემოს ეროვნულ სააგენტოს საკმარისი ინფრასტრუქტურა არ გააჩნია. რამდენჯერმე ნაკლებია იქ ჰაერის დაბინძურების საზომი ერთეულები. აქედან გამომდინარე, რაიმე სრულფასოვან და სერიოზულ ინფორმაციაზე საუბარი ზედმეტია“

პაატა იმნაძე: „რაც შეეხება ლისის ტბას, დაბინძურებული რომ არის, ეს არ იქნება დაავადების გამომწვევი, მაგრამ უნდა მოვერიდოთ წყლის ჩაყლაპვას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ნიკოლოზ ბასილაშვილმა

„ოჯახის ფაქტორი ძალიან დიდია. გაცილებით მეტი მოტივაცია მაქვს“

„თავისუფალი დრო, ვცდილობ, ჩემი ოჯახის გარემოცვაში გავატარო“

მაგდა კლდიაშვილი

23 წლის ჩოგბურთელი, ნიკოლოზ ბასილაშვილი, რამდენიმე დღის წინ ბიელას ჩელენჯერის ტურნირს გამოეთიშა, თუმცა ტურნირზე ის პირველ ნომრად იყო განთესილი. ბიელას ტურნირამდე ბასილაშვილმა ჰოლანდიაში, შევენინგენის საერთაშორისო ტურნირი მოიგო და იტალიას ფავორიტის რანგში უნდა სტუმრებოდა. დღეს ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ჰოლანდიიდან იტალიაში, ჩოგბურთელი მანქანით გაემგზავრა და 1000 კილომეტრი მანქანით მარტომ გაიარა. რატომ ჩავიდა ავტომობილით იტალიაში, როგორ დაამარცხა უიმბლდონზე ფელისიანო ლოპესი და როგორ ხვდება ახალგაზრდა სპორტსმენი მარცხს, „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ ნიკოლოზ ბასილაშვილთან.

- იტალიაში, ჩელენჯერის ტურნირზე პირველ ნომრად იყავი განთესილი, თუმცა პირველივე ეტაპზე გამოეთიშე. გადაიღალე?

- ჰოლანდიაში ტურნირი ძალიან გვიან დავამთავრე. იტალიის ტურნირი გეგმაში არ მქონდა, მაგრამ აუცილებელი იყო ჩასვლა, რადგან განაცხადი გაგზავნილი მქონდა და ტურნირიდან რომ მოვხსნილიყავი, დიდი ჯარიმა მელოდა წინ. არ გამოდიოდა. თვითმფრინავის ბილეთები არ იყო და ერთადერთი გამოსავალი მანქანით წასვლა იყო. მანქანით ძალიან ბევრი ვიარე, თამაში არ გადამიტანეს, ძალიან მოუმზადებელი ჩავედი, 1000 კილომეტრი ვიარე იტალიამდე და მეორე დღესვე მათამაშეს.

- რეიტინგში 90-ე ადგილამდე დაწინაურდი, რაც შენი პირადი რეკორდია. რას ნიშნავს ეს შენთვის?

- მიხარია, რომ ასეულში მოვხვდი. ახლა, მთავარია, შევინარჩუნო და მაქსიმალურად წინ წავიდე. ველოდი თუ არ ველოდი ამას, მნიშვნელობა არ აქვს. ვცდილობ, ჩემი საქმე გავაკეთო. 100%-ით მოვემზადო და შედეგი თავისით მოვა. იმისთვის ვთამაშობ ჩოგბურთს, რომ წინ წავიდე და მაქსიმალურად გამოვიყენო შესაძლებლობები.

- დევისის თასზე ნაკრებმა იყოჩაღა და 7 წლის შემდეგ, პირველად, მესამე ჯგუფიდან მეორე ჯგუფის საგზური მოიპოვა. პროგრესირებს ქართული ჩოგბურთი?

- ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ბევრი მოთამაშე არ გვყავს. საქართველო არ არის დიდი ქვეყანა. სასიხარულოა, რომ მესამე ზონიდან მეორეში გადავედით. მიხარია, რომ ნაკრებში თამაშის შესაძლებლობა მქონდა. რაც შეეხება პროგრესს, არ შემიძლია ეს შევაფასო, ხალხი შეაფასებს ამას.

„არ მიყვარს წაგების მიზეზების რამეზე გადაბრალება და თავის მართლება“

- აღნიშნე, რომ ძალიან ცოტა მოთამაშეები გვყავს. რამდენად ხელმისაწვდომი სპორტია ჩოგბურთი დღეს საქართველოში?

- არ მიყვარს იმაზე საუბარი, როცა ამის გაკონტროლება არ შემიძლია. რაც შეეხება საქართველოს, დავიწყოთ იქიდან, რომ ჩოგბურთი მართლაც ძალიან ძვირადღირებული სპორტია. პატარა ასაკიდანვე გჭირდება ხელშეწყობა და მოთამაშემაც ხელი უნდა შეუწყოს დამფინანსებელს, რომ კარგი შედეგები აჩვენოს. ვთვლი, რომ სამენეჯერო, პიარ-კამპანიების პრობლემაა, რომ სპონსორების მოზიდვა მოხდეს. უფრო პოპულარული უნდა გახდეს ეს სახეობა. როცა პოპულარული იქნება, სპონსორებიც მოვლენ. სპონსორების სისტემა არ არის აწყობილი და ეს არის განსავითარებელი. ჩოგბურთში დიდი პოტენციალი გვაქვს და პატარა ხელშეწყობითაც შეგვიძლია კარგი შედეგების ჩვენება.

- ჰოლანდიაში, შევენინგენის ტურნირის ფინალში რუსი ჩოგბურთელი დაამარცხე. ორმაგი მოტივაცია იმან შეგიქმნა, რომ მოწინააღმდეგე რუსი იყო?

- არა. მოწინააღმდეგეს არ ვაფასებ ეროვნებით. რუსი იქნება, ჩინელი თუ ამერიკელი, არ აქვს მნიშვნელობა. თუ ემოციებმა იმოქმედა, ჩოგბურთის თამაშისას ხელს შეუშლის თამაშის ხარისხს. კუზნეცოვს ვიცნობ, ვმეგობრობ, კარგი ბიჭია. გამეხარდა ფინალის მოგება, რადგან ის ძლიერი კონკურენტია, მაგრამ ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მოწინააღმდეგეში ვხედავ ჩვეულებრივ ადამიანს.

- უიმბლდონზე, ფელისიანო ლოპესის დამარცხება სენსაციად მოინათლა. თამაშამდე რამდენად შესაძლებელად მიგაჩნდა გამარჯვება?

- თამაშამდე, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ჩემი მაქსიმუმი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გამარჯვებიდან დამარცხებამდე 1000 კილომეტრი გაიარა

„მანქანით ძალიან ბევრი ვიარე, თამაში არ გადამიტანეს, ძალიან მოუმზადებელი ჩავედი, 1000 კილომეტრი ვიარე იტალიამდე და მეორე დღესვე მათამაშეს“

EXCLUSIVE

„ვცდილობ, ჩემი საქმე გავაკეთო. 100%-ით მოვემზადო და შედეგი თავისით მოვა. იმისთვის ვთამაშობ ჩოგბურთს, რომ წინ წავიდე და მაქსიმალურად გამოვიყენო შესაძლებლობები“

„გამეხარდა ფინალის მოგება, რადგან ის ძლიერი კონკურენტია, მაგრამ ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მოწინააღმდეგეში ვხედავ ჩვეულებრივ ადამიანს“

„თამაშამდე, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ჩემი მაქსიმუმი გავაკეთო“

გავაკეთო. არ ვფიქრობ, მოგებაზე ან წაგებაზე. მთავარია, ყველა შანსი გამოიყენო. ფელისიანო ლოპესთან თამაშს რაც შეეხება, ძალიან კარგი გეგმით შევედი კორტზე. მომზადებული ვიყავი ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. ხუთიდან ხუთსეტიანი თამაში იყო. ფსიქოლოგიური პრობლემები რომ მქონოდა, თავიდანვე გამოვლინდებოდა. ეს არ მქონია, ჩემს მაქსიმუმს ვაკეთებდი.

- ბაუტისტასთან წააგე 1/16 ფინალი. მანაც შენსავით 5 სეტი ითამაშა ბოლო თამაში. ფიზიკური კონდიციების აღდგენა ვერ შეძელი?

- კი, მანაც 5 სეტი ითამაშა, მაგრამ მე შესარჩევიც გავიარე, სამი თამაში ჩავატარე. ბაუტისტა კარგად იყო მომზადებული და დასვენებული, უფრო ენერგიულად გამოიყურებოდა. არ მიყვარს წაგების მიზეზების რამეზე გადაბრალება და თავის მართლება. იყო მიზეზები, მარცხენა ფეხზე ტრავმა მქონდა. როგორი შედეგიც ვაჩვენე, იმას ვიმსახურებდი. თუ მექნება ასეთი თამაშები მომავალში, ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც გაცილებით მომზადებული შევალ კორტზე.

- მიუხედავად იმისა, რომ უიმბლდონიდან გამოვარდი და ბოლო ტურნირიც წააგე, თვლი, რომ ფორმის პიკზე ხარ?

- ჩოგბურთი ისეთი სპორტია, რომ ბევრ რამეზეა დამოკიდებული, უმეტესწილად, ფსიქოლოგიაზე. ძალიან ბევრი პლუსი დავინახე ჩემს რეზულტატებში. თავდაჯერებულობა მომემატა. ახლა, ვარჯიშებს უნდა მივაქციო მეტი ყურადღება და მაქსიმალურად მოვინდომო. ჩოგბურთში ყველაფერს აჩვენებს რეიტინგი და ჩოგბურთისთვის რეიტინგი გეგმიურად არის გაკეთებული, ქულათ სისტემაც და ყველაფერი. რეიტინგი ახლა აჩვენებს, რომ ამ მომენტისთვის საუკეთესო ფორმაში ვარ. მომავალში კიდევ უფრო უკეთესად უნდა ვითამაშო.

- ქართველი სპორტსმენები დიდი პოპულარობით არ სარგებლობენ. უიმბლდონის შემდეგ ყველას შენი სახელი და გვარი აკერია პირზე. რამდენად მნიშვნელოვანია სპორტსმენისთვის პოპულარობა?

- არ ვთვლი, რომ სასწაული გავაკეთე. უიმბლდონზე დავმარცხდი და მოტივირებული ვიყავი, მომავალი ტურნირი უკეთესად მეთამაშა. მიხარია, ამდენი წერილი მომივიდა, კარგი მესიჯები. ჩემთვის ბევრს ნიშნავს და ყველა სფეროში ასეა. რაც უფრო წარმატებული ხარ, მით უფრო დადებითი რაღაცები გესმის, მეტი სტიმული გაქვს, რომ უკეთესი გააკეთო. რაც შეეხება იმას, რომ მთელი საქართველო ჩემზე ლაპარაკობს, ალბათ, ნორმალურია, ასე ხდება. მე ჩემი საქმე მაქვს, სპორტსმენი ვარ და ერთი მიზანი მაქვს - ჩემი მაქსიმუმი გავაკეთო.

- როგორია დამარცხებული ნიკოლოზ ბასილაშვილი?

- ვთვლი, რომ სპორტში დამარცხებასაც და გამარჯვებასაც ერთნაირად უნდა შეხედო. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო გამოცდილი ხდები. სხვანაირად უყურებ წაგებასაც და მოგებასაც. მარცხს რთულად ვეგუები, არ მიყვარს, მაგრამ ვსწავლობ, ვმუშაობ ჩემს თავზე, რომ წარმატებასაც და წარუმატებლობასაც ერთნაირად შევხვდე. ამას არ აქვს მნიშვნელობა, შენ თუ მაქსიმუმს გააკეთებ. ახლა ვმუშაობ ჩემს თავზე, რომ წარუმატებელ დღეებს მომზადებული შევხვდე და შემდეგ ეტაპზე უფრო სწრაფად გადავიდე.

- საყვარელი ჩოგანი თუ გაქვს, რომელსაც ინახავ?

- არა. ასეთი არ ვარ და არ მჯერა მსგავსი რაღაცების. ასეთი დამოკიდებულება არ მაქვს.

- პატარა შვილი გყავს, რამდენად გრჩება დრო მასთან ურთიერთობის და რამდენად დიდია ოჯახის ფაქტორი შენს კარიერაში?

- ოჯახის ფაქტორი ძალიან დიდია. გაცილებით მეტი მოტივაცია მაქვს. შვილს იშვიათად ვნახულობ, მეუღლე ჩემთან ერთად არის. რთულია, მაგრამ სპორტსმენი ვარ და ეს ჩემთვის ნორმალურია. თავისუფალი დრო, ვცდილობ, ჩემი ოჯახის გარემოცვაში გავატარო. ჯერ პატარაა ბავშვი, 6 თვის არის. ასე მოხდა, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

- რა იქნება შენი კარიერის მაქსიმუმი?

- ასე არ მაქვს აწყობილი, რომ ეს უნდა გავხდე და ის მოვიგო. ყოველდღიურად ვცხოვრობ. ჩემი მაქსიმუმი ის იქნება, რომ ჩემი მაქსიმუმი გავაკეთო. მეტი არაფერი. ახლა, ამერიკაში ვითამაშებ ცინცინატის მასტერსის შესარჩევს, შემდეგ ამერიკის ღია პირველობაა. რეიტინგი ხელს მიწყობს, რომ დიდ ტურნირებზე გამოვიდე, მილიონიანზე და ა.შ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თბილისი

ქართველი ტრიუმფატორები

my View
სალომე ჩადუნელი

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“ ზაფხულის მთავარ სპორტულ თემად იქცა. 50-მდე ქვეყნის 3800-მდე 13-დან 18 წლამდე სპორტსმენმა 26 ივლისიდან 1-ელ აგვისტომდე სპორტის ცხრა სახეობაში იასპარეზა და ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას შეეცადა. საქართველოს დელეგაციამ გულშემატკივრებს იმედი არ გაუცრუა და ძიუდოში სამი ოქროსა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. კიდევ ერთი მედალი ოლიმპიადის ბოლო დღეს ინისე სანებლიძემ მოიპოვა ძიუდოში.

„ოქროს გოგონებმა“ – ეთერ ლიპარტელიანმა და მზია ბებოშვილმა ერთ დღეში მთელ საქართველოს თავი გაიცინეს და ოქროს მედლები ქვეყნიდან არავის გაატანეს. ჩემპიონატის მეორე დღეს ტრიუმფატორებს ოლიმპიურ სოფელში მივაკითხეთ და პირადად მოვისმინეთ იმ სპორტული გამძლეობისა და განცდების შესახებ, რომელიც საკუთარ ქვეყანაში გამარჯვებას ახლავს.

მზია ბებოშვილმა 52 კგ წონით კატეგორიის ფინალში იასპარეზა და ჰოლანდიელ ილსე ბურენსს იპონით მოუგო. ჯერ 17 წლისაა, ხუთი წელია, რაც ძიუდოთი დაინტერესდა და სამი წელია, ჩემპიონატებში აქტიურად ასპარეზობა დაიწყო. დაახლოებით, სამი კვირის წინ ევროპის ჩემპიონი გახდა, ევროპის თასზე რუმინეთში მეორე ადგილი აიღო, ექვს დღეში კი მსოფლიო ჩემპიონატზე მიემგზავრება, საიდანაც ოქროს მედლის ჩამოტანას აპირებს.

მზია ბებოშვილი:

– პირველი შეხვედრა ინგლისელთან ჩავატარე, რომელსაც სუფთა გამარჯვებით 9 წამში მოვუგე, რაც უფრო ფინალისკენ მივდიოდი, მით უფრო ძნელდებოდა. მეორე შეხვედრაში, ჩემივე ილეთზე მოვყევი ვაზარზე, შემეშინდა, დროც იწურებოდა, მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ გდება მალე ამომექაჩა. მაყურებლები ისე მგულშემატკივრობდნენ, არ ვიღლებოდი. სულ შეტევაზე მივდიოდი და ეს შეხვედრაც მოვიგე. ფინალში გასასვლელ ასპარეზობაში რუსეთის წარმომადგენელს ვხვდებოდი, საკმაოდ ძლიერი მეტოქე იყო. ორი შიდოთი ვძლიე. ორი შიდო ძიუდოში ნიშნავს, როდესაც მოწინააღმდეგე პასიურობს, ილეთებს არ აკეთებს და გაფრთხილებას იღებს. ფინალში კი ჰოლანდიელი გამოვიდა. ჩემთვის ყველაზე საპასუხისმგებლო იყო, რომ ამდენი ქართველი გულშემატკივარი მამხნევებდა. მეშინოდა, მათთვის იმედები არ გამეცრუებინა და მაქსიმალურად ვიყავი მობილიზებული. მეტოქეს შანსი არ დავუტოვე, ვაზარზე დავაგდე და შევბოჭე.

– რით არის შენთვის ეს გამარჯვება გამორჩეული?

– სამი კვირის წინ ევროპის ჩემპიონი გავხდი, დიდი სიხარული იყო, მაგრამ ახლა ჩემს ქვეყანაში რომ ტარდებოდა ასეთი დონის შეჯიბრი, უფრო მოტივირებული ვიყავი. მინდოდა, მეტი და მეტი გამეკეთებინა, რომ ჩემს ქვეყანაში არავისთან არ წამეგო და არავისთვის არ გამეტანებინა ოქროს მედალი.

– ახლა უკვე ყველა გიცნობს და ბევრს შეუყვარდი... რა არის მთავარი მიზანი სპორტსმენისთვის – აღიარება თუ მედალი?

– ნაწილობრივ აღიარებაცაა მიზანი, რაც ამ მედლის უკან დგას დამიფასდა და არა მარტო მე დავინახე, არამედ მთელმა საქართველომ დაინახა, რომ ჩვენ მართლა ბევრს ვშრომობთ. მიხარია, რომ ბევრი მიცნობს, სოციალურ ქსელებშიც დამტკიცდა, ბევრი მწერს, ყველას ვერ ვპასუხობ, ბოდიშს ვუხდი, მსოფლიო მაქვს ექვს დღეში და იქამდე ვერ მოვასწრებ ყველას წაკითხვას, იმდენი შეტყობინებაა. მე ჩემპიონი ვარ, მაგრამ ეს უკვე წარსულია, წინ მსოფლიო ჩემპიონატია.

57 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ყველა მეტოქე დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა ეთერ ლიპარტელიანმაც. ქართველმა სპორტსმენმა ფინალი პოლონელ ანნა დაბროვსკისთან იპონით მოიგო და საქართველოს მე-3 ოქროს მედალი მოუტანა.

ეთერ ლიპარტელიანი:

– პირველად რომ მოწინააღმდეგე დავაგდე და მოვიგე, ვერ გავიაზრე, რამდენიმე წამში მივხვდი, რომ გამარჯვებული ვიყავი. იმდენად ვერ გამოვხატე, როგორც მიხაროდა. ვიდეოშიც ჩანს, რომ მოგება გააზრებული არ მაქვს. ასეთ დიდ ტურნირზე – ოლიმპიადაზე ჩემი პირველი მედალია.

– გულშემატკივრების მხარდაჭერა თუ დაგეხმარა მოგებაში?

– ძალიან მაგარია, როცა იბრძვი ან აგებ და გგულშემატკივრობენ. სულ სხვა მუხტით აგრძელებ ბრძოლას. შენს მშობლიურ ქვეყანაში ხარ და აქ დამარცხება არ უნდა დაუშვა. ჩემს წონაში ყველა ძლიერი იყო, თუმცა გულშემატკივრები ძალიან დამეხმარნენ. პირველ შეხვედრაში ორ შიდოს ვაგებდი, ბოლო 30 წამი იყო დარჩენილი, დავაგდე, სამი იუკუ ავუღე და მოვუგე, ასე გავაგრძელე და ბოლომდე მივედი.

ახალგაზრდა ძიუდოისტებმა ინტენსიური ვარჯიში უკვე განაახლეს, რამდენიმე დღეში მსოფლიო ჩემპიონატზე მიემგზავრებიან და ოქროებით დაბრუნებას აპირებენ.

ოლიმპიადის მთავარი რგოლი – „პროფესიონალი მოხალისეები“

თბილისი 2015-ის მამოძრავებელი ძალა მოხალისეები არიან. ფესტივალის განმავლობაში ქართველ და უცხოელ სტუმრებს 2500-მდე მოხალისე უანგაროდ ემსახურება. თითოეულს კონკრეტული მოვალეობა აკისრია, ზოგი ატაშეა, ზოგი – მედიამენეჯერი, ზოგი ჯგუფს ხელმძღვანელობს, ზოგი კი საინფორმაციო მაგიდებიდან ინფორმაციას ავრცელებს... ოლიმპიადაში ქართველი მოხალისეების გარდა, უცხოელებიც მონაწილეობენ.

სერბი ჯოვანა გეორგიევსკი მოხალისის საქმიანობას ტანვარჯიშის არენაზე ასრულებს, 20 წლისაა და რუსეთისმცოდნეობაზე სწავლობს. ქართველებთან კომუნიკაციას ადვილად ახერხებს და მიღებული გამოცდილებით კმაყოფილია.

ჯოვანა გეორგიევსკი:

– სპორტის მოხალისედ აქამდე არასდროს მიმუშავია, არც საქართველოში ვყოფილვარ. ეს იყო ჩამოსვლის მთავარი მიზეზი. მოხალისეობამ ბევრი რამ მომცა: მე არ ვიცოდი, როგორ ტარდებოდა სპორტული შეჯიბრებები, ახლა ვიცი. შევხვდი ახალ ხალხს, მომეცა შანსი, ორი კვირა საქართველოში გამეტარებინა. რუსეთისმცოდნეობაზე ვსწავლობ, ესეც იყო საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი, აქ ბევრი ადამიანი საუბრობს რუსულად და გამოცდილება მჭირდებოდა.

– რა მოგეწონა ყველაზე მეტად და რა არ მოგეწონა ოლიმპიადის განმავლობაში?

– პირველი, რაც მომწონს, ეს თავისუფალი დროა, ჩვენ შეგვიძლია გავისეირნოთ, ქალაქი დავათვალიეროთ. უარყოფითს რაც შეეხება, ვისურვებდი, უფრო მეტი სამუშაო მქონდეს და დატვირთული ვიყო.

ქართველი მოხალისეები ოლიმპიადაში ჩართვის მთავარ მიზეზად გამოცდილებასა და უცხოეთში მოხალისეობრივი საქმიანობის დიდ მნიშვნელობას ასახელებენ. აღნიშნავენ, რომ პირველი ფესტივალის კვალობაზე განსაკუთრებული ექცესები არ ყოფილა და ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა.

თათია კახეთელიძე, ჩეხეთის ატაშე:

– ადგილდამკვიდრებული და გამოცდილი აქ არავინაა, ამიტომ მოხალისეობა საოცარი გამოცდილებაა. საკუთარ თავზე იღებ ისეთ პასუხისმგებლობას, როგორიცაა ოლიმპიადაში მონაწილეობა, რომელშიც მთელი ევროპა და განსაკუთრებით ახალგაზრდები არიან ჩართულნი. ძალიან შრომატევადი საქმიანობა გვაქვს. ატაშეები ვართ დელეგაციაში და რა შეკითხვაც არ უნდა გაჩნდეს, უნდა მოვაგვაროთ და გავარკვიოთ. დროებს ვანაწილებთ, ვრეკავთ, ვშუამდგომლობთ, ვთარგმნით, ლანჩ-ბოქსები მოგვაქვს, ანუ ვაკეთებთ ისეთ რაღაცებს, რაც ერთი შეხედვით ადვილი არაა. სწავლობ შენს თავზე პასუხისმგებლობის აღებას და დროის ისე გადანაწილებას, რომ არავინ დაგრჩეს უკმაყოფილო, მაშინ როცა 150 კაცის განკარგულებაში 8 ატაშეა.

ანა არუნაშვილი, საფრანგეთის ატაშე:

– დიდი გამოცდილებაა, როცა მუშაობ და არ გიხდიან. პიროვნულად ვითარდები. უცხოეთში მოხალისეობრივ საქმიანობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, უნივერსიტეტებში თუ აგზავნი განაცხადს და აპლიკაციაში მოხალისეობრივი გამოცდილება გაქვს, ძალიან კარგია. თბილისი 2015 ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მინდოდა, რომ ამ განსაკუთრებული მოვლენის ნაწილი ვყოფილიყავი. იმის კვალობაზე, რომ ეს ჩვენთვის პირველი ფესტივალია, ყველაფერი კარგადაა ორგანიზებული. ოლიმპიურ სოფელში ძალიან მეგობრული გარემოა,



მზია ბებოშვილი: „მეშინოდა, მათთვის იმედები არ გამეცრუებინა და მაქსიმალურად ვიყავი მობილიზებული“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Ω – 2015

მსოფლიოსთვის ემზადებიან

თამარ სანიკიძე: „ვფიქრობ, ჩვენ ღირსეულად მოვემზადეთ და ღირსეულად შევხვდით“



თუ რამე გჭირდება, ყველა გეხმარება, არ გიყურებენ როგორც მასზე დამოკიდებულს და თანასწორად გიღებენ.

ალექს პიჯიანი:

– საქართველოში ასეთი მასშტაბური ღონისძიება პირველად ტარდებოდა და მეც მინდოდა ამ ოლიმპიადის ნაწილი ვყოფილიყავი. საქართველოში მოხალისეობის კულტურა არ არის განვითარებული, მინდოდა ამაშიც ხელი შემეწყო და ხალხს გაეცნო, რომ მოხალისეობა და უნაგაროდ მუშაობა ცუდი არ არის და მიღებულია.

რა მოსწონთ და რა – არა უცხოელ სპორტსმენებს თბილისი 2015-ში?

ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მსოფლიოს 50 ქვეყნიდან 3800 მონაწილე ჩამოვიდა, ისინი ოლიმპიურ სოფელში დასახლდნენ და ყოველდღე არენიდან საცხოვრებლამდე სპეციალური ავტობუსებით გადაადგილდებიან, საღამოობით ქართველი შემსრულებლები მათთვის საღამოებს აწყობენ და ოლიმპიური სოფლის ცხოვრებას დასამახსოვრებელს ხდიან. საინტერესოა, რას ფიქრობენ თავად უცხოელი მოხალისეები ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფის მუშაობასა და ჩატარების ხარისხზე. ჩვენ გავესაუბრეთ რამდენიმე სპორტსმენს ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. უმეტესობა კმაყოფილია, თუმცა არის პრობლემები, რომელზეც საუბრობენ და გამოსწორებას გვირჩევენ.

ნივ ლიბნუ, ველოსიპედელი ისრაელიდან:

– კარგადაა ორგანიზებული, მხიარულებაა, ყოველთვის არის რაღაც, რაც შეგიძლია გააკეთო. საქართველო მშვენიერი ქვეყანაა. კარგი იქნებოდა, ვეგეტარიანელებისთვის კვების მრავალფეროვანი არჩევანი ყოფილიყო, ყოველთვის ხორცითა და რძითაა გაკეთებული და ამ არჩევანის ფონზე რთულია. მნიშვნელოვანია, რომ ამ კუთხით დაიხვეწოს ფესტივალი. ქართველები ჩვენი განსაკუთრებული გულშემატკივრები არიან და ეს ამაღელვებელია.

მარკუს შთაუფი, ხელბურთელი შვეიცარიიდან:

– ყველაფერი მშვენივრადაა, ორგანიზება, მონაწილეები... ყველაფერი შესანიშნავია, მოხალისეები ძალიან სასიამოვნო ადამიანები არიან და კმაყოფილები ვართ. შენობები მომწონს, ახალი, დიდი და ლამაზია. საჭმელებიც გემრიელია. საღამოს ერთად ვიკრიბებით, მუსიკას ვუსმენთ, ერთმანეთს ვუმეგობრდებით, ეს კარგი საშუალებაა, რომ განიტვირთო.

აზერბაიჯანელი სპორტსმენები ცრურწმენებზეც საუბრობენ:

– ყველაზე მეტად მომწონს მომენტი, როდესაც სამზარეულოში რაღაც ტყდება და ყველა ტაშს უკრავს – ეს სპორტსმენების ცრურწმენაა. ძალიან მახალისებს.

მაქსიმ ბერფუვერი, ტენისის მოთამაშე ბელგიიდან:

– ყველაზე მეტად მომწონს საკვები, განსაკუთრებით კვერცხი. აუზი და ფიტნესი განტვირთვის კარგი საშუალებაა. მოხალისეები მეგობრული ადამიანები არიან, ყოველთვის მზად არიან დაგეხმარონ. დავმეგობრდით კიდეც.

ოლიმპიურ გამოწვევებს ტარიელ ხეჩიკაშვილი აფასებს:

– მასპინძლის მხრიდან შეფასებებში გარკვეული სუბიექტურობა ყოველთვის არის. ამიტომ მოვიხმობ სპორტის უცხოელი და ავტორიტეტული სპეციალისტების შეფასებებს, მოსაზრებებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის შეფასებას: რომ ოლიმპიადა მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც, სულ რაღაც, ცოტა ხნის წინ ქვეყანას სტიქიისგან გამოწვეულ მოვლენებზე მყისიერი რეაქცია ჰქონდა. ამ გამოწვევასაც გაუძლო და ამავდროულად ძალიან მაღალ დონეზე უმასპინძლა ოლიმპიურ ფესტივალს. იმედია, ეს თამაშები ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე კარგად ორგანიზებული ოლიმპიური ფესტივალი.

– ოლიმპიური ფესტივალი ხვალ მთავრდება, თუმცა ის მშენებლობა, რაც მის ფარგლებში განხორციელდა საქართველოში „რჩება“, შეუწყობს თუ არა ხელს ოლიმპიადა სპორტისა და ქართველი სპორტსმენების განვითარებას? და როგორ?

– რაც შეეხება სპორტულ შედეგებს, ამ მიმართულებით ჩვენმა სპორტსმენებმა ძალიან დიდი გამოცდილება შეიძინეს, ეს არის ახალი ასპარეზი, რაც მათ შემდგომ სრულყოფას ხელს შეუწყობს. ამ თამაშების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მონაპოვარია ის ინფრასტრუქტურა, რომელიც შეიქმნა და ის მხარდაჭერა, რომელიც მთავრობისგან იგრძნო სპორტმა. ეს არის მთავრობის ძალიან დიდი ინვესტიცია სპორტში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

– სპორტსმენები ხშირად აღნიშნავენ, რომ წაგების მთავარი მიზეზი გამოცდილებისა და ბაზის არქონაა? ამ მხრივ კონკრეტულ სამოქმედო გეგმაზე ხომ არ მუშაობს სპორტის სამინისტრო?

– ეს ერთობლივი სამუშაო და საფიქრალია, პირველ რიგში ფედერაციებისა და შემდეგ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსი, ჩვენ ერთობლივად უნდა შევიმუშაოთ ისეთი გეგმა, რომ თანმიმდევრულად მოხდეს სპორტის სახეობების განვითარება. გამოცდილების ნაკლებობა რომ არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, რომელიმე სახეობაში შეგვეძლო, უკეთესო შედეგები გვქონოდა, მაგრამ ეს გამოცდილება დროთა განმავლობაში მოდის და ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ.

– მუშაობა დაწყებულია?

– დაწყებულიც რომ არ გვქონდეს, ცხადზე უცხადესია, რომ ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ.

განათლების მინისტრის სპორტული წარსული – მხატვრული ტანმოვარჯიშე თამარ სანიკიძე

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის წარსული, მისივე განცხადებით, მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპორტთან, განსაკუთრებით კი მხატვრულ ტანვარჯიშთან. ამიტომ ოლიმპიადის მიმდინარეობას აქტიურად ადევნებს თვალს და განსაკუთრებით ტანვარჯიშით ინტერესდება.

თამარ სანიკიძე:

– ძალიან მნიშვნელოვანი იყო, როგორ შევხვდებოდით ასეთ გამოწვევას და დავძლევდით თუ არა. ვფიქრობ, ჩვენ ღირსეულად მოვემზადეთ და ღირსეულად შევხვდით. ჩამოსული სტუმრების, სპორტული კომიტეტისა და კომისიის წევრების შეფასებები იძლევა იმ დასკვნის გაკეთების წინაპირობას, რომ ჩვენ თამამად ვთქვათ: დიახ! ვართ მომზადებულები და ყველაფერი მიმდინარეობს გეგმაზომიერად, ექსცესების გარეშე, არის წვრილ-წვრილი ხარვეზები, მაგრამ, სადაც არ უნდა ყოფილიყო და როგორც არ უნდა ყოფილიყო, მაინც იქნებოდა. ზოგადად, სპორტი მაინტერესებს, ჩემი წარსული ახალგაზრდობა სპორტთან მჭიდრო კავშირშია.

– სპორტის რომელი სახეობით იყავით გატაცებული?

– მხატვრული ტანვარჯიშით, ამიტომ სპორტული ტანვარჯიში განსაკუთრებით მაინტერესებს და მოვედი, რომ დასკვნით ნაწილს მაინც დავესწრო.

– რა ფორმით ჩაერთო განათლების სამინისტრო ოლიმპიადაში?

– განათლების სამინისტრო, სპორტის სამინისტროსთან ერთად, ჯანსაღი ცხოვრების წესის, საყოველთაო სპორტის ჭრილში მუშაობს. გვაქვს არაერთი პროგრამა და რაც მთავარია, ერთობლივი სტრატეგია, როგორ უნდა განვავითაროთ ახალგაზრდებში მასიური სპორტი. ყველა ეტაპზე ჩართულები ვართ, ეს არის კარგი საშუალება, მოტივაცია ავამაღლოთ ახალგაზრდებში და ვუბიძგოთ, გახდნენ სპორტულები, იმიტომ რომ სპორტს მოსდევს ჯანსაღი ცხოვრება, დისციპლინა – ის, რაც ყველას გვჭირდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N30 (331), ორშაბათი, 3 აგვისტო, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

ირმა ნიორაძე ექსკლუზიურად პირადით

exclusive

რის გამო ღელავდა ოლიმპიური ფესტივალის გახსნის წინ პრიმაბალერინა

რა უთხრა რეპეტიციის დროს „სუხიშვილების“ „იაზონს“ ირმა ნიორაძემ

„როცა გავიგე ჩემთან ერთად პრიმაბალერინა, ირმა ნიორაძე იცეკვებდა, ორმაგად დიდი პასუხისმგებლობა ვიგრძენი“

exclusive

ნიკოლოზ ბასილაშვილმა გამარჯვებიდან დამარცხებამდე 1000 კილომეტრი გაიარა

„მანქანით ძალიან ბევრი ვიარე, თამაში არ გადამიტანეს, ძალიან მოუმზადებელი ჩავედი, 1000 კილომეტრი ვიარე იტალიამდე და მეორე დღესვე მათამაშეს“

exclusive

ნოე სულაბერიძე მიჯნურს აღარ მალავს - ვინ არის თიკა ჭანტურიძე?

exclusive

გიორგი მერებაშვილი - კახა ცხადაძესთან არ მისაუბრია

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

ზურაბ ზვიადაური: „როცა ამხელა მნიშვნელობის ღონისძიება ტარდება შენს ქვეყანაში, როგორ შეიძლება, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანმა მსგავს ინციდენტებზე გაამახვილოს ყურადღება“

exclusive

თბილისი 2015

exclusive

ქართველი ტრიუმფატორები მსოფლიოსთვის ემზადებიან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება